بسم الله الرحمن الرحيم

რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა -803
სახალხო წიგნები -186
სიბრძნის სერია - 5
გამომცემლობის დირექტორი
დრ. ფათიჰ ქურთი
გამომცემლობის კოორდინატორი
ფარუქ გორგულუ
გამომცემელი
პროფ. ჰურიე მართი
საბოლოო რედაქტირება
იუსუფ თურქერი
რედაქტორი
რამაზან ოზალფდემირი
გრაფიკა და დიზაინი
ემრე ილდიზი
ბეჭდვა
აქთაშ ოფსეთის გამომცემლობა
0312 341 56 26
რელიგიის საქმეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება: 24.06.2004/99
ისბნ
2018-34-ნ-0003-626
ისბნ: 978-975-19-3602-8
სერთიფიკატის ნომერი: 12931
თ.რ. რელიგიის საქმეთა სამინისტრო
კომუნიკაცია
რელიგიური გამომცემლობის გენერალური სამმართველო
ბეჭდვური გამომცემლობის სახელმწიფო სამმართველო
უნივერსიტელერი. დუმლუფინარის ბულვარი
ნომერი: 147/1. 06800. ჩანქაია/ ანკარა
ტელ: 0312 295 72 93-94 ფაქსი: 0312 284 72 88
ელ-ფოსტა: diniyayinlar@diyanet.gov.tr

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

ვედრების არსი

ჰალილ ალთუნთაში

ანკარა 2021

სარჩევი

წარდგენა 7
წინასიტყვაობა 9
გაცნობა ვედრებასთან 13
ვის ვევედრებით? 21
რატომ ვევედრებით? 27

ა. მქვეყნიური ცხოვრებისკენ მიმართული ვედრებები 28
1. ავადმყოფობა 30
2. საჭიროებები და სურვილები 32
ა. ვედრება, რომელიც სიკვდილის შემდეგისკენ არის მიმართული 34
1. ცოდვების მონანიება და პატიება 35
2. საიქიო სირთულეებისგან გადარჩენა 40

ვედრების კავშირი რელიგიურ სხვადასხვა მიდრეკილებებთან 43
ა. ვედრებისა და რწმენის ურთიერთკავშირი 44
ბ. ვედრებისა და განგების ურთიერთკავშირი 45
გ. ვედრებისა და ღვთისმსახურების ურთიერთკავშირი 49

ვედრების ელემენტები 53
ა. ვედრება და გარემოება 54
ბ. ვედრება და ქმედებათა ერთობლიობა 75

ვედრების გავლენები ჩვენი ფიზიკური და სულიერი აგებულების მიმართ 91
ა. ვედრების ფსიქოლოგიური გავლენები 92
ბ. ვედრების ფიზიოლოგიური გავლენები 94
წყევლა 97
ვედრება და საშუალება/თევესსული 103

ხორცშესხმული ვედრება - ლოცვა 109

ვედრების კართან შუამავალთა ქარავანი 117
ა. როგორი იყო წინამორბედი შუამავლების ვედრებები 119
ბ. შუამავალი მუჰამმედის (ს.ა.ს.) ვედრების სამყარო 125

წყაროები 131

წარდგენა

რელიგიის საქმეთა სამინისტრო, როგორც საზოგადოების სულიერი განათლების საკითხში მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი ორგანიზაცია, თავისი დაარსების დღიდან ბეჭდვურ საქმიანობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სამინისტროს მიერ პირველი გამოცემა დაიწყო 1924 წელს, როდესაც აჰმეთ ჰამდი აქსექის პირველი წიგნი, "მორალის გაკვეთილები" დაიბეჭდა. იმ დღიდან მოყოლებული ამ ორგანიზაციის თაოსნობით რელიგიური შინაარსის წიგნების გამოცემა უფრო და უფრო ვითარდება და გამოცემული ლიტერატურე უფრო მრავალფეროვანია.

სამინისტრო დროთა განმავლობაში საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს ყოველთვის ითვალისწინებდა და სხვა და სხვა გამოცემებს სთავაზობდა, მათ შორის საბავშვო გამოცემები, სახალხო და ა. შ. სამინისტრო ასევე საზოგადოებას სთავაზობდა ილუსტრირებულ და გახმოვანებულ ლიტერატურას. ჯანსაღი სასულიერო განათლების ძირითადი პირობა სწორი ინფორმაციის მიწოდებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში მკითხველთა რაოდენობა სასურველი რაოდენობის არ გახლავთ, მატერიალური და ელექტრონული სახით მიწოდებული ლიტერატურა მაინც დღითიდღე იზრდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხების განხილვის ფორმები და წერის მანერა ჯერ კიდევ არ არის იმ დონეზე, რომ მკითხველმა წიგნი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხოს. ჯერ კიდევ იგრძნობა მძაფრი საჭიროება იმისა, რომ წიგნმა მკითხველის სულიერ სამყაროში შეაღწიოს და სასურველი ეფექტი იქონიოს. ადამიანებს სჭირდებათ ცოდნა, რომელიც ღვთისმსახურების ნამდვილ მიზანს გააგებინებს და მისი შესრულებისთვის გულწრფელ მოტივაციას შეუქმნის. სწორედ ამ მიზნითაა მომზადებული მრავალი წიგნი, სადაც ღვთისმსახურებაში არსებული სიბრძნე და მიზანია განხილული.

ყველა ღვთიური დებულება, რომელიც ღმერთმა დაგვიდგინა, ადამიანთა სასარგელოდაა მიმართული და მათი დაცვა, როგორც ამქვეყნიური, ისე საიქიო ბედნიერებისკენ მიმავალ გზებს გვასწავლის. ყოველ ბრძანებასა თუ აკრძალულში უსასრულო სიბრძნე და სიკეთეა. სწორედ სამყაროს გამჩენია სიბრძნისა და სიკეთის წყარო. მას ტყუილუბრალოდ, უმიზნოდ, უშინაარსოდ არაფერი გაუჩენია. ადამიანებს მხოლოდ ღვთის მიერ ბოძებული უნარებით შეგვიძლია სამყაროს აღქმა და მხოლოდ იმ დოზით, რაოდენსაც თავად გამჩენი გვიწყალობებს.

წინამდებარე ნაშრომი "სიბრძნის სერიიდან" ერთ-ერთია. აღნიშნულ სერიაში მოცემული თემები ღვთისმსახურებას შეეხება და ისინი განხილულია მათში არსებული სიბრძნის თვალსაზრისით, რამეთუ მკითხველმა თითოეული ღვთისმსახურების არსი და შინაარსი გაიგოს. თითოეულ ნაშრომში გამოყენებულია მეთოდი, რომელიც ადამიანთა გრძნობებს ეხმიანება და მათ ფიქრისკენ, აზროვნებისა და შემეცნებისკენ წარმართავს. ამ სერიაში ასევე წარმოდგენილია შემდეგი წიგნები: მონოთეიზმის არსი, ლოცვის არსი, ყურანის გაგება, მსხვერპლშეწირვის არსი და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომში თითოეული სიტყვა მთელი გულისყურითაა შერჩეული და შესაბამისად, იმედი გვაქვს, რომ აქ წარმოდგენილი გზავნილები მკითხველის გულსა და გონებას სწორი ფორმით შეეხმიანება. თანამედროვე ეპოქაში ძალიან რთულია შეიქმნას ისეთი წიგნი, რომელიც მკითხველს აიძულებს "ერთი ამოსუნთქვით" წაიკითხოს, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენმა მწერლებმა ძალიან მოიმდომეს და ამ სირთულის გადალახვისათვის ყველაფერი გააკეთეს. საბოლოო ჯამში, ადამიანთა გულებისკენ გზას თავად გამჩენი კვალავს და გადარჩენაც მისი უზენაესი ნებაა. ჩვენ კი ვცდილობთ გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია. უზენაესს ვთხოვთ, ეს წიგნი სასარგებლო იყოს მკითხველებისთვის და მასში მოცემული გზავნილები მკითხველთა გონებაში სწორად აისახოს.

მცდელობა ჩვენგან, წყალობა კი გამჩენისგანაა.

რელიგიის საქმეთა სამინისტრო

წინასიტყვაობა

ადამიანი.. უმაღლესი ნიჭისა და მოხერხებულობის მქონე, თუმცა ამასთან ერთად იგი საკმაოდ სუსტი არსებაა.. როცა თავი ძლიერი, შეძლებული ღონიერი გონია, სულ იოლად შეიძლება, რომ მოულოდნელად ძირს დაეცეს. გამომდინარე აქედან, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში იგი ყოველთვის საჭიროებს ვიღაცის დახმარებას.. ყველა წყარო, რისგანაც შეიძლება ადამიანმა დახმარება მიიღოს, ასევე სუსტი და უძლურია. ყველაფერი წარმავალი, უძლურია და უდავოდ საჭიროებს ყოვლისშემძლეს დახმარებას..

სწორედ რწმენით აღსავსეა ის გული, რომელიც აღიარებს და ასახელებს დახმარების საჭიროებას. მან უწყის, რომ ყველაფრის დასაბამი და დასასრულის წერტილი ღვთიურ წრეშია მოქცეული. ასევე ამჩნევს, რომ მატერიალური თუ ადამიანური შესაძლებლობა მხოლოდ დროებითია და პატარა ჩრდილია თავის ცხოვრებაში. გამომდინარე აქედან, ყველაფერი იმის შესრულების შემდეგ, რისი ძალაც შესწევს, საბოლოოდ სურვილებს დიად გამჩენს მიენდობს. სირთულეების გადასალახად, დუხჭირი სიტუაციიდან გამოსავალის საძიებლად, მხოლოდ მის დახმარებას ითხოვს. მხოლოდ მისთვის მოიდრეკს მუხლს და ორივე სამყაროსთვის სიკეთის სურვილებს მას გაუმხელს. მოკლედ, ის დიადი გამჩენის წინაშე ვედრებას აღავლენს.

ვედრება, ეს არის უზენაეს ალლაჰსა და მონა-მსახურს შორის პირდაპირ მნიშვნელობით კომუნიკაციის გამოხატვა. ამ თვალსაზრისით ყურანი, რომელიც ღვთიური ზეშთაგონების დედამიწაზე უკანასკნელი გამოვლინებაა, ხშირად ვედრებაზე აკეთებს აქცენტს, რის გამოც ბუნებრივია ალლაჰი შუამავლის (ს.ა.ს.) ცხოვრებაში ვედრებამ განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა. ყურანში წარმოდგენილია ვედრების სხვადასხვა ნიმუშები, რომელიც ისტორიის მანძილზე გარკვეულ მიზეზებს უკავშირდება. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) იმისათვის, რომ ჩვენც ვყოფილიყავით უზენაეს

ალლაჰზე მავედრებელნი, უზენაეს გამჩენს ჩვენთვის ხშირად გულმხურვალედ ავედრება. ვედრებები, რომლებიც ყურანსა და სუნნეთში გვხვდება, მონა-მასახურის დიადი გამჩენისადმი დაახლოების ერთობ მინიშნებაა ვედრების გზაზე ყოფნისა. აღნიშნული ვედრებები მონა-მსახურს შეაგულიანებს რათა ჩადენილი ცოდვების და შეცოდებების გამო არ მიეცეს სასოწარკვეთილებას. მტკიცედ ჩარაზავს უიმედობის კარს და მონა-მსახურებრივ თვითშეგნებას ჯანსაღ საფუძველს ჩაუყრის. ამ თვალსაზრისით ვედრება, როგორც მცნების გაგება, მორწმუნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

თქვენს ხელთ არსებულ წიგნი სწორედაც ვედრების არსზე, ჩვენს ცხოვრებაში მის როლსა და ადგილის გაგებაში დაგეხმარებათ. ვედრება მორწმუნის ცხოვრებაში შეუდარებელი საუნჯეა.

ვიმედოვნებთ, ვედრების არსის გაგებაში მცირდენ წვლილს მაინც შევიტანთ.

ირინე. დრ. ბაღდიანი ალბითარიაში

გაცნობა ვედრებასთან

ვედრება არაბულად არის “დუა” მისი ლექსიკონისეული მნიშვნელობები შემდეგია: მოწოდება, მოპატიჟება, დახმარების თხოვნა. რელიგიურად კი ვედრება ნიშნავს ადამიანის მიერ ღვთისადმი თხოვნით გაჟღერებულ სურვილებს.

როდესაც აღმოვჩნდებით მძიმე სირთულის წინაშე დავიწყებთ ისეთი ვინმეების მოძიებას, ვინც დახმარების ხელს გამოგვიწოდებს. მაშინ ცალკეულად გაგვიელვებს თავში ის პიროვნებები, ვისაც შეიძლება დახმარების თხოვნით მივმართოთ. თუკი საკმაოდ სერიოზული და სასწრაფო სირთულის წინაშე დავდგებით, მაშინ სრულიად დაუფიქრებლად შეჰკივლებთ: „მიშველეთ“! არავინაა, ვინმე დამახმაროს? ასეთი მიმართვა, აშკარად მეტყველებს გარესამყაროზე ჩვენს აბსოლუტურ დამოკიდებულებას, რათა შევძლოთ არსებობის გაგრძელება. ჰაერი, წყალი, ქარი, მიწა, ხეები, ფოთლები, მზე და სხვა უამრავი რამ ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. განურჩევლად იმისა, ვამჩნევთ თუ ვერა ამ ყველაფერს, მაგრამ თითოეულ ამოსუნთქვის დროს დახმარებისა და მხარდაჭერის ძიებაში ვიმყოფებით. ყოველი ამოსუნთქვის დრო, როცა ჰაერს ჩავისუნთქავთ ან ამოვისუნთქავთ, ერთის მხრივ მოწოდებაა. პირველ რიგში ის, რომ მიღებული ჟანგბადით სისხლი იწმინდება, ხოლო მეორე რიგში სხეულს დაბინძურებული ნახშიროჟანგისგან განწმენდს. მოწოდებაა ბავშვის ტირილი, ასევეა დასვენების მოთხოვნილება და წყურვილი. ცოხვრება თითქოს მოწოდებათა სერიაა და ყოველი მოწოდება სურვილებზე პასუხის გაცემისკენ არის მიდრეკილი.

ადამიანი მოწოდებისა და სურვილებისგან შემდგარი წესით ცხოვრობს. მაგრამ ეს სურვილები მხოლოდ არ შემოიფარგლება სხეულითა და მატერიალური სამყაროთი, იგი ამავდროს სულსა და მეტაფიზიკას შორის კომუნიკაციის ნაწილის მოიცავს. უფრო მეტიც ვითარების მატერიალური და სამყაროსეული განზომილება, მხოლოდ გარეგნული სახეა. სინამდვილეში ვითარების არსი, ადმიანის როგორც

საკუთარი თავის, ასევე უწყვეტი მოწოდების ფიზიკური გარემოსა და ზოგადად ყველაფრის გამჩენთან აყალიბებს კავშირს. იმის გამო, რომ არსებობს ყველაფრის გამჩენი და ყოვლისშემძლე უზენაესი ძალა, ყველანაირი მოწოდება, რაც რამ ჩვენს ცხოვრებას შეადგენს, ძირითადად მისკენ მიმართული მოწოდებაა.

ადამიანს თავისი ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნულ ძალასთან შეხამებული ხასიათი გააჩნია. ძალა, რომელიც კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ფორმებში განსხვავებულად გვხვდებოდა, ღვთიური უკანაკნელი წიგნის ენაში ის „ალლაჰის“ სახელით არის მოხსენიებული. უზენაეს ალლაჰსა და ადამიანს შორის კომუნიკაცია ალლაჰის ჭეშმარიტ ყოვლისშემძლეობას, ხოლო ადამიანის მუდმივად დახმარების საჭიროების მქონე თავისებურებას ემყარება.

სასურველი რამის მიღწევისთვის შრომა და შესაბამის გარემოს შესაქმნელად გარჯა სხვა არაფერია, თუარა სურვილის მოქმედებაში გამოვლინება, რაც სურვილის ზოგადი და ფილოსოფიური განზომილებაა. ყოველდღიურ ცხოვრებაში როდესაც რაიმე საჭიროების დროს გამოხატავათ სურვილს, თავდაპირველად რაც გვახსენდება, სურვილის სისრულეში მოყვანისთვის, ვინმესთვის მიმართვაა. ძირითადად სურვილი, სიტყვებით გამოხატვის შემდეგ მოქმედებით ღირებულებას შეიძენს. სწორედ ანალოგიური შეგნების შედეგია, რომ როდესაც ვამბობთ სიტყვა „ვედრებას“, უზენაესი ალლაჰისკენ მიდრეკილი სურვილები გვახსენდება.

„დუა“ არაბული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად „ვედრებას“ ნიშნავს. რაც შეეხება სიტყვა „დუის“ მნიშნველობას იგი „მოწოდებას, დაძახებას, მოწვევას, დახმარების თხოვნას ნიშნავს, ხოლო როგორც რელიგიურ ტერმინს, მისი განმარტება ასეთია: „მონა-მსახურის მიერ სურვილების ალლაჰის წინაშე გამოხატვა და აღნიშნულთან დაკავშირებით მისგან დახმარების თხოვნა.

უზენაესმა ალლაჰმა ადამიანი იმ გამორჩეული თვისებე-

ბით გააჩინა, რაც სხვა არსებებს არ გააჩნიათ. ადამიანში არსებული გონიერებისა და ნების თვისება მას განსაკუთრებულ თვისებას ანიჭებს. მაგრამ ამ ორი მნიშვნელოვანი თვისების ქონა, მიზეზი ხდება იმისა, რომ თავის თითოეულ ნამოქმედარზე პასუხისმგებელობა ეკისრება. ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი პასუხისმგბელობა ის არის, რომ ამქვეყნად ნამოქმედარი თითოეული ქმედების გამო, დიად გამჩენს ანგარიში უნდა ჩააბაროს. ვალდებულებიდან გამომდინარე იგი, ქმედებას ფიქრის საფუძველზე იწყებს, დამოკიდებულებებისა და ყოფა-ქცევის დროს უზენაესი ალლაჰის მიერ დადგენილ საზღვრებს უნდა მიაქციოს ყურადღება და პრინციპების შესაბამისად ისინი ცხოვრებაში უნდა გაატაროს.

პირველი, რის გამოც ადამიანს პასუხისმგებლობა ეკისრება, უზენაესი ალლაჰის შეცნობა, მისი არსებობისა და ერთად-ერთობის რწმენა, ცოდნა იმისა თუ სად გადის ცხოვრებისეული პრინციპები და მისი შესაბამისად გამოყენებაა. შუამავლებისა და ღვთიური წიგნების არსებობის უმთავრესი მიზანიც, ადამიანისთვის აღნიშნულ საკითხებში გათვითცნობიერებულობაა. ადამიანის სიცოცხლე განსაზღვრული ხანგრძლივობისაა. მან, ეს ხანმოკლე ცხოვრება, როგორც ამქვეყნიურ ცხოვრების, ასევე საქიოს ცხოვრების სასიკეთოდ საკმაოდ ღირებულად და დადებითი განწყობით უნდა გაატაროს. ამქვეყნიური ცხოვრება, რომელიც თვალის დახამხამებაში მიიწურება, იძულებული ვართ, იგი საიქიო ცხოვრებისთვის ბედნიერებისთვის მივმართოთ და შევაფასოთ როგორც „ბიზნეს ცენტრი“.

მართალია, ცხოვრების ეს პერიოდი არცთუ ისე მარტივია. იმისათვის, რომ ის სასარგებლო და მომგებიანი გავხადოთ, უამრავი დაბრკოლება უნდა გადავლახოთ და უთვალავი გამოცდა უნდა გამოვიაროთ. ადამიანი, რომელიც ითავისებს აღნიშნულ სინამდვილეს, მთელი გულწრფელობითა და მონდომებით განისარჯება, მონა-მსახურებრივი თვითშეგნებით ყველაფერს შეეცდება, რათა ადამიანურად შეძლოს ცხოვრება. თუმცა ამავდროს ვდგავართ იმ ჭეშმარიტების წინაშე, რასაც ადამიანი და სისუსტე ჰქვია. ცხოვრების განმავლობაში შესაძლოა ადამიანი აღმოჩნდეს ისეთ

ვითარებაში, როცა ამოიწურება ყველა შესაძლებლობა, მხარდაჭერა და დახმარება. ასეთი ვითარების წინაშე იმდენად ხშირად აღმოჩნდება, რომ ცხოვრება ერთობ ქველმოქმედებისა და მხარდაჭერის პერიოდად წარმოგვიდგება. მაგრამ საბოლოო ჯამში ისინი ვისთივსაც მხარდაჭერისა და დახმარებისთვის მიმართვა ხდებოდა, თავად აღმოჩნდებიან დახმარებისა და მხარდაჭერის საჭიროების წინაშე. ამიტომაც ადამიანი საჭიროდ ჩათვლის მიმართოს ისეთ არსებას, რომელიც არვის და არაფერს საჭიროებს. ეს ადამიანის ბუნებაში არსებული განსაკუთრებული ხასიათია. თუკი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოვლინდა, ნებისმიერი ადამიანი თავის მიდრეკილებას აუცილებლად გამოავლენს და სურვილებითა თუ მოთხოვნილებებით უზენაეს ყოვლისშემძლეს მიმართავს. მისგან სურვილების შესმენას ითხოვს და შედეგსაც მისგან დაელოდება. სწორედ სურვილების უზენაეს გამჩენისადმი გამხელა და მისგან დახმარებისთვის მიმართვის სახელია „ვედრება“.

როდესაც საუბარია ვედრებაზე, რა თქმა უნდა გვახსენდება ზეადამიანური არსება, რომლის დახმარებასაც ვსაჭიროებთ. ზეარსებითი რწმენა, რელიგიური ფენომენის ძირითად ელემენტია. მაშ ასე, ვედრება რელიგიური მოქმედებაა. ვედრება –ზეადამიანური არსების ანუ უზენაესი ალლაჰსადმი მონა-მსახურებრივი კავშირის გამოხატულებაა. ვედრება – უარი და თავისუფლების გაცხადებაა, ისეთი არსებებისადმი დამოკიდებულებისა, როგორიც ადამიანის მსგავსი სისუსტით გამოირჩევიან. ვედრება -იგვლივ მატერიალიზმით გარსშემორტყმული ადამიანის მიერ სალი კლდის გარღვევა და მთელი გულით ჭეშმარიტ არსებასთან კავშირის დამყარებაა.

მატერიალიზმი ეს არის, ცხოვრება, რომელიც მხოლოდ მატერიალური არსებებისგან შესდგება და აქ ძირითად ფასეულობას მატერია წარმოადგენს. სწორედ მატერიალიზს ახასიათებს ადამიანის მარტოობაში მიტოვება. მატერიალიზმის თვასაზრისით არსებათა სამყარო უმნიშვნელოა, ამ მიმართულებით ადამიანი უკიდეგანო სამყაროში განმარტოებული არსებაა, რომელიც სულიერებისგან დაცლილ, კანის ფერში გამოკეტილ ცხოვრებას ატარებს. რაც

შეეხება რწმენას და მორწმუნეობას, იგი სულის წინ უსასრულო ჰორიზონტებს გაშლის. აქ, გონება და გული ურთიერთჰარმონიულია. მორწმუნე ადამიანის წინაშე არსებობს გზის რუქა, რითიც იგი უწყის თუ, როგორ და, რა მიმართულებით უნდა გადადგას ნაბიჯი, რომელი საქმე რა მიზნით უნდა აკეთოს და ამრიგად სიმშვიდით ატარებს ამქვეყნიურ ცხოვრებას.

პიროვნება, რომელსაც არაფრის რწმენა არ გააჩნია, მისთვის უმნიშვნელო იქნება ზოგადად ვედრების შესახებ საუბარიც კი. მაგრამ დედამიწაზე ადამიანის არსებობიდან მოყოლებული, იგი ყოველთვის ხელებს აღაპყრობდა და მასზე უზენაეს არსებას ევედრებოდა. აღნიშნული ჭეშმარიტება მიუთითებს იმაზე, რომ ვედრება ადამიანის ბუნების ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნილებას წარმოადგენს.

ისლამი ადამიანს ასწავლის იმ ჭეშმარიტებას, რომ ის არასოდეს არის მარტოდ და უზენაესი ალლაჰი ყოველთვის მასთანაა. ყურანში ვკითხულობთ: „იგი თქვენთანაა, სადაც არ უნდა იყოთ, რამეთუ ალლაჰი მხილველია იმის, რასაცა იქმთ“. (ჰადიდი, 57/4) აღნიშნული სულიერი მდგომარეობა პიროვნებას შეაგონებს თქვას: „ამ ქვეყნად ეული არავინ არის/ ყველას აუცილებლად ვინმე ჰყავს/ ეულად დავრჩი, დამხმარე, ეულთა მფარველო. ვედრება, ის ადგილია, სადაც მონა-მსახურებრივი, უმწეოობის, თხოვნის, სინანულისა და აღიარების სიტყვები ეცემა. ვედრებით გაჯერებულ ქვემოთ მოცემულ სიტყვებს ჩაურღრმავდით:

„ვედრების შემსმენო და სურვილების ამსრულებელო, მხოლოდ საყვარელ მსახურებს არგუნებ ვედრებით გაჯერებული სიტყვების წარმოთქმას, ხოლო შეუბოჭავ ხელებს და ენას მას, ვინც არ გიყვარს და დაბრკოლებას შეუქმნი ვედრების გზაზე. ღმერთო ჩემო!

მოგვიტევე ჩვენ!.

ღმერთო ჩემო!

მოგვმადლეს სიკეთე, მოგვეცი ნიჭი, რომელიც კეთილისა და ბოროტების ერთმანეთისგან გარჩევის უნარს შეგვძენს,

აგვარიდე უმადურობა და ზნედაცემულობა, ჩაგვინერგე სულიერი ძმობის ერთგულება და მუდამ თან გვქონოდეს იგი!

ვის ვევედრებით?

მონა-მსახურმა უწყის, რომ ყველაფერი
უზენაესი ალლაჰის ძალაუფლების
შედეგია,
ყოველთვის ახსოვს, რომ მიზეზები
დიადი გამჩენის მიერაა გაჩენილი.
ამიტომაც იგი უძლურებასა და
გასაჭირს, მადლიერებას, მუდარასა
და მორჩილებას , მხოლოდ მის წინაშე
გამოხატავს. სწორედ მასზე მიმართვის
სახელწოდებაა „ვედრება“.

უდავოა, რომ ვედრება სრული მნიშვნელობით ორიენტირებაა. როდესაც ვამბობთ სიტყვა „რელიგიას“ თავდაპირველად ალლაჰის რწმენა გვახსენდება. რამეთუ რელიგია თვით უზენაესი ალლაჰის მიერაა დადგენილი. ბოლო ჭეშმარიტი რელიგიის –ისლამის მრწამსის სისტემის თანახმად, უზენაესი ალლაჰი არსებათა გამჩენი და მფარველია, რომელიც ერთად-ერთია, ვინც ღირსია მონა-მსახურებისა. ალლაჰის, როგორც არსების შესახებ ცოდნა, გონებით შეუძლებლია. ჩვენ მისი ცნობა, მხოლოდ თავისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენით შეგვიძლია.

ალლაჰის რწმენა ადამიანის სულის სიღრმეშია განთავსებული. რამდენადაც უნდა შეზღუდო, ის აუცილებლად გამოანათებს. ადამიანის მიერ უზენაესი ალლაჰის შეცნობა, მასთან ჩამოსაყალიბებელი ურთიერთობის მხოლოდ საწყისია. ეს არის მომენტი, როცა პიროვნება მონა-მსახურებრივ ცნობიერებას განიცდის. ამის შემდეგ თავისი ცხოვრების წესი, უზენაესი ალლაჰის ნების შესაბამის ფორმას მიიღებს. ჩვენში დაისადგურებს ცნობიერება, რომელიც გვახსენებს, რომ ცხოვრების გზაზე მუდამ თან დაგვყვება უსასრულო ძალა. მონა-მსახურმა უწყის, რომ ყველაფერი უზენაესი ალლაჰის ძალაუფლების შედეგია, ყოველთვის ახსოვს, რომ მიზეზები დიადი გამჩენის მიერაა გაჩენილი. ამიტომაც იგი უძლურებასა და გასაჭირს, მადლიერებას, მუდარასა და მორჩილებას მხოლოდ მის წინაშე გამოხატავს. სწორედ მასზე მიმართვის სახელწოდებაა ვედრება

დიად გამჩენია ერთად-ერთი, ვისაც ვედრებისას ვესაუბრებით. შეუძლებელია მასსა და ჩვენს შორის ვინმეს ან რომელიმე არსების ყოფნა. მისი სახელის ხსენებით, მისი თავი-

> წრფელი გულით უნდა გვწამდეს, რომ უზენაესი ალლაჰი მონა-მსახურთან სულ მუდამ ახლოსაა. ხოლო მონა-მსახური რწმენის წყალობით ღვთისმოსაობისა და გულწრფელობის შესაბამისად ალლაჰს უახლოვდება. „უეჭველად, ალლაჰისგან არაფერია დაფარული, არც ცათა შინა და არც ქვეყანასა ზედა. (ალი ღიმრანი, 3/5)

სებურებების წარმოთქმით ვედრებას თავისეულ ფორმას შევძენთ. „ყველაზე საუკეთესო სახელები ალლაჰისაა. მაშ, შეევედრეთ მას ამით და განერიდეთ, რომელნიც მის სახელების შესახებ ჭეშმარიტებას ცვლიან“. (ეღრაფი, 7/180) მოცემული აიათი თვალწინ წარმოგვიდგენს უკიდეგანო ჰორიზონტს და გვამცნობს, თუ როგორ უნდა შევავედროთ მას. განურჩევლად იმისა, რომელიც სახელითაც უნდა მივმართოთ, მისკენ მივემართებით და ის იქნება ჩვენი მოსაუბრე.

ამრიგად, უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „უთხარი: „მოუხმეთ ალლაჰს ან მწყალობელს! როგორც უნდა უხმოთ, ყველა მშვენიერი სახელია მისი.“ და არ აუწიო ხმას ლოცვაში და არც დაუწიო მას, ამ ორ შორის საშუალო გზა დაიდგინე!

ჩვენც, დიად გამჩენს იმ მშვენიერი სახელით ვახსენებთ, რა საკითხსაც ჩვენი ვედრება შეეხება. წინაპლანზე დიადი გამჩენის იმ თავისებურებებს წამოვწვთ, რომელი სურვილების სისრულეში მოსვლის იმედიც გვექნება, მაშინ მხოლოდ მისკენ მივიქცევთ სახეს და მივმართავთ: მაგალითად; თუკი ავად ვართ, „ო, შვების მომცემო“! თუ შეცდომა დავუშვით; „ო, ცოდვების დამფარველო“! თუ მშივრები ვართ; „ო, სარჩოს მბოძებელო“! რამეთუ გვწამს, რომ მხოლოდ ის შეისმენს გასაჭირში მავედრებელისას.

უზენაესი ალლაჰის მშვენიერ სახელთაგან ერთი ნაწილი ახლო კავშირშია ვედრებასა და მასზე მიმართვასთან. ყველაფერი ამის ცოდნა და იმედით აღსავსე გულით ვედრება, მოგვანიჭებს რწმენას, რომ იგი დიადი გამჩენის მიერ შესმენილი იქნება.

სწორედაც ყურანის დასაწყისში არსებული „ბესმელე“ და პირველივე სურა „ფათიჰა“, დღის წესრიგში წარმოგვიდგენს ალლაჰის მშვენიერ სახელთაგან ორ ძირითად თავისებურებას. ესენი; „რაჰმანი და რაჰიმია“. მოცემულ სიტყვათაგან ორივე ერთი ფუძისგან, „შებრალებისა და შეწყალებისგან“ არის წარმოებული. დიახ, სამყაროთა გამჩენი, ალლაჰი მეთვალყურეობს ყველას და ყველაფერს, სულიერსა თუ უსულოს, შეიბრალებს და შეიწყალებს მათ. განსაკუთრებით ადამიანებს..

უფრო მეტიც, ისინი ვინც მონა-მსახურებრივი რწმენითა და ცნობიერებით იქცევიან, როგორც ამქვეყნად, ასევე საიქიოში აღნიშნული ღვთიური თავისებურებების გამოვლენის წილი, მათზე უფრო მეტი იქნება. ეს ჭეშმარიტება კი ჩვენში მიტევების იმედსა და სურვილს უფრო გაამრავლებს. ვიცით, რომ ის საკუთარ თავს (ჯაფფარად) „მიმტევებლად“ ახასიათებს.. აღნიშნული თავისებურების სიდიადე და სიღრმე ჩვენს ცოდვებს მცირედ არ მოგვაჩვენებს, თუმცა მონა-მსახურებრივ თვითშეგნებას აგვიმაღლებს. ეს კი ვედრებას მყარ საფუძველს ჩაუყრის.

უზენაესი ალლაჰი მონა-მსახურთა მწყალობელი და დამხმარეა. მათ სიბნელიდან სინათლეში გამოიყვანს. (ბაყარა, 2/257) დიადი ალლაჰი „ვედუდია“ -მოსიყვარულეა, მას მონა-მსახურები ძლიერ უყვარს და მონა-მსახურებს უყვართ იგი. (ჰუდი, 11/90) ალლაჰი „ჰალიმია“, უწყის რა მონა-მსახურის მიერ ჩადენილი ცოდვების, არ სწრაფობს მათთვის სასჯელის მიზღვევას და მათ გარკვეულ ვადამდე დროს გადაუწევს. (ჰაჯი, 22/59)

ალლაჰის რწმენა და რწმენის შესაბამისად ცხოვრება, მის მფარველობაში შესვლის ტოლფასია. ამიტომაც არ არის საჭირო დროისა და ადგილმდებარობის განსაზღვრაზე საუბარი. ვერ ვხედავთ მას, თუმცა მას თავისი თავისებურებებით ვცნობთ. როდესაც თანამიმდევრებმა ალლაჰის შუამავალს (ს.ა.ს.) მის (უზენაესი ალლაჰის) შესახებ კითხვა დაუსვეს, დიადმა გამჩენმა თავადვე უპასუხა: „და თუ შეგეკითხებიან შენ (მუჰამმედ) ჩემი მსახურნი ჩემს შესახებ, უეჭველად, მე ახლოს ვარ, შევისმენ მლოცველის ვედრებას, როცა ის შემე-

ვედრება. მაშ, შეისმინონ ჩემი და მირწმუნონ მე, ეგებ სწორი გზით წავიდნენ! (ბაყარა, 2/186) „და ჩვენ მასთან უფრო ახლოს ვართ, ვიდრე აორტა“! (ყაფი, 50/16) ყურანი ანალოგიურ საყოველთაო ჭეშმარიტებას შუამავალი ჰუდის სიტყვებით შემდეგნაირად გამოხატავს: „..უეჭველად, ჩემი ღმერთი ახლოა, მიმღებია ვედრების!“ (ჰუდი, 11/61)

გულით უნდა ვირწმუნოთ, რომ უზენაესი ალლჰი მონამსახურთან გამუდმებით ახლოსაა. ხოლო მორწმუნე, მას რწმენისა და ღვთისმოსაობის შესაბამისად უახლოვდება. მისთვის ცასა და დედამიწაზე არაფერი რჩება დაფარული. (ალი ღიმრანი, 3/5) ამრიგად, უზენაესი ალლაჰი უეჭველად ყველა ვედრებას შეისმენს. როდესაც შუამავალი იბრაჰიმი ვედრებას აღავლენდა, აღნიშნული ჭეშმარიტება შემდეგი სიტყვებით გადმოსცა: „უეჭველად, ღმერთი ჩემი ვედრების შემსმენია“! (იბრაჰიმი, 14/39)

ღვთიური წყალობის ნიმუშია სამყარო, სადაც ყველაფერი უნიკალურად და ჰარმონიულად არის შეხამებული. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „..ხოლო წყალობა ჩემი გარემოიცავს ყველაფერს“. (ეღრაფი, 7/156) არსებათა სამყაროში წარმოუდგენელი წონასწორობა საიდან მოდის? განა არ არის ღვთიური წყალობის შედეგი, ის რომ ოკეანები და უკიდეგანო წყლები ჯერ ორთქლდება, შემდეგ გარდაიქცევა ღრუბლებად და ხელახლა მიწას ბარაქიან წვიმად ევლინება? სწორედ ამიტომ არის, რომ წვიმას ღვთის წყალობას ვუწოდებთ. აყვავებული მცენარეები და გარშემო უამრავი ფერები ღვთიური წყალობის ჯაჭვის თითოეული რგოლია..

ბუნებრივია, რომ როგორც სამართლიანობის თავისებურების განსახიერება ალლაჰის მოწყალებას რისხვაც თან ერთვის ხოლმე. როგორც ალლაჰის შუამავალი გვამცნობს: „მისი მოწყალება რისხვაზე უფრო მეტია“. (ბუხარი, თევჰიდი, 15; მუსლიმი, თევბე, 9/4) თუკი ძლიერების ფუნქცია, სიყვარულის სისრულეში მოყვანის მიზანს ემსახურება, ასეთი ძლიერება პრინციპულად სიყვარულთანაა გაიგივებული.

რატომ ვევედრებით?

„ჰეი, ხალხო! თქვენ ალლაჰის
წინაშე ღატაკნი ხართ, ხოლო
ალლაჰი ყოვლადმდიდარია,
ყოვლადქებულია“! (ფატირი, 35/15)

> მისათვის, რომ მოვიპოვოთ სასურველი ან მდგომარეობების, რომლებიც ჩვენთვის მიუღწევადია, დახმარების მიზნით უზენაესი ალლაჰის წინაშე ვედრებას აღვავლენთ. დედამიწაზე ღრუბლებად აზიდული ვედრებები, განსხვავებულია როგორც თავიანთი აღმვლენი. მაგრამ არსებობს ორი განსხვავებული შეხედულების შესახებ საუბარი: სიყვარული და ტანჯვა. იმას რასაც ალლაჰისგან ვსაჭიროებთ და ვითხოვთ, სრული არსებით სამართლიანი მოქმედებაა. მაგრამ ცუდი და უმნიშვნელოა ალლაჰისგან ისეთი რამის თხოვნა, რაც შესაძლოა საკუთარი გარჯით მოვიპოვოთ. (ალექსი კარრელი, დუა, გვ. 41)

არ არსებობს სურვილი, რაც შეიძლება ვედრების საკითხს მიღმა დარჩეს. საკმარისია სასურველი რამ, უზენაესი ალლაჰის მიერ მოუწონარი რამ ნუ იქნება. მაშ ასე, ვედრება ნებისმიერ ცხოვრებისეულ საკითხს სრულად გარემოიცავს. გამომდინარე აქედან, ის რაც შესაძლოა ვედრებით ვითხოვოთ, რთულია ცალკეულად სახელ-სახელ ჩამოვთვალოთ. მაგრამ თუკი პიროვნების ცხოვრებას ზოგადი მონახაზებით წარმოვიდგენთ, საკითხი შესაძლოა ორ ძირითად ქვესათაურად განიხილოს:

ა. მქვეყნიური ცხოვრებისკენ მიმართული ვედრებები

ადამიანი, რომელიც გონიერებითა და ნების გამოხატვის მსგავსი უმაღლესი თვისებებით სხვა ცოცხალ არსებებისგან განსხვავებულია, საბოლოო მიზანს როგორიცაა, რწმენა და მორწმუნეობა, მხოლოდ აღნიშნული ნიშანდობლივი თვისებებით შეუძლია მიაღწიოს. სამწუხაროა, რომ მიუხედავად ზემოთ ხსენებული დამახასიათებელი თვისებებისა, თავისი

ჩვენი ღვთისადმი მორჩილებისა და ვედრების საფუძველში ამქვეყნიური, მატერიალური სურვილების ასრულებაზე მეტად უნდა ჩანდეს უდაო ჭეშმარიტება, რომ ჩვენ უმწეონი ვართ და მასზე ვართ დამოკიდებულნი.

ბუნებიდან გამომდინარე სუსტი არსებაა. (ნისა, 4/28) იგი, მუდამ და ყველაგან ალლაჰზე დამოკიდებული“. ყურანი აღმიშნულ ჭეშმარიტებას შემდეგი აიათით გვამცნობს: „ჰეი, ხალხო! თქვენ ალლაჰის წინაშე ღატაკნი ხართ, ხოლო ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია“! (ფატირი, 35/15)

ცხოვრება, რომელსაც ადამიანი გადის, მას უმარავი სირთულის წინაშე აყენებს. ადამიანს გონიერების წყალობით, შეუძლია უამრავ სირთულეს გაუმკლავდეს. მაგრამ შეიძლება ცხოვრებამ ზოგჯერ ისეთი მძიმე სირთულის წინაშეც კი დაგვაყენოს, რომ.. როგორც ადამიანი, ცხოვრებაში ზოგჯერ სრულიად უკონტროლო და განუსაზღვრელი საბოლოო შედეგის წინაშეც ვდგებით. როგორიცაა ომი, სტიქიური უბედურებები და საგანგებო ვითარება, რაც ადამიანს უძლურებას და განსაზღვრულ შესაძლებლობებს შეახსენებს ხოლმე. აი, სწორედ ამ დროს აქტიურდება ვედრება და დიად გამჩენზე მიმართვის განცდა, როცა არ არსებობს სხვა თავშესაფარი, დამხმარე და მფარველი. მსგავსი ვითარების დროს, როცა ჩვენი გარჯა და შრომა არასაკმარისია, ვედრება სასოწარკვეთილებიდან თავის დაღწევის, სიმშვიდისა და ნდობის წყაროა. მარტოობა და უძლურებაა რაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანს ძნელბედობის განცდის წინაშე აყენებს. რაოდენ დიდი და უშრეტი ხაზინაა, როცა ადამიანს სწორედ ამ დროს აგრძნობინებს, რომ ის მარტოდ არ არის და მას ჰყავს ბატონ-პატრონი, ვინც მას მუდამ დაეხმარება. ომერ რუშენი, აღნიშნულ ვითარებას და განცდას შემდეგი სიტყვებით გადმოსცემს:

„არავინაა უთვისტომო, ყველას ვინმე ჰყავს აუცილებლად/
გთხოვს დამეხმარე, ეულად დავრჩი, ო, ეულთა მფარველო“!

ვედრება, რომელიც ალლაჰის შუამავალმა ტაიფიდან დაბრუნებისას აღავლინა, ნათლად აჩვენებს თუ როგორ აღამაღლებს სულს მორჩილება და ნდობის კლიმატი:

„ღმერთო ჩემო! მხოლოდ შენ შეგჩივლებ ჩემს უძლურებასა და უმწეობას. ვის იმედად მტოვებ მე; მტრის? რომელიც მე უხეშ და საზიზღარი სახით დამხვდება? (ჰეისემი, მეჯმაუ'ზ –ზეგაიდი, VI, 37)

ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ნეგატიურობა იქნება, თუკი მას არ ექნება თავშესაფარი, როგორიცაა ფართოდ გახსნილი ვედრების კარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანსა და დიად გამჩენს შორის ურთიერთობა გაწყვეტილია, რამაც სულის სიღრმეში ჩაიბუდა ვედრებას წინ აღუდგა. ადამიანი, რომელიც ბუნების შესაბამისად ვეღარ მოქმედებს, მარტოდ-მარტოდ და დახმარების გარეშეა დარჩენილი.

ამქვეყნიურ ცხოვრებაში ვედრებას ყველაზე მეტად მაშინ მივმართავთ, როცა უმწეო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, სულით სიმწარეს განვიცდით და ჯანმრთელობას დავკარგავთ. ყურანი მსგავს ვითარებას შემდეგი სიტყვებით გვამცნობს: „ და როცა კაცს უბედურება ეწევა, გვევედრება ჩვენ წამოწოლილი ან მჯდარი ან ფეხზე მდგომი. მაგრამ როცა ავარიდებთ მას უბედურებას, ისე ჩაივლის, თითქოს არც ეთხოვოს ჩვენთვის შეწევნა თავსდატეხილი უბედურების გამო..(იუნუსი, 10/12) მაგრამ ამავე აიათის გაგრძელებაში ყურდღებას იპყრობს იმ პირების კირტიკა, რომლებმაც სირთულე უზენაესი ალლაჰის დახმარებით დასძლია და იქცევიან ისე, თითქოს ისინი (დიად გამჩენს) არასოდეს შევედრებოდნენ. მოდით ახლა დეტალურად გავეცნოთ იმ მომენტებს, როცა ვედრებას ყველაზე მეტად აღვავლენთ.

1. ავადმყოფობა

იმისათვის, რომ ადამიანმა ამქვეყნიური ყველა წყალობისგან საკმარისად ისარგებლოს, მას ჯანმრთელი სხეული სჭირდება. გარკვეული სენით დაავადებული ადამიანის ცხოვრების ხარისხი, ბუნებრივია, რომ მონა-მსახურებრივი ვალდებულების სისრულეში მოყვანას მეტწილად გაართულებს. ნიშანდობლივია, რომ ისლამი ჯანმრთელობის პრობლემის მქონე მონა-მსახურებს ლოცვის, მარხვისა და სხვა რელიგიური ვალდებულებებთან დაკავშირებით სიმარტივეს სთავაზობს.

ჯანმრთელობის დაფასება და შესაბამისი გაფრთხილება ისლამის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ამრიგად თუკი ვინმეს რაიმე სახის სენი შეიპყრობს, მკურნალობის გზების ძიება რელიგიური ვალდებულების ნაწილს წარმოადგენს. ალლაჰის შუამავალი ავადმყოფებს მკურნალობისკენ მოუწოდებდა და პრინციპულად დაასკვნა, რომ გარდა მოხუცებულობისა, ყველა დაავადებას შესაბამისი მკურნალობის გზები გააჩნია. (ებუ დავუდი, თიბბი, 1) „დიად გამჩენს მიტევება და ჯანმრთელობა თხოვეთ, რამეთუ მტკიცე რწმენის შემდეგ არავის ბოძებია იმაზე უფრო უკეთესი რამ, როგორიც ჯანმრთელობაა. (თირმიზი, დეავათი, 106)

ზემოთ მოცემული მკაფიო პრინცპის გათვალისწინებით, ალლაჰის შუამავალმა თავისი მოღვაწეობის პერიოდში, იმ დროისთვის მიღებული თითქმის ყველა სახის მკურნალობის მეთოდს მიმართა. მედიკამენტური მკურნალობისა და ქირურგიული ჩარევის გზებით შვების ძიებასთან ერთად აუცილებლად მიმართავდა ვედრებას. ალლაჰის შუამავალი, როგორც ფიზიკური დაავადების, ასევე ფსიქოლოგიური დაავადებებისთვის ვედრებას აღავლენდა და ამავეს მოუწოდებდა თანამიმდევრებს. (ებუ დავუდი, თიბბი, 19)

ალლაჰის შუამავლის მიერ აღვლენილი ერთ-ერთი ვედრება ასე გამოიყურება: „ღმერთო ჩემო, შენ ხარ ადამიანთა ღმერთი და სნეულებათა მკურნალი! გთხოვ, მარგუნე შვება, რამეთუ შენ ხარ შვების მომცემი. ამ სნეული ისეთი შვება არგუნე, რომ მას არანაირი სნეულება აღარ შერჩეს! (ებუ დავუდი, თიბბი, 19)

შესაძლოა ერთი შეხედვით აღნიშნული ვედრება მხოლოდ შვებისკენ ორიენტირებულ ვედრებით იყოს განმსჭვალული, თუმცა მასში ამავდროს უზენაესი ალლაჰის რწმენის სწავლების სიბრძნეცაა ჩადებული. მიუხედვად იმისა, თუ რა სახის მკურნალობის მეთოდს მივმართავთ, შვების მბოძებელი უზენაესი ალლაჰია. გამომდინარე აქედან მკურნალობის მეთოდები, არაფერი მიზეზია სხვა, თუარა შვების საშუალება.

ადამიანი თავისი არსებობის მანძილზე გარკვეული დაავადებისგან განკურნებისთვის ყოველთვის ვედრებას აღავ-

ლენდა ხოლმე. ეს კი ხშირად თავისდაუნებურად ვითარდება ადამიანში. პიროვნება რამდენადაც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეს, საკუთარი თავის აღსასრულის სურვილს გამართლება არ მოეძებნება. ამ საკითხთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავლის ზღვარი შემდეგია:

„თავს დამტყდარი ნებისმიერი უკუღმართობის მიუხედავად, სიკვდილი არავინ ისურვოს. თუკი ამ მიმართულებით მაინც უნდა თქვას რაიმე, მაშინ ასე წარმოთქვას: „ღმერთო ჩემო! მაცოცხლე მანამ, სანამ სიცოცხლე ჩემთვის სიკეთის მომტანი იქნება, მაგრამ თუკი სიკვდილი ჩემთვის უფრო უკეთესი იქნება, ჩაიბარე ჩემი სული“. (ბუხარი, დეავათი, 30)

2. საჭიროებები და სურვილები

იმისათვის, რომ ცხოვრება მშვიდად განაგრძოს დინება, მატერიალური და სულიერი თვალსაზრისით უამრავ რამეს ვსაჭიროებთ. შაკვების, სამოსისა და სსაცხოვრებელი სახლის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ამ სხვა მსგავსი აუცილებლობებისთვის, ბრძოლა გარდაუვალია. ეს არის ბრძოლა, როცა ადამიანი თავისებური მეთოდებით, მაგრამ ყველასგან დამოუკიდებლად და სხვების გარეშე ვერაფერს შეძლებს. იგი ამისათვის სხვა ადამიანებსა და ცოცოხალ არსებებს საჭიროებს, ამასთან იძულებულია გარკველ ზღვარს მიაქციოს ყურადღება. სწორედ ამ ბრძოლაში, წინამდებარე დაბრკოლებების გადალახვა და საქმეების უფრო მარტივად წარსამართად ყოვლადძლიერი გამჩენის დახმარების საჭიროებას განიცდის და მისკენ მიიპყრობს სახეს. სირთულეების დაძლევისა და უმწეობის გადასალახად მას გაიხსენებს და შეევედრება ხოლმე.

უდავოდ მხოლოდ ის არის, ვინც წყალს ორთქლად, ორთქლს კი ღრუბლად გადააქცევს, ზეცად აზიდავს და მიწას ისევ წვიმად მოუვლენს, საიდანაც შემდეგში სარჩოს მოვმივკით. თუკი იქნება გვალვა და მიწა და ცოცხალი არსებები უწყლოდ დარჩებიან, აღვაპყრობთ ხელებს დიადი გამჩენის წინაშე და ვედრებით მივმართავთ მას. მისგან წყალობას ვითხოვთ. ეს მეთოდი ხომ ჩვენ საყვარელმა შუამავალმა

გვასწავლა. ერთ მშვენიერ პარასკევ (ჯუმა) დღეს ალლაჰის შუამავალი მინბერზე იყო ასული და ქადაგებას კითხულობდა. ამ დროს ერთ-ერთი თანამიმდევარი ფეხზე წამოდგა და ალლაჰის შუამავალს უთხრა: „ო, ალლაჰის შუამავალო, შეევედრე დიად გამჩენს წვიმა მოგვივლინოს“. თანამიმდევარი, რომელიც აღნიშნულ ისტორიას იხსენებს მოთხრობას ასე განაგრძობს: „ალლაჰის შუამავალმა ზემოთხსენებული თანამიმდევრის თხოვნა შეასრულა. სულ მალე ზეცაც მოიღრუბლა და წვიმაც წამოვიდა. იმდენად, რომ ხალხი სახლებში ძლივს დაბრუნდა. წვიმა მომდევნო ჯუმა დღემდე გაგრძელდა. ამჯერად იმავე ან კიდევ სხვა თანამიმდევარი წამოდგა ფეხზე და ალლაჰის შუამავალს თხოვა. „ალლაჰის შუამავალო, შეევედრე უზენაეს ალლაჰს და წვიმა სხვა მხარეს მიაბრუნოს, დავიხრჩეთ წყალში“. მაშინ ალლაჰის შუამავალმა შეევედრა: „ღმერთო ჩემი, აწე ჩვენს თავზე აღარ, ჩვენს ირგვლივ აწვიმე“. დავინახე უმალ ღრუბლები ირგვლივ მიმოიფანტა. წვიმა ისევ მოდიოდა, თუმცა მედინას თავზე გამოიდარა“. (ბუხარი, დეავათი, 24)

მიუხედავად მიღებული წინასწარი ზომებისა, ომი, მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა, სტიქიები და ბუნებრივი საგანგებო მოვლენები რთულ სიტუაციაში გვაგდებს ხოლმე. ყველაფერი ამის გასამკლავებლად კი მთელს ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ. მაგრამ ასეთ მდგომარეობაში ყველაზე მთავარი შემდეგი რამეა: ბრძოლამ არ უნდა დაგვავიწყოს ყოვლის გამჩენი და ყოვლის ბატონ-პატრონი უზენაესი ალლაჰი. ყოველთვის მას უნდა მივეკედლოთ და მისგან უნდა ვითხოვოთ დახმარება.

ოღონდ, არათუ მხოლოდ ბუნებრივი სტიქიების დროს, არამედ სხვა ყველა საჩოთირო და საყოყმანო მდგომარეობის დროს დიად გამჩენს შევაფარებთ თავს. ყველა ჩვენგანს გაგვაჩნია უამრავი საკითხი, რის გამოც მისგან ვითხოვთ დახმარებას. აღნიშნული განსხვავებულობა ალლაჰის შუამავლის მიერ წარმოთქმულ ვედრებაში ნათლადაა ასახული: „ღმერთო ჩემო! მშიშრობის, სიძუნწის, ქანცგალეულ მოხუცებულობის, სიცოცხლისა და სიკვდილის ინტრიგისა და საფლავის სასჯელისგან შენ მოგეკედლები“. (ბუხარი, დეავათი, 44) ალლაჰის შუამავლის ვედრების საგანს წარმოადგენდა ასევე შარის,

უბედური შემთხვევების, მტრების გასახარი მდგომარეობისა და ბედნიერების სურვილი. (ბუხარი, დეავათი, 28)

ყველაზე მთავარი რამე, რაც უზენაეს ალლაჰზე ვედრების საჭიროებას უნდა წარმოადგენდეს, არათუ იძულებითი ვითარება, არამედ ალლაჰისადმი ადამიანის დამოკიდებულების ჭეშმარიტებას უნდა ასახავდეს. სუფიზმის სწავლულები განმარტავენ, რომ „დერვიშობა“ ეს არის ალლაჰისა და მონა-მსახურის ურთიერთობა, სადაც მონა-მსახურის მიერ გამოჩენილი გულწრფელობა დიად გამჩენისადმი მიმართვის არსს წარმოადგენს. აქ საუბარია მდგომარეობაზე, როცა არაფერ შუაშია ამქვეყნიურისადმი მონა-მსახურება ან კიდევ ამქვეყნიურ ყველაფერზე უარის თქმა. დერვიშული მდგომარება, ეს არის იდუმალი განცდა, როცა პიროვნება ფლობს ქონებას, თუმცა თავს გრძნობ ისე, თითქოს არაფერი გააჩნია, ან როცა არაფერი გააჩნია და თავს წარმოიდგენს ისე, თითქოს ყველაფერი გააჩნია. ამიტომაც, საჭიროა მატერიალური სიღარიბე და დერვიშული მდგომარეობა ერთმანეთში არ ავურიოთ. გარდა ამისა, ადამიანი არ უნდა ჩავადრეს ქონებით თავმომწონეობით მდგომარეობაში. მაშ ასე, მატერიალური სიღარიბისა და თვის მარტოობის დაძლევის სურვილს ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მაგრამ ადამიანი ყოველთვის უნდა განიცდიდეს და გულით უნდა გრძნობდეს, რომ მისი არსებობა უზენაესი ალლაჰის გარეშე წარმოუდგენელია.

ა. ვედრება, რომელიც სიკვდილის შემდეგისკენ არის მიმართული

ზეციურ რელიგიებში, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სიცოცხლე მხოლოდ ამქვეყნიურით არ მთავრდება და სიკვდილის შემდეგ აუცილებლად დადგება ჭეშმარიტი და სამარადისო ცხოვრება. სწორედაც შეიძლება ითქვას, რომ ამქვეყნიური სიცოცხლე სამარადისო ცხოვრების სამზადისია. ყურანსა და სუნნეთში განმარტებული სამარადისო ცხოვრების ხარისხი, ადამიანის ამქვეყნიური რელიგიურობის ხარისხზეა პირდაპირ ორიენტირებული. ამიტომაც,

ხანმოკლე სიცოცხლე, რასაც ამქვეყნიურ ცხოვრებას ვუწოდებთ და ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ყოველმხრივ ნაყოფიერად უნდა შევაფასოთ. ყურანი და სუნნეთი სწორედაც რომ ზემოაღნიშნული წარმატების წესებსა და განსაზღვრებებს გვასწავლის. აღნიშნული განსაზღვრებების საფუძველში უზენაესი ალლაჰის ბრძანებები და აკრძალვები მოიხსენიება. ბრძანებებზე მორჩილება ბედნიერების კარის გასაღები, ხოლო ურჩობა ცოდვის მორევისკენ მიმავალი ეკლიანი გზაა..

1. ცოდვების მონანიება და პატიება

მუსლიმი, ისლამის აღიარებით, ითვლება პიროვნებად, ვისაც უზენაესი ალლაჰის ბრძანებებისა და აკრძალვების მორჩილების შესახებ, თეორიული სიტყვა აქვს დადებული. ამრიგად სიტყვა „მუსლიმი“ ნიშნავს პიროვნებას, ვინც უზენაესი ალლაჰის ბრძანებებისა და აკრძალვების მიმართ მორჩილება გაითავისა. მაგრამ ხდება ისეც, რომ ადამიანი ნებით თუ უნებლიედ დიადი გამჩენის ბრძანებებს არღვევს და ცოდვას სჩადის. სიტუაციას პრინციპულად თუ გავაანალიზებთ ცოდვის სანაცვლო სასჯელია.

იმისათვის, რომ ბრძანების საწინააღმდეგო მოქმედება დანაშაულად ჩაითვალოს, საჭიროა ის შეგნებულად და საკუთარი თავისუფალი ნებით იყოს შესრულებული. უნებლიედ, იძულებითა და ძალდატანებით შესრულებული დანაშაულებრივი ქმედება ადამიანს ცოდვილად არ აქცევს. აღნიშნული ცოდვა დაეკისრება მას, ვინც ავი ქმდებების შესრულების მთავარი მოძალადე და მიზეზი გახდა.

ადამიანი დედამიწას უცოდველი და უმწიკვლო ევლინება. შესაბამისად არავინ იბადება ცოდვით დამძიმებული. პიროვნება მხოლოდ იმ ცოდვის პასუხისმგებელია, რომელიც საკუთარი ნებით და შეგნებულად ჩაიდინა. ყურანი გვამცნობს: „და რასაც მოიხვეჭს ყოველი სული, ის მხოლოდ მისია და არ ზიდავს მზიდავი სხვის ტვირთს. მერე იქნება მიბრუნება თქვენს ღმერთთან, მაშინ იგი გაცნობებს თქვენ, რაზეც ერთმანეთში ვერ თანხმდებოდით“. იმ

შემთხვევაში თუკი ადამიანი ალლაჰის ბრძანებების წინაშე სიფრთხილეს გამოიჩენს, შესაძლებელია იგი ცოდვებისგან დაცული იყოს. იმისათვის, რომ ჩვენ, როგორც ადამიანები, ამ მიმართულებით წარმატებულნი ვიყოთ, საკმარისი ნიჭი და შესაძლებლობები გაგვაჩნია. ამისათვის გაგვაჩნია ნიჭი და მოხერხებულობა, რომლითაც შეგვიძლია თითოეული ბრძანებისა და აკრძალვის წინაშე მორჩილება გამოვიჩინოთ. რაც შეეხება ცოდვის ჩადენის მთავარ მიზეზს, ეს არის ცოდვების მცირედ მიჩნევა, მაგალითად: „ამან რა უნდა ქნას“. მართლმოწმუნეთა დედის –ძვირფასია აიშეს გადმოცემის თანახმად, ალლაჰის შუამავალმა მას შემდეგი რამ უბრძანა:

„უფრთხილდი ცოდვას, რომლებიც მცირედ მიგაჩნია. რამეთუ არსებობს ანგელოზი, რომელიც ალლაჰის სახელით მის შესახებ მოგკითხავს“. (იბნი მაჯე, ზუჰდი, 29)

ცოდვის რამდენჯერმე განმეორებით ჩადენა ადამიანში სულიერ ნგრევას გამოიწვევს. ალლაჰის შუამავალი აღნიშნულ საკითხს შემდეგი სიტყვებით ეხება და ბრძანებს:

„როდესაც მორწმუნე ცოდვას ჩაიდენს, გულში პატარა შავი ლაქა გამოიკვეთება. თუკი ჩადენილ ცოდვაზე უარს იტყვის და მიტევებას ითხოვს, გულში გამოკვეთილი შავი ლაქა გაქრება და გული განიწმიდება. მაგრამ თუკი ცოდვას განმეორებით ჩაიდენს შავი ლაქა ზრდას განაგრძნობს (და მთელს გულს მოიცავს) უზენაესი ალლაჰის ბრძანებაც სწორედ შემდეგზე მეტყველებს: „არა, არა! ჭეშმარიტად მათ მიერ მოგებულმა (ცოდვებმა) გულები ჟანგით გარემოიცვა.

ისლამი არ იზიარებს იმ დოქტრინას, რომ ცოდვის ჩამდენი ვინმე სამუდამოდ ცოდვილი დარჩება. ყველა მორწმუნეს აქვს შანსი იმისა, რომ ჩადენილი ცოდვების მონანიებისა და ანალოგიური შეცოდების შემდგომში აღარ განმორების შემთხვევაში, ჩადენილი ცოდვები მიეტევოს. იმისათვის, რომ ადამიანმა ცოდვებისგან განთავისუფლდეს და უზენაესი ალლაჰის მიტევება ერგოს წილად, ყურანი ამ შემთხვევაში გამოსავალ გზად მონანიებას ასახელებს. ყურანში ვკითხულობთ: „ჰეი მორწმუნენო! ერთბაშად შესთხოვეთ ალლაჰს მოტევება, ეგებ იქმნათ ნეტარნი“! (ნური, 24/31) მო-

ნანიება, ეს პატიების თხოვნაა, ხელების ზეცად აპყრობა და მიტევების თხოვნით ცრემლის დაღვრაა.

ადამიანის ბუნებაში არსებობს ცოდვისკენ მიდრეკილება. ეშმაკმა კი განაცხადა, რომ ჩვენში არსებული სისუსტით ქვეყნიერების აღსასრულამდე თავდაუზოგავად იშრომებდა. (ეღრაფი, 14/16) ალბათ არავინაა ქვეყნად, ვინც ეშმაკის მახეში არ აღმოჩენილა. მაშ, შეიძლება ითქვას, რომ დედამიწა ცოდვილთა სამშობლოა. უცოდველები მხოლოდ ისინი არიან, ვინც ჯერ არ დაბადებულა. დიადი გამჩენის წინაშე არათუ უცოდველი, არამედ ცოვების მიტევება-მიტევებით მივდივართ. სათნოება, არათუ ამქვეყნად უცოდველად მოსვლასა და ასევე უცოდველად წასვლაში, არამედ ცოდვებისგან განწმენდის ცოდნაშია. გმირები, რომლებმაც მარადისობა მოიპოვეს, კარგად უწყოდნენ, რომ განწმენდა ყველაზე დიდი და საოცარი საშუალებაა. ცოდვებისგან მადლისკენ, სიავისგან სიკეთისკენ სვლაა ჭეშმარიტად გმირული ნახტომი. (ნურეთთინ თოფჩუ, ვარ ოლმაქ გვ. 31)

ასეთი წარმატების მიღწევა, დედამიწაზე ცხოვრებით ზეცაში მყოფთა მიმბაძველობა და აღნიშნული ნების შესაბამისი მიმბაძველობითაა შესაძლებელი. ამისათვის ცნობილი სწავლული მევლანა ჯელალედდინ რუმი შემდეგ სიტყვებით მოგვმართავს: „ყველა რაღაც საქმისთვის იქნა გაჩენილი, ხოლო საქმის სრუვილი მათ გულებში ჩაენერგათ. როგორ შეიძლება ხელებმა და ფეხებმა სურვილის გარეშე იმოძრაონ? ეკალი თუ უბრალო ჩხირი, წყლისა და ქარის გარეშე როგორ შეძლებს გადაადგილებს? თუკი ნახავ, რომ სურვილი ზეცისკენ არის მიმართული, ჩიტივით ფრთები გაშალე. ხოლო როცა იხილავ, რომ შენი სურვილი მიწისკენაა მიდრეკილი, ატირდი. უკან ნუ დაიხევ და დაღვარე ცრემლი. გონიერები დროულად იტირებენ, ხოლო უმეცრები შემდგში იცემენ თავში. იმისათვის, რომ ანგარიშგების დღეს სანანებელი არ გაგიხდეს, დღეს დაინახე, დღეს დაფიქრდი. (მევლანა, მესნევი, გვ. 339)

ქმედება, რომელიც ცოდვებისგან თავის დაღწევას ემსახურება, ჩვენ მონანიების კარებთან მიგვიყვანს. ამ სიტყვებით ალლაჰის შუამავალი მდგომარეობის ანალიზს აკეთებდა და შესაბამისად პრობლემის გადაჭრის გზებისკენ მიუთითებდა:

„ყოველი ადამიანი შეცდომას დაუშვებს. თუმცა შემცოდებელთაგან (ალლაჰის წინაშე) ყველაზე საუკეთესო ის არის, ვინს ჩადენილ შეცდომას მოინანიებს“. (თირმიზი, სიფათულ-ყიამე, 49)

სინანულია, სანამ უკანასკნელი ამოსუნთქვის ჟამი დადგებოდეს, საკუთარი თავის მოწესრიგებაა მონანიება. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „ალლაჰის წინაშე მიღებული მიტევება მხოლოდ იმათთვისაა, ვინც უმეცრებით უკეთურობას სჩადის და მერე მაშინვე ინანიებს, სწორედ ასეთებს შეუნდობს ალლაჰი. ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია! და არ არის შენდობა მათთვის, რომელნიც სჩადიან უკეთურობას, სანამ მათ სიკვდილი არ მიადგება კარზე. იტყვიან: სწორედ ახლა მოვინანიე!.. და რომელნიც აღესრულებიან ურწმუნოდ, სწორედ მათთვის გავამზადეთ მტანჯველი სასჯელი“. (ნისა, 4/17-18)

მონანიება, უარია შეცოდებებით დატვირთული წარსულის განმეორების, რომლის ერთად-ერთი პირობა გულწრფელობაა. ყურანში „ნასუჰ თევბეს“ სახელით მოხსენიებული სიტყვები, სწორედაც რომ გულწრფელი მონანიებაა. „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შესთხოვეთ ალლაჰს მიტევება გულწრფელი მიტევებით“. (თაჰრიმი, 66/8) ისინი ვინც მოინანიებენ ჩადენილ ცოდვას და შემდეგ ისევ გაიმეორებენ, თავდაპირველად საკუთარ თავთან არ არიან გულწრფელნი. მათ ვერ მოითმინეს და დამარცხდნენსაკუთარი ხორციელი ვნების წინაშე და უღალატეს საკუთარ თავს.

ვიცით, რომ არ აქვს პატიება არაგულწრფელობას, რომელსაც ადამიანი საკუთარი ხორციელი ვნებების წინაშე სცოდავს. მიტევებული იქნებიან ცოდვილნი, ვინც ცოდვის ჩადენის შემდეგ დაუზარელად, წრფელი ენითა და გულითად მოინანიებენ. მიტევებულნი იქნებიან ისინი, ვინც ღვთის სიყვარულით ცემლს ღვრის და არა ისინი, ვისაც საკუთარი თავი უცოდველი ჰგონია. მიტევებულნი იქნებიან ისინი, ვინც სასოწარკვეთით გალეულ ობლის სახეს, იმედით აღსავსე ღიმილით შეამკობს. მთვრალს, თუკი პატიების ძიებით გაჯერებული გული ექნება, მიეტევება, მაგრამ არეულობისა და თვალთმაქცობის მსურველი ცოდვილად დარჩება. (ნურეთთინ თოფჩუ, ვარ ოლმაქ გვ. 36)

ცოდვის ჩადენა ერთი დანაშაულია, მაგრამ სინანულის არ გამოხატვა და დაჟინებით ცოდვის განმეორებით ჩადენა, გაცილებით მძიმე დანაშაული. რაც შეეხება ვედრებას ცოდვების მონანიების მიმართულებით, ეს დიადი გამჩენის ბრძანებაა. მოდით შევხედოთ შუამავალი სალიჰის მოწოდებას, და შემდეგ სასიხარულო ამბავს, რომელიც აღნიშნული ბრძანების მორჩილებს შეეხებათ. „პატიება შესთხოვეთ მას და მერე მოინანიეთ მის წინაშე. უეჭველად, ჩემი ღმერთი ახლოა, მიმღებია ვედრების!“ (ჰუდი, 11/61)

„ო, ადამის შვილო! სანამ მე ჩემზე ვედრებით იქნები დაკავებული და ჩემი პატიების იმედი გექნება, მოგიტევებ ჩადენილ ცოდვებს. ო, ადამის შვილო! მოგიტებ მაშინაც კი, როცა ცოდვებით ცამდე იქნები ჩაფლული და ჩემგან პატიებას ითხოვ. ო, ადამის შვილო! მაშინაც კი, როცა დედამიწის ოდენა ცოდვებით მოხვიდე ჩემთა, მაგრამ მათ შორის არ გქონდეს (უზენაეს ალლაჰზე მოზიარის დადგენის) შირქის ცოდვა, მე შენ დედამიწის სიმსხო პატიებით მიგიღებ. (თირმიზი, დეავათი, 99)

მონანიება, ეს არის უზენაეს ალლაჰზე მიტევების მიზნით კერძო სახელი ვედრებისა და მუდარისა. დიახ, როგორც ყურანშია ნაბრძანები, მხოლოდ ცოდვის ჩამდენთათვისაა გადარჩენის კარები ფართოდ გაღებული. „..ავის მქმნელს ავითვე მიეზღვება“.. (ნისა, 4/123) „უეჭველად, კეთილი საქმენი განდევნიან ბოროტებანს“. (ჰუდი, 11/114) „და რომ მიტევება შესთხოვოთ თქვენს ღმერთს და შემდეგ მოინანიოთ მის წინაშე, რათა მან მოგმადლოთ კეთილი საზრდო დადგენილ ვადამდე და წყალობა მიანიჭოს ყველა კეთილშობილს. და თუ პირს იბრუნებთ, მაშინ, უეჭველად, მეშინია, რომ თქვენ არ გეწიოთ უდიდესი დღის სასჯელი“! (ჰუდი, 11/3) როგორც ზემოთ მოცემული აიათებიდან ირკვევა, მონანიება უზენაესი ალლაჰს წინაშე ერთ-ერთი საუკეთესო ქმედებაა. ჩადენილი ცოდვის მიმართ დანაშაულებრივი განცდა, სინანულის გამოხატვა, დიადი გამჩენის წინაშე გულწრფელად მიტევების თხოვნა, ყველა ესენი ადამიანს სამარადისო გადარჩენისკენ გზას გაუკაფავს. „და იგია, რომელიც შეიწყნარებს მონანიებას თავის მსახურთაგან, მიუტევებს სიავეებს და უწყის, რასაც სჩადიხართ“. (შურა, 42/25)

ისლამში არავის აქვს უფლება ცოდვების მიტევების მიზნით უზენაეს ალლაჰსა და ადამიანს შორის ჩადგეს. ცოდვების მიტევების საკითხში არასოდეს ყოფილა მესამე ვინმეს იმედეზე მიტოვებული. თითეული ადამიანი პირადად აღაპყრობს ხელებს და უზენაესი ალლაჰის წინაშე ცოდვების გამო სინანულს გამოხატავს.

უდავოა, რომ ენება უზენაეს ალლაჰს, საუკეთესო ფორმაში გაჩენილ ადამიანს, ქმნიდა არსებად, რომელიც ცოდვას არასოდეს ჩაიდენდა. ასე რომ ყოფილიყო რა ღირებულება შეიძლება ჰქონოდა ადამიანს, როცა არსებობდენ ანგელოზები? თუმცა, იმასთან ერთად, რომ ადამიანი ცოდვის ჩადენისკენ ორიენტირებული არსებაა, მას აღნიშნული მიდრეკილების უკეთ მართვის ნიჭი და შესაძლებლობა ებოძა, რამაც ადამიანს მისცა შესაძლებლობა გამხდარიყო ანგელოზებზე უპირატესი.

იქნებ ღვთიური სიბრძნეა, რომ ადამიანი გაჩენილია ცოდვის ჩადენისკენ ორიენტირებული ბუნებით, რომლისთვისაც სინანულის გამოხატვა უზენაესთან დაახლოების მიზეზი და საშუალება ხდება. როგორც ფილოსოფოსი ამბობს: „ცხოვრების განმავლობაში შენი უმთავრესი მოვალეობა, როგორც ხალხს შორის, ასევე მარტოობაში ყოფნისას, მადლიერებაა ღმეთისადმი, ნებისმიერ დროს მისი შექება და სიცოცხლის ბოლომე განდიდებაა. (ეფიქტეტუსი; საუბრები და მოსაზრებები)

ყურანი გვასწავლის, რომ „თუნდაც იყო ცოდვილი ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას“. ასევე სურა „რადის“ მე-6-ე აიათში ვკითხულობთ: „უეჭველად, ღმერთი შენი ადამიანთათვის, მათი უსამართლობის მიუხედავად, მიმტევებელია“. შუამავალი (ს.ა.ს.) გვამცნობს: „ცოდვების მომნანიებელი, ისეთივეა, თითქოს ცოდვა საერთოდ არ ჩაედინოს. (იბნი მაჯჯე, ზუჰდი, 30)

2. საიქიო სირთულეებისგან გადარჩენა

რამდენადაც ამქვეყნად გატარებულ განსაზღვრულ პერიოდს სიცოცხლეს ვუწოდებთ, ასევე ვიცით, რომ, როგორც

ჩვენი სიცოცხლე არ დაწყებულა დაბადებით, ასევე არც სიკვდილით დასრულდება ის. მაშ ასე, იმისათვის, რომ ადამიანმა გარდაცვალების შემდეგაც მოიპოვოს ბედნიერება, სიმშვიდე და უდარდელობა, რასაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში ეძიებს, იძულებულია ვედრებას ჩაეჭიდოს. ისე როგორც საშინელი გრუხუნის ხმისგან, რომელიც სამყაროს აღსასრულის მაუწყებელია, შეშინებული ადამიანი იკითხვას „ნეტა სად არის გასაქცევი?“ მაგრამ ვერ იპოვის ვერსად იმ დღეს თავშესაფარს, გარდა ღმერთის სამკვიდრებლისა, (ყიამეთი, 7-12) ასევე იმისათვის, რომ მან შეძლოს სამარადისო ცხოვრების სირთულეებისგან გადარჩენა, რომელიც სიკვდილის შემდეგ დაიწყება, უზენაეს გამჩენს უნდა ევედროს.

აღნიშნული ჭეშმარიტებიდან გამომდინარე ალლაჰის შუამავალი ლოცვის დასრულების შემდეგ სიკვდილის შემდეგისთვის ხშირად შემდეგი სიტყვებით ავადრებდა: „ღმერთო ჩემო! იმ დღეს, როდესაც მონა-მსახურებს ხელახლა გააცოცხლებ, (ან კიდევ, როცა ერთად შეკრებ) გთხოვ, დამიფარე შენი სასჯელისგან“! (მუსლიმი, სალათულ მუსაფირინი, 8) იგი (ს.ა.ს.) ამქვეყნიური და საიქიო სიძნელეებისგან უზენაეს ალლაჰს მიეკედლებოდა ხოლმე. (ებუ დავუდი, სალათი, 358) ალლაჰის შუამავალი ვედრების აღვლენისკენ ჩვენ მოგვიწოდებდა და ბრძანებდა: „როცა თქვენგანი (ლოცვისას) „თაჰიათზე“ დაჯდება შემდეგი ოთხი რამისგან უზენაეს ალლაჰს შეაფაროს თავი; „ღმერთო ჩემო! ჯოჯოხეთის სასჯელის, საფლავის ტანჯვის, სიცოცხლისა და სიკვდილის, მესიჰ დეჯჯალის გამოცდის სიავისგან შენ მოგეკედლები“. (მუსლიმი, მესაჯიდი, 20) გამომდინარე აქედან, ვედრებებში არა მხოლოდ იმ ცხოვრებისთვის, რასაც ვხედავთ და განვიცდით, არამედ ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უხილავი, თუმცა ყურანსა და ჰადისებთი განმარტებული უამრავი სირთულით მოცული საიქიო ცხოვრებისთვის სიკეთესა და ბედნიერებას უნდა ვავედრებდეთ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ვედრებას უზენაესი ალლაჰი ყურანში ასე გადმოგვცემს: „ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც, დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან“. (ბაყარა, 2/201)

ვედრების კავშირი რელიგიურ სხვადასხვა მიდრეკილებებთან

ვედრების აღმვლენი უწყის და წამს, რომ არსებობს უზენაესი ძალა, რომელსაც ესმის გულში გავლილისა და ენით წარმოთქმულის, ასევე იგი ხედავს ყველაფერს რას ხდება და რაც კეთდება. ამ თვალსაზრისით ვედრება, რწმენის ძირითადი გამოვლინებაა.

რას უნდა გამოხატავდეს ვედრების აღმვლენი ადამიანის ქმედება, თუკი რელიგიური თვალსაზრისით შევაფასებთ? ვედრება, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ სიტყვათა წყობისგან შესდგება, გარდა გარეგნული წარმოდგენისა, პირდაპირ კავშირშია რწმენასთან, ზნეობასთან და ღვთისმსახურებასთან.

ა. ვედრებისა და რწმენის ურთიერთკავშირი

უზენაესი ალლაჰისადმი ვედრება, სურვილების მისთვის გამხელა, თავდაპირველად რწმენის საკითხს შეეხება. ვედრების აღვლენისას მთელი ჩვენი არსებობით, ყოვლისშემძლე, ყოვლისმცოდნე და უმოწყალეს უზენაეს ალლაჰისკენ მივისწრაფვით. ვედრება არ არსებობს იქ, სადაც არ არის რწმენა. ვედრების აღმვლენი უწყის და წამს, რომ არსებობს უზენაესი ძალა, რომელსაც ესმის გულში გავლილისა და ენით წარმოთქმულის, ასევე იგი ხედავს ყველაფერს რას ხდება და რაც კეთდება. ამ თვალსაზრისით ვედრება, რწმენის ძირითადი გამოვლინებაა.

უზენაესი ალლჰი ბრძანებს: „შემევედრეთ და შევისმენ თქვენს ვედრებას“. მოცემული აიათი შემდეგი სიტყვებით გრძელდება: „უეჭველად, რომელნიც მედიდურობას ავლენენ ჩემდამი მსახურებაში, შევლენ ჯოჯოხეთში დამცირებულნი“. (მუ’მინი, 40/60) აღნიშნული აიათი მკაფიოდ აჩვენებს, რომ ვედრება რწმენის საძირკველზეა დამყარებული.

„ვედრება, ღვთის განგებას არ შეცვლის, თუმცა იმედია, რომ ვედრების გავლენით ადამიანში მოხდება ცვლილება, რისი წყალობითაც ცხოვრების დინება შეიცვლება“.

ბ. ვედრებისა და განგების ურთიერთკავშირი

ხშირად იკითხავს მავანი, თუკი განგება განსაზღვრულია, მაშ რაშია საჭირო ვედრება? აღნიშნულ კითხვის პასუხი ისევ კითხვით ფორმაში შეიძლება გაიცეს. „ნეტავ, თქვენი აზრით, რა არის განგება და მასთან დაკავშირებული აღსრულება?

სწორად ცოდნა იმისა, თუ რას ნიშნავს განგება და აღსრულება, ზემოთ დასმული კითხვის პასუხის საფუძველს მოამზადებს. დიახ, განგება და მისი აღსრულება, უზენაესი ალლაჰის გაჩენის თავისებურებას შეეხება და ნიშნავს, ადამიანის თავისუფალ ნების ქონტექსტში შექმნილი ვითარების საწყისსა და დასასრულს. მრიგად: უზენაესმა ალლაჰმა თავისთვის დამახასიათებელი ყოვლისმცოდნეობით უწყის რაც მოხდა, და რაც უნდა მოხდეს, სამყაროს დასაბამისად მარადიულობაში. არაფერი დარჩება მის ცოდნის მიღმა. ამრიგად, უზენაესი ალლაჰის მიერ წინასწარ ცოდნა იმისა, რომ მომავალში რა უნდა მოხდეს, ხოლო დროის დადგომისას სისრულეში მოყვანის მართვას „განგება“, ხოლო დადგენილი დროის მოსვლისას ალლაჰის განჩინებით უკვე სისრულეში მოყვანას, აღსრულება ეწოდება. აქ ყურადსაღებია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. როდესაც განგებისა და აღსრულების საკითხი ადამიანის ქმდებებს შეეხება, უზენაესი ალლაჰის ყოვლისმცდნისა და ყოვლადძლიერის თავისებურებთან ერთად, ადამიანის თავისუფალი ნება ჩაერთვება. დიახ, უზენაესმა ალლაჰმა წინასწარ უწყის რაც

უნდა მოხდეს და შესაბამისად წინასწარ განაგებს, როგორ უნდა განხორციელდეს ის. ამ მხრივ უზენაესმა ალლაჰმა ყოვლისმცოდნეობის თავისებურებით უწყის თუ მონა-მსახური ნება-სურვილს რა მიმართულებით გამოიყენებს და შესაბამისად განჩინებასაც იქეთკენ მიმართავს. მაგრამ როდესაც დაადგება გზის გამყოფს, მაშინ ადამიანიმა საკუთარი თავისუფალი ნებით უნდა გადაწყვეტოს, კარგისკენ თუ ცუდისკენ უნდა მიიქცეს.

მაშ ასე, თუკი დავფიქრდებით მონა-მსახურის ქმედებების შესახებ, გავიგებთ, რომ განგების მცნება ჩვენი თვალსაზრისით გარკვეული სახის ცვლილებებს დაექვემდებარება. ეს ნიშნავს, რომ თუკი მონა-მსახური თავისუფალ ნებას დადებითის მიმართულებით გამოიყენებს, განგებას იმ მიმართულებით განვითარდება, ხოლო თუკი ნეგატიურისკენ გამოიყენებს, შესაბამისად განგებას უარყოფითისკენ განვითარდება. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ვედრება თავს მომდგარი, თუმცა ჯერ არ აღსრულებულ სირთულეს სასარგებლოდ წაადგება. ო, ალლაჰის მსახურნო, ხშირად აღასრულეთ ვედრება“. (თირმიზი, დეავათი, 102; იბნი ჰანბელი, V, 234) აღნიშნული ჰადისი ზემოთ მოცემულ საკითხებზე მიანიშნებს. მაგრამ უზენაესი ალლაჰის მხრიდან მსგავს ცვლილებაზე საუბარი არ არის. რამეთუ დიადმა გამჩენმა, წინასწარ იზის თუ მონა-მსახური საკუთარ თავისუფალ ნებას რა მიმართულებით გამოიყენებს.

სწორედაც ამიტომ არის საჭირო, რომ რამდენჯერმე დავფიქრდეთ და შევაფასოთ ვედრება. დიადმა გამჩენმა თავისი ყოვლისმცოდნეობით იცის, თუ მონა-მსახურმა უზენაესი ალლაჰისგან რა პირობებში, რა დროს და რა უნდა ითხოვოს. ამიტომაც ვედრებასა და განგებას შორის ნებისმიერი სახის წინააღმდეგობრივობა გამორიცხულია.

მონა-მსახურის მიერ ვედრების აღვლენა, უზენაესი ალლაჰის მიერ წინასწარ განსაზღვრულ განგებასა და მისგან გამოწვეულ შედეგს არ შეცვლის. ამასთან ერთად როდესაც ადამიანი დიად გამჩენს გაანდობს სურვილებს და სულიერ მდგომარეობას შეინარჩუნებს ისე, როგორც ვედრების აღვლენის მომენტში იყო, მაშინ მასში მონა-მსახურებრივი

ცნობიერება ამაღლდება და შესაბამისად გამოსწორდება მისი ყოფა-ქცევაც. მაშინ, როცა ადამიანებში მოსწესრიგდება ყოფა-ქცევა, მსოფლიო უფრო უკეთესი გახდება. ეს, კი ცალსახად მათემატიკურ შედეგს ჰგავს. ვედრება უზენაესი ალლაჰის განგებას არ შეცვლის, თუმცა ვედრების გავლენით იმედია, რომ ადამიანში გარკვეული ცლილებები მოხდება. რაც ზოგადად ცხოვრების დინებას შეცვლის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვედრების მცნება, უზენაესი ალლაჰის ყველა თავისებურებას ერთად გავხსენებს. უზენაესი ალლაჰი მიერ სამყაროს ფუნქციონიერებისთვის განსაზღვრული ძირითადი კანონები პრინციპულად არ შეიცვლება. თუმცა უზენაეს ალლაჰს ძალუძს თავისი ყოვლადძლიერებით ეს ყველაფერი შეცვალოს. თუ ინებებს იგი, ცეხლს, სადაც იბრაჰიმი ჩააგდეს, წვის თვისებას წაართმევს. (ენბია, 21/69) თუ ინებებს იგი, მუსას ხელთ არსებულ კვერთხს, გველვეშაპად გადააქცევს. (ტა-ჰა, 20/20) უზენაეს ალლაჰს ძალუძს მსგავსი მოვლენები განახორციელოს როგორც თავად პირდაპირი მნიშვნელობით, ასევე მონა-მსახურის სურვილის/ვედრების წყალობით.

ამავე თვალსაზრისით შეიძლება შევაფასოთ ის ვედრებები, რომელიც ბუნებაში არსებულ ხილულ მიზეზებზე დამყარებულ მოვლენებს უკავშირდება. მაგალითად: მატერიალისტური შეხედულებით, „როდესაც გარკვეული ატმოსფერული პირობები შეიქმნება, გაწვიმება გარდაუვალი ხდება. გამომდინარე აქედან, წვიმისთვის ვედრების აღვლენას არანაირი დანიშნულება არ აქვს“. მაშ ასე, მუსლიმმა იცის და წამს, რომ წვიმისთვის საჭირო პირობების გამჩენი უზენაესი ალლაჰია. დიადი გამჩენი, რომელიც აცხადებს, რომ მონა-მსახურის სურვილებს შეისმენს, აღნიშნული პირობების განხორციელების მიმართულებით აღვლენილ ვედრებებსაც უპასუხოდ არ დატოვებს. მოკლედ, როდესაც არსად ჩანს პირობები, რომელიც წვიმისთვისაა საჭირო, მონა-მსახურთა ვედრების შედეგად შესაძლოა შეიქმნას საჭირო პირობები და წვიმაც წამოვიდეს.

დიახ, ღრუბლებს უზენაესი ალლაჰი განაგებს. ადამიანის მიერ ვედრების აღვლენა რა თქმა უნდა არ ნიშნავს ღრუბ-

ლებზე გავლენის მოხდენას ან ალლაჰის საქმეში ჩარევას. მონა-მსახური მხოლოდ გამჩენს ევედრება, და თუ ინებებს იგი (ალლაჰი) შეისმენს თავისი მსახურის ვედრებას. ზემოთ ვთქვით, რომ როდესაც ვამბობთ, სიტყვა „ვედრებას“ ბუნებრივია იგულისხმება ალლაჰის რწმენის მცნება. თუკი არ იქნება რწმენა, შესაბამისად ურწმუნო ადამიანის თვალში არ იქნება ვედრების ადგილი. ამრიგად პოზიტიური და მატერიალისტური აზროვნების თანახმად, სამყაროში არსებული მოვლენები, იმის გამო, რომ თვით სამყაროში არსებული იძულებითი სხვადასხვა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ემყარება, ვედრებას არანაირი ადგილი არ ეთმობა. თუ უნდა მოხდეს რამე მოხდება, თუ არადა არა.

გარდა ამისა, 2000 წლის წინანდელ, ნორონ რომის ეპოქისთვის დამახასიათებელ სიტყვებს დავაკვირდეთ.

„.. აალებულ ვედრებას აღვავლეთ: „ღმერთო ჩემო! ნება მომეცი, ამა და ამ მტკივნეული, საქმიდან მარტივად დავაღწიო თავი! ო, მდაბიო მონავ! □მაზე უფრო უკეთესს ითხოვ რაც შენთვის ყველაზე სამართლიანია? განა შენთვის ყველაზე უფრო სამართლიანი, არ არის ის, რაც შენთვის ღმერთმა შეგიფერა? (ეპიქტეტოსი –აზროვნება და საუბრები, გვ. 70-71)

ამ შემთხვევაშიც კი ვედრებასთან დაკავშირებით სხვა დამოკიდებულება იკვეთება და წინაპლანზე გამოდის გაგების აბსოლუტური რწმენა. ამ შემთხვევაში ვედრება უზენაესი ალლაჰის განგებისადმი უკმაყოფილებას გამოხატავს და ეს ღვთიური განგებისადმი უპატივისმცემლობად აღიქმება. ეს არის უზენაესი ალლაჰის რწმენის არასწორი გაგება, რომელიც ადამიანის გარკვეული სახის ტყვეობაა. სინამდვილეში ვედრება განგების რწმენასთან წინააღმდგობაში არ მოდის. ასე რომ ყოფილიყო დიადი გამჩენი ჩვენგან ვედრების აღვლენას არ მოითხოვდა. ყურანში ვკითხულობთ: „უთხარი: „თუ არ იქნება თქვენი ვედრებანი, რატომ მოგანიჭებთ ღირსებას ღმერთი ჩემი“.. (ფურყანი, 25/77)

გ. ვედრებისა და ღვთისმსახურების ურთიერთკავშირი

ვედრება ერთი შეხედვით მონა-მსახურის მიერ გამოხატული გარკვეული სახის სურვილთა ერთობლიობაა. მაგრამ ეს სურვილები არათუ ჩვეულებრივ პიროვნებას, არამედ უზენაესი არსებისკენაა მიმართული. სურვილების უზენაესი ალლაჰისთვის მიმართვა, ნიშნავს იმას, რომ მას ცნობდე დიად გამჩენად. შესაბამისად აღსრულებულ თითოეულ ვედრებას წინ დაერთვის შემდეგი სიტყვები: „ღმერთო ჩემო! ვიცი და მწამს, რომ შენ ხარ ყველაფრის არაფრისგან გამჩენი. შენ ერთად-ერთი ღვთაება ხარ. არ არსებობს სხვა ღვთაება, გარდა შენი, ვინც ღირსი იქნება ღვთაებად ცნობისა. შენ ხარ ის, ვინც სიცოცხლეს ანიჭებს, არსებათა საჭიროებებს უზრუნველჰყოფს და ვისაც სურვილებს აღსრულების ძალა შესწევს. სწორედ ამიტომ მეც სურვილებსა და საჭიროებებს მხოლოდ შენ გამცნობ და შენგან ვითხოვ შესმენას“.

ზემოთ მოცემული გამოხატულებები სხვა არაფერია, თუარა მონა-მსახურებრივი ცნობიერების სიტყვების გადმოცემისა. ყველა ღვთისმსახურების არსში, რის ვალდებულებაც გვაკისრია, მიზნად ისახავს მონა-მსახურებრივ თვითშეგნებას. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ვედრება თავის თავად ღვთისმსახურებაა. ალლაჰის შუამავალი აღნიშნულ ჭქეშმარიტებას ერთ-ერთ ჰადისში ასე გადმოცემს: „ვედრება ღვთისმსახურების არსია“. (თირმიზი, დეავათი, 1)

დ. ვედრებისა და ღვთის ხსენების ურთიერთკავშირი

ადამიანის მეხსიერებას დავიწყებისკენ ორიენტირებული სისუსტე ახასიათებს. კარგი იქნება თუ ცუდი, განცდილი და აღქმული უამრავი რამ ჩვენი მეხსიერებიდან იშლება. ისე როგორც ადამიანის ბიოლოგიური უჯრედები უწყვეტად განახლების რეჟიმშია, შესაბამისად მეხსიერებაც თავისთავად განახლებადია. მაგრამ ეს განახლების ფუნქცია, არათუ ძველის სრულიად განადგურების ხარჯზე, არამედ მისი უკანა პლანზე გადაგდებისა და დაფარვის მეთოდით ხორციელდება. სწორედ უკანა პლანზე გადატანილი ინ-

ფორმაციები, ფაქტები, ელემენტები დროისა და ადგილის შესაბამისად თავს იჩენს და ხელახლა გამოსაყენებლად მზადყოფნაში მოვა. მოკლედ ადამიანია არსება, რომელიც სწავლობს, ივიწყებს და იხსენებს.

რელიგიის მიზანია ადამიანს ასწავლოს უზენაესი ალლაჰი. ყურანი ადამიანს განსაკუთრებით აფრთხილებს, რომ არ დაკარგოს ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცოდნა, რომელიც ისწავლა. ალლაჰის შესახებ ცოდნა, თავდაპირველად მისი რწმენით მიიღწევა. მოქმედი რწმენა ადამიანის ქმდებების უზენაესი ალლაჰის ნების შესაბამისად მიმართვის საქმეში უმთავრესი ფაქტორია. მაგრამ ხდება ისეც, რომ რწმენა, რომელიც გულშია ჩაბუდებული, ადამიანის ქმედებებისადმი ეფექტიანობა შესაძლოა გარკვეულ წილად დაკარგოს. ასეთ მდგომარეობაში რწმენა ცნობიერების ხარიხს კარგავს. აღნიშნული ცნობიერებითი დანაკარგი ნიშნავს, ადამიანმა დაივიწყოს უზენაესი ალლაჰი. სულიერ ცხოვრებაში ეს დაუდევრობად (გაფლეთი) ფასდება, რაც მორწმუნისთვის ძალიან საფრთხილო და ყურადსაღებია. ყურანი სიტყვა „გაფლეთს“ ურწმუნოებისა და უარყოფის მნიშვნელობით იყენებს. ამიტომაც ჭეშმარიტების გზაზე მყოფთათვის ყველაზე სახიფათო მდგომარეობაა „გაფლეთი“. -დაუდევრობა. ადამიანი, რომელსაც არ აქვს ჩამოყალიბებული სულიერი მდგომარეობა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე გამუდმებით „გაფლეთის“ გზისკენაა მიდრეკილი. ამ შემთხვევაში უმთავრესია სულიერი ამაღლებისკენ სწრაფვა და დაუდევრობაში „გაფლეთში“ გატარებული დროის თანდათან შემცირება. ამრიგად მონა-მსახური ალლაჰთან დაახლოვდება და ხანმოკლე დავიწყებებს სულ მოკლე ხანში გახსენების უნარით შეცვლის.

სწორედაც ყურანში ვკითხულობთ: „და როცა დაგავიწყდება, გაიხსენე შენი ღმერთი“.. (ქეჰფი, 18/24) მოცემული აიათი დინამიკური ხასიათის შეძენისკენ მიმართული მოწოდებაა. „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაიხსენეთ ალლაჰი მრავალგზის! და ადიდეთ დილით და საღამოს“! (აჰზაბი, 33/41-42) აღნიშნულ აიათში მოცემული მოწოდებას უფრო მეტ სიმტკიცეს სძენს.

ალლაჰის გახსენებასა და მის ხსნებას ყურანისეულ ენაში „ზიქრი“ ანუ ალლაჰის ხსენება ეწოდება. ყოველი ვედრება ამავედროს ღვთის ხსენებაა -ზიქრია და იგი გულში წარმოშობილი ღირებულების სიტყვებად გადაქცევაა. სწორედ ამ დროს ვედრება და ხსენება -ზიქრი ერთიანდება. რამეთუ ალლაჰის ხსენების უმთავრესი ადგილი გულია. აღნიშნული გახსენების შედეგად შემდგარი სურვილებიც თვით ვედრება და ზიქრია.

უდიდესი ჰადისის სწავლილის -ბუხარის მიერ თავის ნაშრომში საჰიჰში, კერძოდ ერთ-ერთ ქვეთავ -„ქითაბუდ-დეავათში“ „ზიქირთან“ დაკავშირებით მოცემული აქვს ჰადისები, სადაც ვედრებასა და ზიქრის პირდაპირ კავშირზეა აქცენტი გაკეთებული. წარმოგიდგენთ ორ ჰადისს, რომელიც აღნიშნული ნაშრომის ერთ-ერთ ქვეთავში გვხვდება:

„მას ვინც დღეში ასჯერ იტყვის, „სუბჰანელლაჰი ვე ბიჰამდიჰი, (ალლაჰი შორსაა ყოველგვარი ნაკლოვნებისგან) თუნცაც ზღვის ქაფის ოდენა ცოდვები ჰქონდეს -მიეტევება“. (ბუხარი, დეავათი, 65; მუსლიმი, ზიქრი და დუა, 10)

„განსხვავება მათ შორის ვინც ალლაჰს ახსენებს და ვინ არა, ისეთივეა როგორც მკვდარისა და ცოცხალის. (ბუხარი, დეავათი, 66)

ვედრების ელემენტები

არსებობს გარკვეული ელემენტები, რომელიც ვედრებას ვედრებად აქცევს. ვედრება მათ გარეშე იმაზე იქეთ არ წავა, რაც მხოლოდ სიტყვათა წყობაა.

ვედრება ეს არის მონა-მსახურის მიერ უზენაესი ალლა-ჰისგან რაიმეს თხოვნა. სურვილებისა თხოვნების მხოლოდ მისთვის გამხელაა ვედრება. მაგრამ არსებობს გარკვეული ელემენტები, რომელიც ვედრებას ვედრებად აქცევს. ვედრება მათ გარეშე იმაზე იქეთ არ წავა, რაც მხოლოდ სიტყვათა წყობაა.

ვედრების შესმენას რელიგიურ ენაში, აღვლენილი ვედრების პასუხი ან აღსრულება ეწოდება. პასუხი დადებითი ან უარყოფითი შეიძლება იყოს. იმისათვის, რომ აღვლენილ ვედრებაზე დადებითი პასუხი მივიღოთ, ანუ დიადი გამჩენის მიერ შესმენილი იქნას, საჭიროა გარკვეული პირობების გათვალისწინება. ამას ვედრების მეთოდი და წესები ეწოდება. საფუძვლები, რომელიც ვედრების, სად, როგორ და როდის კითხვებზე პასუხს შეიცავს, ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) სიტყვებსა და ქმედებებზე დაყრდნობითაა დადგენილი.

ა. ვედრება და გარემოება

ვედრება ეს არის მომაჯადოებელი სიტყვებით ალლაჰისკენ ხელებაპრობილი მიმართვა, რაც თავდაპირველად სუფთა გულს საჭირეობს. ფიზიკური აგებულება, რომელიც ზოგადად გულს ახასიათებს, მატერიალური გარემო და დროის სარტყელი, ყველა ესენი ის ელემენტებია, რაც ვედრებაზე ახდენს თავისებურ გავლენას. ვედრებაზე მოქმედებს ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც ადამიანი განიცდის. ეს იქნება გარემო, სხვადასხვა პიროვნებებთან ურთიერთობები და განსხვავებული სულიერი მდგომარეობა. ყველა

> თავდაპირველად ვედრება უზენაეს ალლაჰსა და ადამიანს შორის სულიერი ურთიერთკავშირია. აღნიშნულ ურთიერთობაში წარმატების მიღწევა, დამოკიდებულია სულიერი სამყაროს სხვადასხვა მდგომარეობებსა და მიდრეკილებებზე.

მათგანს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვედრების ასრულების თვალსაზრისით, როცა სიტყვები გულში ყალიბდება და ენით ხდება მისი წარმოთქმა.

1. ვედრება და გარემოება

ვედრების აღმვლენი პიროვნებისთვის როგორც გალენას ახდენს დროის სარტყელი, გარემოება და ვედრებისადმი საჭიროება, ასევე მნიშვნელოვანია ბაგეებიდან წარმოთქმული წინადადებები. იმისათვის, რომ ვედრება შესმენილი იქნას, ზოგიერთ დროსა და ადგილ-გარემოებას მნიშვნელოვანია ადგილი უკავია.

ა. ვედრების დრო

„როდის უნდა აღვავლინოთ ვედრება“? გამომდინარე იქედან, რომ ყველას გვსურს აღველნილი ვედრება უზენაესი ალლაჰის მიერ შესმენილი იქნას, ხშირად ისმის მსგავსი კითხვები. ვედრების აღვლენასთან დაკავშირებით კონკრეტული დრო და შეზღუდვა არ არსებობს. ამიტომაც ნებისმიერ დროსა თუ ადგილას შესაძლებელია და უფრო მეტიც, საჭიროა ვედრების აღვლენა. სხვადასხვა მოვლენები და შემთხვევები დროისა და გარემოებიდან გამომდინარე სულ სხვა ღირებულებას და მნიშვნელობას ატარებს. დრო, რომლის გამჩენიც უზენაესი ალლაჰია, ზოგიერთი დროის სარტყელში, უფრო მეტად ღირებულია. ბუნებრივია, რომ დროის ამ პერიოდში აღვლენილი ვედრების, უზენაესი ალლაჰის წიაღში, შესმენის შანსი უფრო მაღალია. აღნიშნული დროის შესახებ საუბარია ყურანსა და სუნნეთში, რომლის შესახებაც მოკლედ მოგითხრობთ:

აა. ცისკარის დრო

ცისკარი, დღის ყველაზე მშვიდი და წყნარი დროა. ეს არის დრო, როცა ძილი სურვილი ყველაზე უფრო აქტიურ ფაზაშია. ამ დროს უზენაესი ალლაჰისთვის აღვლენელი სურვილები, უფრო ეფექტური და მიზანთან ახლოსაა. ცისკრის დრო, ეს არის მომენტი, როცა ადამიანი ამქვეყნიური დაძაბული საქმეებისგან დასვენებული და დამოუკიდებელია. ყურანი გვამცნობს, რომ მონა-მსახურებს, რომლებსაც სურთ, რომ უზენაესი ალლაჰის კმაყოფილება დაიმსახურონ, ცისკრის დროს მიტევების თხოვნა ჩვევად აქვთ გათავისებული. ყურანში ვკითხულობთ:

„მოგვიტევე ჩვენ ცოდვები ჩვენი და დაგვიფარე ჯოჯოხეთის მტანჯველი ცეცხლისგან, ისინი მომთმენნი არიან, მართალნი, თავმდაბალნი, მოწყალების გამღებნი და გამთენიისას მიტევების მვედრებელნი“. (ალი ღიმრანი, 3/16-17)

მიმღებელნი იმისა, რაც უბოძა მათ თავიანთმა ღმერთმა. უეჭველად, ისინი კეთილისმქმნელნი იყვნენ წინათ. ცოტას თუ წაიძინებდნენ ღამით, და ალიონზე მიტევებას ეაჯებოდნენ ისინი“. (ზარიათი, 51/16-18)

მაგალითები ძირითადა გადმოცემული ცოდნის ან განმარტებული ჭეშმარიტების უფრო უკეთ გაგების მიზანს ემსახურება. ის რაც ჩვენ გვევალება, მოცემული აიათების არსის შეცნობა და პრაქტიკაში გატარება. ამასთან ერთად ცისკრის დროს ვედრებით მისაღები სიამოვნებისთვის თავდაუზოგავი მცდელობა. რამეთუ მოწყალის წყალობა ამ დროს უხვად მოედინება და დაეძებს მონა-მსახურს ვისაც განწმენდის სურვილი გააჩნია. მოდით ახლა ალლაჰის შუამავლის სიტყვებს მოვუსმინოთ:

უზენაესი ალლაჰი ყოველი ღამის პირველ-მესამედში (მოწყალებით) დედამიწის ზეცას გარდმოავლენს ძალაუფლებას და ბრძანებს: „ვინ არის მავედრებელი, რათა შევისმინო მისი ვედრება, ვინ რა სურს ჩემგან, რათა ვუწყალობო მას, ვინ ითხოვს ჩემგან მიტევებას, რათა მივუტევო მას“. (ბუხარი, დეავათი, 14; მუსლიმი, სალათულ მუსაფირინი, 24) როდესაც ალლაჰის შუამავალს ჰკითხეს, რომელი ვედრება უფრო მისაღე-

ბია, მან (ს.ა.ს.) ასე მიუგო: „ღამის ბოლო ნაწილსა და ფარზი ლოცვების შემდეგ აღვლენილი ვედრება“.

არ არის იოლი საქმე მაშინ, გაღვიძება და ადგომა როცა ყველა ღრმა ძილშია. მაგრამ ეს არის საქმე, რომელიც ალლაჰისთვის მიმართულ სურვილებით გაჯერებული სიტყვების, ვედრებად გადააქცევს. ყველა მოქმედება და ღვთისმსახურება, რომელიც უზენაესი ალლაჰისთვის მონა-მსახურების ცნობიერებას აყალიბებს, ღირსია იყოს ვედრებით გაჯერებული სიტყვები.

ცისკრის სიჩუმე, უზენაეს ალლაჰზე გულმხურვალედ შევედრების შესაძლებლობას აძლევს მონა-მსახურს. განა თვით დიადი გამჩენი არ იყო ის, ვინც შუამავალს (ს.ა.ს.) ვედრებისკენ მოუწოდებდა: „და ღამის ერთ ნაწილში ილოცე ყურანით, კერძოდ, შენთვის განსაკუთრებული დამატებითი ლოცვა. ეგების ღმერთმა შენმა მოგმადლოს ადგილი ქებული“! (ისრა, 17/79)

აბ. რამადნის მთვარე და ყადირის ღამე

„თერთმეტი თვის გვირგვინად“ წოდებული რამადნის მთვარე საკმარისია თავისი სტატუსის უკეთ აღსაქმელად. რამადნის მთვარეა, როცა პირველად იწყო ყურანის გარდამოსვლამ. (ბაყარა, 2/185) რამადნის რომელი ღამე იყო ეს? ეს იყო ყადირის ღამე. და რამადნის მერამდენე ღამეა ყადირი? ამ კითხვის ზუსტი პასუხი უცნობია. მაგრამ ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) გვირჩევს ყადირის ღამე რამადნის მთვარის ბოლო ათ ღამეში ვეძიოთ. (ბუხარი, ლეილეთულ ყადრი, 2; მუსლიმი, სიამი, 40) ისლამის სწავლულებმა, რომლებმაც აღნიშნული გადმოცემები გაანალიზეს, განმარტეს, რომ ყადირის ღამე დიდი ალბათობით რამადნის მთვარის 26-ე ღამეა, რომელიც 27-ე დღეს აკავშირებს.

კი მაგრამ რატომ არ არის ეს ღამე ზუსტად განსაზღვრული. ის, რომ ყადირის ღამე რამადნის მთვარეშია დაფარული, მიანიშნებს იმაზე, რომ რამადნის მთვარის ყოველი ღამე ყადირის ღამის მსგავსად უნდა განსაკუთრებით შევაფასოთ. მართალია რამადანი დროის ძვირფასი პერიოდია, თუმცა ყადირის ღამე დროის ღირებულების განსაკუთრებული

ზენიტია. ყველაზე დიდი ბედნიერებაა მისი პოვნა და სათანადოდ შეფასება. რადგან საუბარია დროის იმ სარტყელზე, რომელიც ათას თვეზე უფრო ღირებულია. (ყადირი, 97/3) ეს არის დროის მომენტი, რომელიც წელიწადში ერთხელ დგება! ყადირის ღამეს შესრულებული ღვითსმსახურება, თვით ღამის მსგავსად ღირებულად შეფასდება. ასევე მაღალია აღვლენილი ვედრების შესმენის ალბათობა.

აგ. ჯუმა დღე- პარასკევი

ჯუმა –ეს ის მადლმოსილი დღეა, როდესაც მორწმუნეები ამქვეყნიურ ყველა საქმესა და გასაჭირს გარკვეული დროით გვერდზე გადადებენ და უზენაესი ალლაჰის წინაშე იკრიბებიან. მონა-მსახურებრივი ცნობიერება, რომელსაც ადამიანები ამ დროს განიცდიან, სადღესასწაულო განწყობას ქმნის. ამიტომაც დიდია იმის ალბათობა, რომ ამ დღეს აღსრულებული ვედრება დასახულ მიზანს მიაღწევს. დღე, რომელიც სულიერი მადლმოსილებით გამოირჩევა, მასშია დაფარული ვედრების შესმენის დრო, რის გამოც ამ დღეს ვედრება და კეთილი საქმის კეთება განსაკუთრებით არის მოწოდებული. ებუ ჰურეირა მოგვითხრობს: „ებულ ყასიმმა (შუამავალი მუჰამმედი ს.ა.ს.) ბრძანა: ჯუმა დღეს არსებობს ისეთი დრო, მუსლიმი, რომელიც ილოცავს და სიკეთეს შეევედრება და იმ დროს დაემთხვევა, უზენაესი ალლაჰი მას სასურველს უბოძებს“. ამ სიტყვებით ალლაჰის შუამავალმა აღნიშნული დროის სიმცირე ხელის აწევით გამოხატა. (ბუხარი, ტალაყი, 24; მუსლიმი, ჯუმა, 5; იბნი მაჯე, იყამე, 99)

ად. სეჯდეს მდგომარეობა

ადამიანი წელში გამართულ არსებადაა გაჩენილი. ეს მდგომარება იკვეთება თავისი ფიზიკურობიდან გამომდინარე და ანალოგიური ვითარება ჩნდება თავის სულიერ თუ მიდრეკილება –დამოკიდებულებით მიმართებაშიც. მას სურს ყოველთვის შბუბლ გახსნილი და წელში გამართული იყოს. არ მოსწონს იყოს წელში მოხრილი და თავჩაღუნული. იგი ადამიანებისა და უფრო მეტიც გამჩენის ძლიერების წინააღმდეგ სიმაყისკენ არის მიდრეკილი. უნდა იყოს თვითნებური და პასუხისმგებლობებს თავს არიდებდეს. გამომდინარე

აქედან, რელიგიის მიზანია ასეთი ბუნების მქონე ადამიანის აღმზრდელობითი მეთოდით წესრიგში მოყვანა და მისთვის დიადი გამჩენის გაცნობა. ადამიანი, რომელიც ცნობს უზენაეს ალლაჰს, მონა-მსახურებრივი ცნობიერებით მიღებული სიამოვნებით, იგი უმნიშვნელო სიამაყისა და საკუთარი განდიდების მანიისგან გათავისუფლდება. თავს, რომლის მოდრეკა არ სურდა, უზენაესი ალლაჰის წინაშე დახრის. მისი სიდიადის წინაშე, შუბლით მიწას დაემხობა. ხოლო შუბლი, რომელიც მიწას შეეხება, დიად გამჩენს შემდეგი შინაარსით მიმართავს: „ვითავისებ, რომ შენგან მოვედი და ისევ შენთან უნდა დავბრუნდე. ეს არის დემონტრირება იმისა, რომ ადამიანი უზენაესი ალლაჰის ყოვლისშემძლეობის წინაშე თავის უძლურებას მოქმედებით -სეჯდეს მდგომარეობაში გამოავლენს.

სული, რომელიც აღნიშნულ სინამდვილეს ჩაწვდება უწყის, რომ უსასრულო სიდიადის წინაშე უძლურება, მას სამარადისო ბედნიერებას მიანიჭებს. ადამიანი, როდესაც სეჯდეს მდგომარეობაშია, ხორციელი ვნებების სიამაყისგან გადაარჩენს. უზენაეს ალლაჰს შორის არსებულ ყველა ხელვნურ დაბრკოლებას გადალახავს და გამჩენთან პირისპირ ურთიერთობას ჩამოაყალიბებს. ამიტომაც სეჯდეს მდგომარეობა სწორედაც, რომ ვედრებისთვის აბსოლუტურად შესაბამისი ფორმაა. ალლაჰის შუამავლისთვის სეჯდეს მდგომარებაში ვედრების აღვლენა ცხოვრების განუყოფელი წესი იყო. ამრიგად ბრძანებდა იგი: „მონა-მსახურის დიად გამჩენთან ყოფნის უახლოესი მომენტი, სეჯდეს მდგომარებაა. მაშ, სეჯდეს მდგომარეობაში ხშირად აღავლინეთ ვედრება“. (მუსლიმი, სალათი, 42) ებუ ჰურეირა აღნიშნულ გარემოებას ასე აღწერს: ალლაჰის შუამავალი სეჯდეს მდგომარეობაში ასეთ ვედრებას აღავლენდა: „ღემრთო ჩემო! მომიტევე ყველა ცოდვა რაც ჩავიდინე, მიცრე თუ დიდი, ფარული თუ აშკარა“. (მუსლიმი, სალათი, 42) „შეაქე და განადიდე ღმერთი შენი და შენდობა შესთხოვე! უეჭველად, ის ყოვლისმიმტევებელია“! ამასთან ერთად მორჩილებას იჩენდა რა მოცემული აიათის ბრძანების წინაშე, რუქუ'ისა და სეჯდეს დროს ბევრჯერ გაიმეორებდა: „ღმერთო ჩემო! შენ ყოველგვარი ნაკლოვნების თვისებისგან შორს ხარ. ღმერთო ჩემო! მად-

ლიერებას გამოხტავავ შენდამი, გაქებ და გადიდებ. ღმერთო ჩემო! ჯომიტევე მე“. (მუსლიმი, სალათი, 7, 42)

შესაძლებელია ჩვენც იგივე სიამოვნება მივიღოთ სეჯდეს აღსრულებით, როგორც ამას ალლაჰის შუამავალი განიცდიდა? არ არის უარყოფითი აღნიშნული კითხვის პასუხი, მაგრამ სრული მნიშვნელობით „დიახის“ თქმაც რთულია. ის რაც ჩვენ გვევალება, მისგან შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენი ხვედრითი წილის მისაღებად გარჯაა. მოუსმინეთ გულს, რომელიც სეჯდეს იდუმალების მისაღწევად იტანჯება..

„ო, არა ღმერთო ჩემო! ო, არა, ღმერთო ჩემო! ჩვენ ხომ შენ სიტყვებით, მხოლოდ სიტყვებით გცნობთ. ღმერთო ჩემო, რაოდენ დიდი სიბრძნეა სეჯდეს აღსრულებაში. ვფიქორბ ჩავწვდი მის სიბრძნეს, თუმცა მაინც ვერ ვამბობ ხმამაღლა ამას.

ისინი ვინც ჩაწვდება ჭეშმარიტების სიბრძნეს და გააცნობიერებს, რომ ყველაფერი უზენაეს ალლაჰს ეკუთვნის, მიხვდებიან ცხოვრების გააზრების ფორმულას. ისინი გაიაზრებენ რა მონა-მსახურებრივ არსს, ჩაწვდებიან ღვთის მიერ დადგენილი ზღვარის დანიშნულებას და თავმდაბლობაზე დამყარებულ ამქვეყნიურ შეხედულებას დაიდგენენ ცხოვრების წესად. მიხვდებიან, რომ ჭეშმარიტი ამაღლება სეჯდეს მდგომარეობითაა შესაძლებელი. ყურანში ვკითხულობთ: „ისინი ტირილით პირქვე მიწას ემხობიან. და აძლიერებს მათ მოკრძალებას“.

აე. ეზანსა და ყაამეთს შორის

როდესაც გაისმის ეზნის ხმა, ეს მორწმუნისთვის ლოცვის დროის დადგომის მაუწყებელია და იგი სულიერეად და ფიზიკურად ლოცვისთვის მზადყოფნაშია. სულიერი განცდა, რომელიც ადამიანს ღვთისმსახურებისთვის ამზადებს, ვედრებისთვის საუკეთესო საფუძველს წარმოადგენს. გარემოება, რომელიც დღეში ხუთჯერ მეორდება, რაც შეიძლება უკეთესად უნდა შეაფასოს და გამოიყენოს მორწმუნემ. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ეზანისა და ყაამეთის შორის აღვლენილი ვედრება უარყოფილი არ იქნება“. (თირმიზი, სალათი, 159; ებუ დავუდი, სალათი, 35)

გარდა ზემოთ ჩემოთვლილი მდგომარეობებისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო ხანმოკლე მაგრამ ხშირად განმეორებადი და გარკვეულ დროებში აღვლენილი ვედრება, ცხოვრებას უწყვეტ რეჟიმში ვედრებით მდგომარეობად წარმოგვიდგება. ალლაჰის შუამავალი ლოცვის დასრულებისას, სახლიდან გარეთ გასვლისას, ძილის წინ და გაღვიძებისას ვედრებას აღავლენდა, ამასვე ასწავლიდა და ურჩევდა თანამიმდევრებსაც. გარდა ამისა, ბაზარში შესვლისას, სამოგზაუროდ წასვლის წინ, მოგზაურობიდან დაბრუნებისას, ვინმეზე დამშვიდობების, ჭამის წინ და შემდგომ მოკლედ ნებისმიერ სათანადო მომენტში ვედრებას აღავლენდა და ასე უზენაესი ალლაჰისადმი რწმენის კავშირს ამტკიცებდა. ვედრება მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ალლაჰის ლოცვა და სალამი მას.

ბ. ვედრების გარემოება

ისე როგორც შეუძლებელია ვედრებისთვის დროის შეზღუდვა, ასევე შეუძლებელია მისთვის გარკვეული გარემოების განსაზღვრა. გამომდინარე იქედან, რომ უზენაესი ალლაჰი ყველაგან არსებობს და ყოვლის მხედველია, სურვილებისა და თხოვნების მისთვის შევედრება ნებისმიერ დროს შესაძლებელია. ვედრების აღვლენა შესაძლებელია ყოველთვის და ყველგან, ეს იქნება სეირნობის, შრომის, ტრანსპორტში ჩასხდომისა თუ მოგზაურობაში წასვლის წინ. მაგრამ ღვთისმსახურების ძირითადი განსაკუთრებულობა ის არის, რომ მას ცხოვრების მოწესრიგების როლი აკისრია. აღნიშნული როლი, მაშინ წარმოჩნდება, როცა ვედრების აღვლენის სათანადო დრო და გარემოება იქნება. ამ თვალსაზრისით ვედრებისას გარკვეულ დროზე ყურადღების გამახვილება და ამათუიმ ადგილის წინა პლანზე დაყენება, ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, თავდაპირველად ინდივიდუალური განვითარებისთვისაა სასარგებლო. არდა ამისა ვიცით, რომ უზენაესი ალლაჰი გარკვეულ დროსა და ადგილ-გარემოებას სხვა დროიებისა და გარემოებებისგან განსხვავებით უპირატესობას ანიჭებს. ამიტომაც, არსებობს რწმენა და იმედი, რომ ასეთ ადგილებსა და დროში აღვლენილი ვედრება უფრო შესმენადი იქნება.

ბა. მეჩეთები

თანამედროვე ეპოქის ადამიანი, რომელიც ყოველდღიურობით გადატვირთული და დაძაბულია, სწყურია ადგილები, სადაც იგი მშვიდად ამოისუნთქებს. უამრავი სირთულე, რასაც ადამიანის მთელი გონება და სული გავლენის ქვეშ ყავს მოქცეული, ხშირად წინ აღუდგება და ფარდად ეფარება მის დიად გამჩენთან ურთიერთობასა თუ სურვილების მისთვის გამხელას. სწორედ სამლოცველოებია ის ადგილები, რასაც ადამიანის მსგავსი სირთულიდან დახსნისა და სულიერი სიმშვიდის მოგვრა შეუძლია. ადგილები, რომელსაც მკაფიოდ აფიქსირებს ადამიანის უზნეაესი ალლაჰისადმი მონა-მსახურებას, მათში არსებული სულიერი ატმოსფერო, ვედრებისთვის საოცრად ღირებულ გარემოს წარმოადგენს.

განურჩევლად დიდი და პატარა მეჩეთებისა თუ სამლოცველოებისა, უზენაესი ალლაჰის ბრძანების თანახმად „წმინდა და ხელშეუხებელია. ყურანში ვკითხულობთ: „და უეჭველად, სალოცავები ალლაჰს ეკუთვნის. დაე, ნუ მიეაჯები ალლაჰთან ერთად ვინმეს“! თუმცა მათ შორის არის ზოგიერთი სამლოცველო, რომელიც სხვებისგან განსხვავებით გარკვეული უპირატესობით გამოირჩევნიან. დედამიწაზე გარკვეული უპირატესობის მქონე მეჩეთებს, ალლაჰის შუამავალი შემდეგნაირად ასახელებს:

განსაკუთრებულ მოგზაურობას არ ექვემდებარება მეჩეთები გარდა სამისა: მესჯიდი ჰარამი, მესჯიდი აყსა და ჩემი მეჩეთი, იგულისხმება მესჯიდი ნებევი. (ბუხარი, სავმი, 67) ამრიგად აღნიშნულ მეჩეთებში აღსრულებული ღვთისმსახურება და აღვლენილი ვედრება უზენაესი ალლაჰის წიაღში უფრო მისაღები და მეტი მადლიანია. გამომდინარე აქედან, მას ვისაც მესჯიდი ჰარამისა და მესჯიდი ნებევის მონახულების შესაძლებლობა მიეცემა და წილად ხვდება ჰაჯობის ღვთისმსახურება სისრულეში მოყვანა, მან ვედრებისთვის შესანიშნავი ადგილი სრულფასოვნად შეაფასოს.

მორწმუნე, რომელიც სამლოცველოს ერთ მშვიდ კუთხეში განმარტოვდება და დიად გამჩენთან პირისპირ წარდგომის

განცდით ვედრებას აღავლენს, უდავოა, რომ ეს განცდა მას განსაკუთრებულ სიამოვნებას მიანიჭებს. სამლოცველოების გარდა, სადაც შეიძლება ადამიანმა მშვიდად ვედრება აღავლინოს, ისეთი ადგილებია სადაც პიროვნება გარე ზეგავლენებისგან თავისუფალი იქნება. სუფიზმის სწავლულების განმარტოების ერთ-ერთი მიზეზიც, აღნიშნული სიმშვიდის მოპოვებას ემსახურებოდა.

ბბ. არაფატი

მორწმუნეთათვის დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ადგილი, არაფატია. არაფატი, მექადან 25 კმ მოშორებით სამხრეთ აღმოსავლეთით გაშლილი მიდამოებზე მდებარეობს. სწორედ აქ სრულდება „ვაყფე“ რომელიც ჰაჯის ღვთისმსახურების ერთ-ერთი მთავარი ბურჯია. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს) ბრძანებს: „ჰაჯობა, არაფატია“. (თირმიზი, ჰაჯი, 58) იმისათვის, რომ ჰაჯობის ღვთისმსახურება სისრულეში იქნას მოყვანილი, არაფატზე ყოფნისას ვაყფეზე დგომის დროს აღვლენილი ვედრება შესმენილი იქნება. აქ განურჩევლად ერის, კანის ფერისა და სოციალური სტატუსისა, უამრავი მუსლიმი თეთრ სამოსში გამოწყობილი უზენაეს ალლაჰს სურვილებითა და თხოვნებით მიმართავენ. აქ აღვლენილ ვედრებებზე ყველა ერთხმად „აამიინს“ წარმოთქვამს. იქ, სულიერებით გაჯერებულ გარემოში ადამიანის სული გარკვეული ხნით ყოველგვარი ამქვეყნიური დარდისგან თავისუფლდება. გულებში ალლაჰის ხსენებითა და მასზე ვედრებით სიმშვიდე დაისადგურებს. ამასთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ყველაზე საუკეთესო ვედრება, არაფატის დღეს, (არაფატზე) აღვლენილი ვედრებაა. (თირმიზი, დეავათი, 123)

2. ვედრების შინაგანი ანუ სულიერი მდგომარება

თავდაპირველად ვედრება, მონა-მსახურსა და ალლაჰს შორის არსებული სულიერი კავშირია. ამ თვალსაზრისით წარმატების მისაღწევად, მნიშვნელოვანია სულიერი სამყაროსთვის დამახასიათებელი სხვადასხვა მიდრეკილებების არსებობა. იმისათვის, რომ ვედრება უფრო სიღრმისეული

და აზრიანი იყოს, კარგი იქნება თუკი სულიერი მდგომარეობის ზოგიერთ თვისებებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ა. ნება-სურვილი და მიზანდასახულობა

ნება-სურვილი ეს არის სულის ენერგია, რომელიც რომელიმე საქმის გაკეთების ან არ გაკეთების მიმართულებით აქტიურობას უზრუნველჰყოფს. ნება-სურვილი ვედრების აღვლენის განწყობის საფუძველს წარმოადგენს. აღვლენილი ვედრება, რომელიც სრულდება ენერგიისგან დაცლილი, იგი არასასიამოვნო და არასასურველი იქნება. ვედრება მხოლოდ მაშინ ექნება ეფექტური, როცა ჯანსაღ საფძველზე იქნება დამყარებული და იგი ყოველგვარი გარე ძალების ფატორებისგან შორს, თუმცა წრფელი გულით იქნება აღვლენილი.

მიზანდასახურლობა წარმატების უმთავრესი პირობაა. საქმე, რომლის წარმატებაც სასურველია, მისგან შედეგის მისაღებად აჩქარება მიზანშეწონილი არ არის. შესაძლოა მცირე შედეგი, თუმცა უწყვეტობა ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. იმისათვის, რომ საწადელს რაც შეიძლება სწრაფად მივაღწიოთ, ბევრჯერ მიზანდასახულობისგან დაშორებულ დამოკიდებულებას გამოვავლენთ. მაგრამ სურვილებსა და ჩვენს შორის უამრავი დაბრკოლება არსებობს. იმისათვის, რომ შევძლოთ აღნიშნული დაბრკოლებების გადალახვა, გარკვყეული პროცესებიდან უნდა გავიაროთ, იქნება ეს, ხანგრძლივი ან ხანმოკლე. ცხოვრებისეული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ პერიოდში საჭიროა ჩვენზე დაკისრებული მოვალეობის სისრულეში მოყვანა. გვწამს და გვჯერა, მაგრამ უზენაესი ალლაჰის წინაშე აღვლენილი ვედრების დროულად აღსრულებას ვითხოვთ. სულსწრაფები ვართ, ეს არის დიაგნოზი, რაც უზენაესმა ალლაჰმა დაგვიდგინა. „გაჩენილია ადამიანი სულსწრაფი“. (ენბია, 21/37)

ასეთმა სულსწრაფმა დამოკიდებულებამ, დაჟინებითმა სურვილმა იმისა, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს რაც გვსურის, შესაძლოა მოულოდნელი სიტუაციის პირისპირ დაგვაყენოს. რამეთუ ადამიანი არ უწყის, რომ იქნებ რაც მას სურს, მისთვის არ არის კარგი, როგორც თავად ფიქრობს. მოდით ვნახოთ

აღნიშნულთან დაკავშირებით უზენაესი ალლაჰის გაფრთხილება: „..იქნებ თქვენ გძულდეთ რამე, მაგრამ ის რამე კარგია თქვენთვის; და იქნებ თქვენ გიყვარდეთ რამე, მაგრამ ის ცუდია თქვენთვის. ჭეშმარიტად, (ამ ყველაფერს) უწყის ალლაჰი, თქვენ კი არ იცით! (ბაყარა, 2/216)

შენ შესაძლოა გინდოდა სიკეთე, მაგრამ გამოვა ისე, თითქოს გდომებოდა სიავე. მოდით შემდეგ აიათს გადავხედოთ: „და ვითომც სიკეთეს ევედრება ადამიანი, მაგრამ სიავეს მოუხმობს. და ხომ ადამიანი ისედაც ცანცარაა! (ისრა, 17/11) ადმიანი, ვედრების შესმენასთან დაკავშირებულმა სულსწრაფმა დამოკიდებულებამ შესაძლოა უიმედობის განცდაში ჩაადგოს. მაგრამ ვიცით, რომ უზენაესი ალლაჰის მოწყალებისგან იმედი არასოდეს უნდა გადავიწუროთ! (ზუმერი, 39/53)

სამყაროს წყალობად მოვლენილი შუამავალი საკითხთან დაკავშირებით გვამცნობს: „ თქვენგან მისი ვედრება შესმენილი იქნება, ვინც არ იტვის: „მე გამჩენს შევევედრე და ვედრება არ შეისმინა“ და შემდეგ სულსწრაფობას არ გამოიჩენს. (მუსლიმი, ზიქრი, დუა, 25)

ჭიაჭველების მიერ პატარა ზომის გორაკების მსგავსი ბუდეები, მათი მიზანდასახულობისა და უწყვეტი შრომის შედეგია. ყველასთვის ცნობილია ქართული ანდაზა, „გახსოვდეს კოვზსა პაწიას, დიდი ზღვა დაულევია“. აღველნილი ვედრების მიმართ რწმენა იმისა, რომ შესმენილი იქნება, საჭიროა მიზანდასახულობა და უწყვეტობა. დაჟინებული ვედრება, მონა-მსახურის უზენაესი ალლაჰისადმი ნდობისა და მასთან ახლო დამოკიდებულების მაჩვენებელია. ნდობის ზრდასთან ერთად, დაუოკებელი ვედრების სიყვარულიც იმატებს.

მეორეს მხრივ უდრეკობითა და სიმტკიცით გამოხატული ვედრება, მისი შესმენის მიმართულებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „უდრეკები და მტკიცენი იყავით ვედრების დროს. (ეს არ ნიშნავს აიძულო ალლაჰი) რამეთუ ის არავის აიძულებს. (ბუხარი, დეავათი, 21) გარდა ამისა კიდევ ერთ ჰადისში შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: „მიტევების მთხოვნელმა, ეს რომ დღეში სამოცდაათჯერ გაიმეოროს, მაინც არ ჩაეთვლება დაჟინებად“.

(თირმიზი, დეავათი,107) როგორც იბნი მესუდი გადმოგვცემს: „ალლაჰის შუამავალს (ს.ა.ს) ვედრებისა და სინანულის სამჯერ განმეორება მოსწონდა“. (იბნი ჰანბელი, I, 394)

აღნიშნული სულიერი მდგომარეობა თუკი არ იქნება ვედრების დროს გათვალისწინებული, თავს იჩენს ადამიანის ბუნებაში არსებული შემდეგი ხასიათი; უმადურობა. ეს არის იმ ადამიანში, რომელსაც მაშინვე არ აუსრულდა სურვილი, წყალობები, რომელშიც იმყოფება, თუმცა არაფრად აგდებს. ცხოვრებას იმ სურვილის ასრულების აზრში ხედავს და განგებას ემდურება, რის გამოც დაბრკოლება შეექმენა. სწორედ ასეთი სუსტი და უმეცარი ადამიანის ხასაითში უმადურობა აშკარად ვლინდება. უმადურობა, რომელიც ასევე ვედრებას უკავშირდება, კეთილდღეობით ვითარებაში უზენაესი ალლაჰის არ გახსენებით და მხოლოდ რთულ სიტუაციაში ჩავარდნისას დახმარებისთვის მისთვის მიმართვაში გამოიხატება.

„და როცა კაცს უბედურება ეწევა, გვევედრება ჩვენ წამოწოლილი ან მჯდარი ან ფეხზე მდგომი. მაგრამ როცა ავარიდებთ მას უბედურებას, ისე ჩაივლის, თითქოს არც ეთხოვოს ჩვენთვის შეწევნა თავსდატეხილი უბედურების გამო. აი, ასე მოეკაზმათ ზღვარგადასულებს, რასაც სჩადიან“.

სწავლული ხალილ ჯუბრანი, თავის ერთ-ერთ ნაშრომში წარმოდგენილი გმირს ზემოთ მოცემულ საკითხს ასე განუმარტავს: „თქვენ სირთულისა და სიდუხჭირის ჟამს ღვთისმსახურებას აღავლენთ. ნეტავ მაშინაც აღავლენდეთ ღვთისმსახურებას, როცა კეთილდღოებასა და ბარაქიანობაში იმყოფებით. და თუკი როდესაც სული თქვენი ღვთისმსახურებისკენ გიხმობთ და თქვენ მხოლოდ ამისათვის ტირილი შეგიძლიათ, ი თქვენი ტირილის მიუხედავად, თავიდან, მაგრამ თავიდან უნდა გაგახალისოთ და ღიმილი უნდა მოგგვაროთ. (ხალილ ჯუბრან ერმიში, გვ. 89)

ყველა სურვილის ასრულება, ადამიანში გარკვეული სახის სიზარმაცეს, კადნიერებასა და ურცხვობას გამოიწვევს. გამომდინარე აქედან, სწავლულები ვედრების არ აღსრულებას კეთილ მიზეზებს უკავშირებენ, რითაც ადამიანში ვედრების

მიზანდასახულობასა და მოთმინებას ახალისებენ. რამეთუ ადამიანს, რომელსაც სასუველი ვედრება უმალ აუხდება, სიამაყე შეიპყრობს და თვითნებურად იწყებს ქცევებს და პასუხისმგებლობას არად ჩააგდებს. ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ ზოგჯერ ვედრების შესმენის დაგვიანება, ადამიანისთვის აღმზრდელობასა და ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

ბ. იმედი

ცხოვრება იმედის ტოლი ღირებულებაა. ყოველთვის გვაქვს იმედი, რომ გამოსწორდება ვითარება რომელშიც ვიმყოფებით, საქმეები უკეთ წავა და მომავალში უკეთესად ვიქნებით. იმედის ძარღვია, ის რაც ცხოვრებას ენერგიულს ხდის. სწორედაც იმედის გრძნობა გავძლევს ძლას ვიფიქროთ წინსვლაზე და მტკიცედ დავუდგეთ სხვადასხვა გამოწვევებს. იმედი, როგორც ასეთი ელექტრონული წყაროა. სწორედ იმედის გრძნობაა, რაც ადამიანს რთულ ვითარებაში გამძლეობას და სირთულის გადალახვაში ეხმარება. მცირე გარჯას დიდ ამაგად გადაქცევას უწყობს ხელს. ჩვენს მიერ ჩადენილი ცოდვები, რომლის მაპროვოცირებელია ადამიანის სისუსტე, თუდაც უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების შეუსაბამო მდგომარეობად ითვლებოდეს, მორწმუნე არ ამ დროს განიცდის უიმედობას. მიუხედავად ყოველგვარი ნაკლოვნებისა, საუკეთესო მორწმუნეობის გზაზე ზრუნვასა და გარჯას ვერ შეაფერხებს. აღნიშნული იმედსა და მისწრაფებას, ძირითად ძალას უზენაესი ალლაჰის აღთქმა ანიჭებს. დიადი გამჩენი ბრძანებს:

„და ბრძანა თქვენმა ღმერთმა: „შემევედრეთ და შევისმენ თქვენს ვედრებას. უეჭველად, რომელნიც მედიდურობას ავლენენ ჩემდამი მსახურებაში, შევლენ ჯოჯოხეთში დამცირებულნი“. (მუ'მინი, 40/60)

ნახეთ როგორ განამრტავს ალლაჰის შუამავალი ვედრების აღმვლენი მორწმუნის ჰორიზოტს:

„უზენაესი ალლაჰი რიდის პატრონია, გულუხვია. ერიდება, მონა-მსახურის ხელცარიელი უკან გაბრუნება, როდესაც იგი ხელებს აღაპყრობს და ვედრებას აღავლენს. (ებუ დავუდი, სალათი, 358)

მოცემული აღთქმა, რომელიც ვედრების შესმენის მიმართულებისაა, მორწმუნეში აყალიბებს იმედს და მას იცავს სასოწრკვეთილებისგან. ეს უკანასკნელი კი ადამიანს არ მიიყვანს იმ დონემდე, რომ თქვას: „მე ვედრება აღვავლინე, ის მიღებული იქნება“. პირიქით, ის იმ იმედით, რომ შეცდომები მიეტევება და სურვილები აუხდება, ვედრებას აღავლენს, მაგრამ ამავედროს იგი ვედრების შესმენისა და აუხდენლობას შორის შიშსა და იმედს შორის განიცდის თავს. რამეთუ ყურანის სწავლებაც ამ მიმართულებითაა: „და შეევედრეთ მას შიშითა და სასოებით. უეჭველად, ალლაჰის წყალობა ახლოსაა კეთილისმთესველთან“. (ეღრაფი, 7/56)

ქვემოთ მოცემული აიათი გვამცნობს, რომ მორწმუნეები, რომლებიც ყურანის აიათებს დარიგებად მიიღებენ, სიამაყეს განუდგებიან და ღვთიურ ბრძანებას ცხოვრებაში გააატარებენ. აიათში ვკითხულობთ:

„ისინი საწოლებს განშორდებიან თავიანთ ღმერთზე შესავედრებლად ძრწოლვით და სასოებით, და რა სარჩოც ვუბოძეთ, გაიღებენ იქიდან! (სეჯდე, 32/16)

მაგრამ ეს ყველაფერი სრული იმედით განმსჭვალული მდგომარეობაა. მონა-მსახური რამდენადაც ცოდვილი იყოს, მის მიერ ჩადენილის გამო სინანულის გამოხატვა, გამოსწორებისა და ცოდვების მიტევების იმედს ატარებს. წყარო, რომელიც ამ უდიდეს იმედს ამყარებს, ისევ ღვთიური სიტყვებია:

„თქვი: ჰეი, მსახურნი ჩემო, რომელთაც ზღვარს გახვედით საკუთარი თავის საზიანოდ! არ მოიწყვიტოთ იმედი ალლაჰის წყალობისგან. უეჭველად, ალლაჰი მიუტევებს ცოდვებს სრულად, რამეთუ იგია შემნდობი, მწყალობელი“. (ზუმერი, 39/53)

მოცემული აიათი მიანიშებს იმაზე, რომ სასოწარკვეთილება, უზენაესი ალლაჰის მოწყალებისა და მიმტევებლობის თავისებურებას არად ჩაგდებაა. ამიტომაც ვედრების აღმვლენი ადამიანს, იმედიანად უნდა იყოს განწყობილი, რომ მისი ვედრება შესმენილი იქნება. როგორც თავისდროზე იაჰია ბინ მუაზი მოიქცა:

„ღმერთო ჩემო! შენი მოწყალებით, მომიტევე ცოდვები ჩემი! ღმერთო ჩემო! მართალია, ჩემი ცოდვების სიმრავლე შენი სამართლიანობის წინაშე მაშინებს, მაგრამ შენივე ყოვლადმოწყალეობის სიდიადე ისევ იმედით მამკობს“.

ღმერთო ჩემო! მართალია სამოთხის შესაბამისი საქმეები ვერ ვქმენი, მაგრამ ვერ ჯოჯოხეთის სასჯელს გავუძლებ. ჩემი განგება, მხოლოდ შენი მოწყალების, პატიებისა და მიტების იმედადაა.

იმ განკითხვის დღეს თუკი უზენაესი გამჩენი გვკითხავს: „ჩვენ რა მოგვიტანე? – ვუპასუხებ: „ღმერთო ჩემო! საპყრობილედან გამოსული არაფრის მქონემ, რა შეიძლება მოიტანოს, გარდა იმისა, რაც ტანთ აცვია? შენი მოწყალებითა და მიტევებით განმწმინდე მე. შეიწყალე ეს საბრალო მონა-მსახური!

ამასთან ერთად შეუძლებელი ადამიანმა ცოხვრებაში ყველა სასურველს მიაღწიოს. სურვილთა ერთი ნაწილი, იმის გამო, რომ თვით მსურველისთვის სასიკეთოდ არ გამოიყურება, ხოლო მეორე ნაწილი სურვილის ნაკლოვნებიდან გამომდინარე მიუღებელი აღმოჩნდა ან უარყოფილი იქნა. ვედრება, რომელიც შესმენისთვის საკმარის პირობებს არ აკმაყოფილებს, ერთობ უსამართლო თხოვნაა. ამიტომაც ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს) მიუღებელი ვედრების აღვლენისგან ალლაჰს მიეკედლებოდა. (მუსლიმი, ზიქრი და დუა, 18)

გ. მორჩილება

ადამიანმა ვედრება იმ ცნობიერებით უნდა აღავლინოს, რომ ყველაფერი უზენაესი ალლაჰის ყოვლისშემძლეობისა და ნებით ხდება, ხოლო რაც შეეხება მონა-მსახურის მიერ ნამოქმედარს უნდა აღიაროს, რომ სინამდვილეში არაფერია. სწორედ ასეთი მორჩილების წარმოჩენას მოითხოვს ვედრება. მორჩილი სული, მზერას გამჩენისკენ მიაპყრობს და წარმოთქვამს: „ყველაფერი შენს ყოვლისშემძლეობაზე დამოკიდებული, თუ არა ნება შენი, მე ვერაფერს მოვიმოქმედებ. ამიტომაც მთელი ჩემი არსებით, ჩემს თავს შენს ყოვლისშემძლეობასა და ნებას ვუძღვნი. მხოლოდ შენ ძალგიძს მიბოძო რაც მსურს“.

ვედრების აღმვლენ მონა-მსახურს გაცნობიერებული აქვს რა თავისი სისუსტე, უძლურება და მორჩილებას გამოხატავს უსაზღვრო ძალა-უფლებისა და სიდიადის წინაშე. ამ თვალსაზრისით ვედრება ყველაზე მოკლე და ჯანსაღი გზაა მთხოვნელსა და მას შორის ვისგანაც თხოვნა სრულდება. მონა-მსახური, რომელიც აღნიშნულ გზას დაადგება, ნიშნავს, რომ მან გაითავისა ის მოკრძალება, რასაც მონა-მსახურეობა ითვალისწინებს, შეიცნო უზენაესი გამჩენის უდავო ძლევამოსილება და მორჩილება გამოიჩინა მისი სიდიადის წინაშე. სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „არაფერია უზენაესი ალლაჰის წიაღ ისეთი ღირებული, როგორიცაა ვედრება“. (იბნი მაჯე, 1; იბნი ჰანბელი, II, 362)

საყვარელი არსებისადმი მორჩილება, მოყვარული სულისთვის ყველაზე დიდი თავისუფლებაა. და ეს თავისუფლება განუსაზღვრელი იქნება მაშინ, როცა საყვარელი არსება, რომლისადმიც ხდება მორჩილება, უზენაესი ალლაჰია. საუკეთესოდ წარმოაჩენს მორჩილების მდგომარეობას, როცა ყურანის თავიდან ბოლომდე წაკითხვის (ხათმის) შემდეგ წარმოვთქვამთ შემდეგ წინადადებებს: „ღერთო ჩემო! შენს მიერ მადლიერება წესად ვაქციე, შენი ხსენება გულის მირ'აჯად დავიდგინე. შენი წიგნი საუნჯედ გავითავისე. მე არ ვარსებობდი, შენ გამაჩინე. შენი სიყვარულით გული შემიშფოთე, დახმარების თხოვნით შენ მოგეკედლე და შენს კართან მოვედი. ვერ შევასრულე ღირსეული მონა-მსახურება და შენთან პატიების სათხოვნელად მოვედი. არ მომცე ცდუნების ნება, სიმართლის თქმა მარგუნე წილად და ჭეშმარიტება შემასწავლე. შენ თუ არ ჩამასმინე, მე ვერას გავიგონებ. შენ თუ არ მათქმევინებ, მე ვერაფრის თქმას შევძლებ. შენ თუ არ შემაყვარებ, მე ვერ შევიყვარებ. შეგვაყვარე ის რაც შენ გიყვარს და შეგვაძულე ის რაც შენთვის მოუწონარია. გთხოვ დაგვეხმარო ჩვენ..

მუსლიმი, სიტყვა სიტყვით უზენაეს ალლაჰზე მორჩილ ადამიანს ნიშნავს. სწორედ ადამიანია, რომელსაც ყველაზე მეტად შეშვენის ასეთი ეპითეტი, რამეთუ ის ვედრების დროს დიადი გამჩენის მორჩილებით გამოირჩევა.

დ. გულწრფელობა და მოკრძალება

დიადი გამჩენი ბრძანებს: ..და წრფელი გულით ღვთისმსახურებანი მხოლოდ მისი კმაყოფისთვის აღავლინეთ“. (ეღრაფი, 7/29)

მონა-მსახურების არსი, ორპირობისგან შორს ყოფნა და გულწრფელობაა. ვედრება, რომელიც გულწრფელობით არ აღევლინება, მხოლოდ გამოსაჩენად და ვინმეს დასანახად სრულდება, არაფერია მეტი, თუარა ყველაფრისგან დაცლილი უბრალო სიტყვები. ვედრება, რომელიც სულიერებისგან დაცლილია, ის ყოველთვის ფუჭია. რადგან, ის რასაც ვედრებას ვუწოდებთ, სიტყვაზე უფრო მეტია და ის უმთავრესი წყარო, რომელიც სიტყვებს ფორმას სძენს, გულია. ვედრება მონა-მსახურეობის ძირეული ცნებაა. ვედრება ეს არის ადგილი, სადაც დიადი გამჩენისა და მონა-მსახურის ურთიერთობა ყალიბდება და სადაც გული ჭეშმარიტ სინატიფეს იძენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ დროს უკვე გული ღვთის წინაშე მისაღებ ვედრებისთვის მზადყოფნაშია. მორწმუნეს სწამს, რომ უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება არათუ უცოდველობით, არამედ გულწრფელი მონა-მსახურეობის ზრუნვით არის შესაძლებელი.

იქნებ, ვედრების ყველაზე დიდი უიღბლობა უგულოდ და ფასადურად წარმოთქმული სიტყვებია. ეს კი კაცობრიობის ზოგადი სუსტი მხარეა. ვედრებას ტრადიციულობიდან და ჩვეულებიბიდან გამომდინარე აღვავლენთ, ამბობს მიხაილ მონთაიგნე. რასოდეს მომწონდა ადამიანები, ვინც ჭამის წინ და შემდეგ ვედრებას აღავლენს, ხოლო დანარჩენ დროს სიძულვილში გაუტანლობაში, უსამართლობაში ატარებს. ეს ადამიანები, დღის ერთ ნაწილს ბოროტებას, ხოლო დანარჩენ დროს თითქოს გამოსყიდვის სურვილით ღმერთს დაუთმობენ. ნამდვილად გასაოცარია ადამიანების ასეთი განსხვავებული ქცევები, რომელიც უწყვეტად გრძელდება. როგორ შეიძლება სინდისმა იპოვოს სიმშვიდე, როცა იგი ერთდოულად დანაშაულსა და სამართლიანობას ესოდან უშფოთველად იტევს.

თუ გვინდა, რომ გავატაროთ ენერგიის დინება, ამისათვის

ყველაზე ხელმისაწვდომ გზას მივმართავთ. რაც შეეხება გამტარს, რომელიც ჩვენ ვედრების დასახულ მიზნამდე მიღწევას უზრუნველჰყოფს, ამ შემთხვევაში აღნიშნულ ფუნქციას გული ასრულებს. ამასთან ერთად სიყვარული ეწოდება იმ ლაბორატორიას, სადაც მოგრძნობელობა წარმოიქმნება. უსიყვარულო გული უხეში და მარტოდ-მარტოა. გული, რომელშიც სიწრფელე არ არსებობს, უენო და ეულია. იმისათვის, რომ უზენაეს ალლაჰთან ურთიერთობა ჯანსაღად ჩამოვაყალიბოთ და შევინარჩუნოთ, ალლაჰის მოსიყვარული გულია აუცილებელი. სწორედ სიყვარული, რომელიც გვსურს, რომ გულის სიღრემში ვიგრძნოთ, უზენაეს ალლაჰისადმი მონა-მსახურეობითი ცნობიერებით მიიღწევა და ნებისმიერ დროს მისადმი გულწრფელობით იკვებება.

ყოველ დღეს, თანადათან უფრო მეტად ვექცევით ტექნოლოგიის გავლენის ქვეშ. ვაჩნევთ, თუარა, რომ რაც უფრო იზრდება ელექტრონული ხელსაწყობის მგრძნობელობა, მით უფრო სუსტდება გულის სისათუთე. განა შესაძლებელია ისეთი ვედრების აღვლენა, რომელიც ამქვეყნად თავის ადგილს დაიკავებს, როცა ყველა თავის დარდშია ჩაფლული და გულები გაუხეშებული აქვთ. იყვნენ ადამიანები, რომლებიც ქვეყანს მხრებით ატარებენ და სამი დღის სავალი გზის სიშორედან მოღწეული კვნესა, ძილს უფრთხობდა მათ. მათი მგრძნობიარე გულებიდან ამოღწეული სურვილები ჩვენზე ახდენდა გავლენას, გვითბობდა გულებს, და ემოციურს გვხდიდა ჩვენც. ვედრების აღვლენასა და დალოცვის გზას გვასწავლიდა ადამიანებს.

მოკრძალება ეს არის ვედრების დროს უზენაესი ალლაჰის წინაშე სიყვარულსა და პატივისცემაზე დამყარებული მოწიწებითი და დავმდაბლობითი მდგომარეობა. მორჩილების გრძნობასთან ერთად მიიწევს წინ. მოკრძალება ეს ისეთი მდგომარეობა არის, რომ ადამიანს ვედრების დროს აღაფრენს და ვედრების სიტყვები თითქოს შთაეგონება.

ვედრების არსი მონა-მსახურებაა და იგი მხოლოდ ამ თვისების გამო იმსახურებს შესმენას. ვედრების აღვლენისას მონა-მსახურებას ჩვენივე წარმოთქმული სიტყვებით ვამტკიცებთ. ვედრება, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ჩარჩოებს სცდება და

პიროვნული მოთხოვნილებები წინაპლანზეა წამოწეული, ფორმალურად შეიძლება გულწრფელად გამოიყურებოდეს, თუმცა იგი ფარული არაგულწრფელობის კლანჭებშია მოქცეული. ამიტომაც ვედრებაში ღვთისმსახურების განზრახვა უნდა ბატონობდეს, შესაბამისად თხოვნებიც და მისი ხელში ჩადგების მდგომარეობაც ღვთისმსახურების შედეგად უნდა ვლინდებოდეს. ამგვარი სულიერი მდგომარეობით, არამხოლოდ განსაკუთრებული ადგილები, არამედ ყველა ადგილი სამლოცველოა. ყველგან, სადაც ადამიანი თავს მონა-მსახურად გრძნობს! თუკი სამლოცველოში სხვა განზრახვით შეხველათ, ვერ მიიღებთ სასურველს, იქ მხოლოდ მონა-მსახურებს აქვთ თხოვნის უფლება.

ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) მიერ სეჯდეს მდგომარეობაში აღვლენილი ვედრება, მის მიერ განცდილ უმაღლეს მოკრძალებას ნათლად წარმოაჩენს. „ღმერთო ჩემო! შენი მრისხანებიდან შენივე კეთილგანწყობას, შენი რისხვიდან პატიებას, შენგან მხოლოდ შენ მოგეკედლები. მე იქნებ შენ ღირსეულად ვერ შეგაქებ, რამეთუ შენ ისეთი ხარ, როგორც შეაქებ საკუთარ თავს“. (მუსლიმი, სალათი, 42)

აი, სწორედ ასეთი მოკრძალებით შემდეგ ვედრებას აღავლენს მევლანა: „ო ღმერთო ჩემო, ქვეყნიერების ბატონ-პატრონო! მე რა უნდა ვთქვა? შენ იცი დაფარულის, შენ ხარ, ვისთანაც შეკედლებას ყოველთვის ვსაჭიროებთ. ჩვენ ისევ მცდარ გზას დავადექით. მაგრამ მითხარი, რომ „თუნდაც ვიცოდე საიდუმლოს, იგი უმალვე გამოააშკარავე. შენგან პატიებას ვითხოთ, გთხოვთ ნუ დაგვტოვებთ საკუთარი თავის ამარად. (ჯევლანა, მესნევი, გვ. 40)

ასეთი მოკრაძალებითი კლიმატის შემდეგ შეუძლებელია ყური არ ვუგდოთ ფერიდუდდინ ათარის სიტყვებს:

„ღმერთო ჩემო, მე შენი თავდახრილი მონა-მსახური ვარ. სიბერის ჟამს ნუ აღმომაჩენ ქუჩაში. იქნებ არ მქონდეს მცირე კეთილი ქმედება, მაგრამ მორწმუნეობისას გათეთრებული წვერი მასხია. განა რა შეიძლება მოიმოქმედოს ჭიანჭველამ განკითხვის დღეს? შენგან, როგორც ყოველი დაფარულის მცოდნის და შენი სიდიადისგან ვითხოვ, ნუ

გადამასახლებ უთვისტომოთა შორის! ნუ დამტოვებ შენი მოწყალებისგან განრიდებულს. დაივიწყე, ყველა ჩემი ნამოქმედარი, კეთილი საქმე თუ სიავე და შენი მოწყალებით გადამარჩინე მე საკუთარი თავიდან. რამეთუ თუნდ სიკეთე, თუნდაც სიავე, ჩემს მიერ ნამოქმედარი ყოველი საქმე კისრეზე შებმული რგოლია მხოლოდ. თუარ გენებოს გამოფხიზლება ჩემი, მაშ დამტოვე დაუდევრობის ძილში როგორც მკვდარი. დავმდაბლებულვარ, გავკვირებულვარ ავმცდარვარ გზასა. შენ ხარ მაღალი, ამომიყვანე ჩავარდნილ ღრმულიდან. დიდი ხანია თავდახრილი ვარ შენი ბრძანების წინაშე, გთხოვ მაჩვენე გზა, როგორ მოვიდე შენთან."

ე. მომცველობითობა

სიცოცხლეს მარტოობაში ვერ ვატარებთ. იმისათვის, რომ შევძლოთ არსებობა, პირდაპირი თუ ირიბი გზით სხვების დახმარებასა და მხარდაჭერას ვსაჭიორებთ. ანალოგიურად სხვების ცხოვრებაში მსგავსი როლი გვაკისრია ჩვენც. აღნიშნული რეალობა, ნათლად აჩვენებს, რომ ადამიანს „მხოლოდ მე" პრინციპით სიცოცხლის გაგრძელების საშუალებას არ აძლევს. ადამიანი, რომელიც ამ ყველაფერს არაფრად ჩააგდებს, ნიშნავს, რომ მან აირჩია ეგოიზმის გზა, სადაც ნაცნობი თუ უცნობი უამრავი ადამიანის უფლებას შელახავს. გამომდინარე აქედან, ეგოიზმით გაჯერებული ცხოვრება, მოწყალის მონა-მორჩილებისადმი უპატივისმცემლობაა, რისთვისაც იგი არ იქნება კმაყოფილი. სხვის სასიკეთოდ მოქმედებისკენ მისწრაფება ანუ ალტრუიზმი, საკუთარი თავის მათ ადგილას დაყენება, მორწმუნის ერთ-ერთი სათნოებით აღსავსე ზნეობრივი ხასიათია. ამიტომაც მას ეგოიზმი არ შეშვენის. ეგოიზმი, ვედრების დროს კიდე ერთი მოუწონარი დამოკიდებულებაა. რადგან მოწყალის უსასრულო წყაროსკენ მივემართებით, მაშ ვიყოთ მომცველები. სხვისთვის ვედრების აღვლენა, ნიშნავს ევედრებოდე შენი, როგორც სულიერი ძმისთვის. ალლაჰის შუამავალი ვედრებასთან დაკავშირებით შემდეგ პრინციპს გვასწავლიდა: „როდესაც მორწმუნე სულიერ ძმას დაუსწრებლად დალოცვას, მის გვერდით მყოფი ანგელოზი იტყვის: „ერთი იმდენივე შენც! (მუსლიმი, ზიქრი და დუა, 23)

მართლმორწმუნეთა ხალიფა ომერი (რ.ა.) მოგვითხრობს: „ერთხელ უმრას შესრულების მიზნით ალლაჰის შუამავლისგან ნებართვა ვითხოვე. მან (ს.ა.ს.) დამრთო ამის ნება და მთხოვა: „ჩემო ძმაო ვედრებაში არც ჩვენ დაგვივიწყო! (სხვა ვერსიით, „ჩემო ძმაო, ვედრებაში ჩვენც მოგვიხსენიე) ალლაჰის შუამავალმა მე ისეთი სიტყვა მითხრა, რომ სანაცვლოდ ჩემთვის თუნდაც დედამიწა მოეცა, ესოდენ არ გამახარებდა“. (ებუ დავუდი, სალათი, 358)

ვედრების აღვლენისას მომცველობითობა ყურანის აშკარა ბრძანებაა. „და ითხოვე მიტევება შენი ცოდვებისთვის და მორწმუნე კაცებისა და მორწმუნე ქალებისთვის, რამეთუ ალლაჰი უწყის თქვენს საქმიანობას და თქვენს თავშესაფარს“. (მუჰამმედი, 47/19) მოცემული ბრძანება ზეშთაგონების წყაროზე დამყარებული ვედრების ნიმუშებია, რომელიც თვით ყურანის მხირდან იქნა პრაქტიკაში განცხორციელებული. როგორც შემდეგ ვედრებაში ვხედავთ: „ღმერთო ჩვენო! შეგვინდე ცოდვები ჩვენი და ჩვენი ძმების, რომელთაც ჩვენ გაგვასწრეს რწმენით. და არ ჩაგვინერგო გულებში შური იმათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს. ღმერთო ჩვენო, უეჭველად, შენ ლმობიერი და მწყალობელი ხარ“! (ჰაშრი, 59/10) გული, რომელშიც რწმენა დაისადგურებს, ესოდენ ვრცელი, ყველასთვის ღია, გულისხმიერებითა და მოწყალებით აღსავსე ადგილად გადაიქცევა. შუამავალი იბრაჰიმის (ა.ს.) ვედრება, გულისხმიერებასა და მოწყალებას რაოდენ დიდი სილამაზით ასახავს: „ღმერთო ჩვენო! მომიტევე მე, ჩემს მშობლებს და მორწმუნეებს იმ დღეს, როცა შედგება ანგარიშგება“! (იბრაჰიმი, 14/41)

ბ. ვედრება და ქმედებათა ერთობლიობა

ვედრება, არის სიტყვათა წყობა, რომელიც მოიცავს რწმენაზე დამყარებულ სულიერ მიმართულებას, ქმედებასა და სიტყვას. იმისათვის, რომ აღნიშნულმა სიტყვათა წყობამ ადამიანი შედეგზე ორიენტირებული გახადოს და ვედრება შესმენილი იქნას, გარდა ამისა რამდენიმე პრინციპი არსე-

ბობს, რომელიც ვედრების საძირკველს ამზადებს. ამასთან ერთად აღნიშნული პირობები ისლამის ზნეობასთან დაკავშირებულ საკითხთა შორისაც გვხვდება, რაც მიზნად ისახავს მორწმუნე ვედრების ღირსად მოამზადოს. მოცემული პრინციპები მოკლედ ასე გამოიყურება:

1. თევბე –მონანიება და ცოდვებისგან განრიდება

უდავოა რომ უცოდველი არავინ არსებობს. ცოდვის შეგნებულად ჩადენა და დაჟინებით უარის არ თქმა, ვედრების მიმართულებისკენ აშკარად წინააღმდეგობაში მოდის. თუკი უზენაესი ალლაჰისგან რაიმეს თხოვნა და ვედრება გვსურს, განა მანამდე არ იქნება საჭირო სისრულეში მოვიყვანოთ მისი ბრძანებები და მისადმი გულწრფელები ვიყოთ? სწორედ ამ მომენტში ჩადენილი ცოდვების გამო სინანულის გამოხატვა -თევბე, ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ დროისთვის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „..ჰეი მორწმუნენო! ერთბაშად შესთხოვეთ ალლაჰს მოტევება, ეგებ იქმნათ ნეტარნი“! (ნური, 24/31) სინანული და მონანიების გამოხატვა, „თევბე“ მიტევების თხოვნისკენ გადადგმული პირველი საფეხურია. შეხედეთ, როგორ ყურადღებას მოითხოვს ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) მოცემულ საკითხთან დაკავშირებით:

„ო, ადამიანებო! უზენაეს ალლაჰს მიტევება თხოვეთ და მისგან პატიება ითხოვეთ. მეც კი მას დღეში ასჯერ შევთხოვ პატიებას“. (მუსლიმი, ზიქრი და დუა, 12)

მხოლოდ გულწრფელად გამოხატული მონანიება და მიტევება განგვიწმენს სულს და წყალობათა ნაკადულისკენ გაგვიხსნის გზას. ერთ-ერთი ცნობილი მოაზროვნე დასძენს: „არაგულწრფელი ადამიანები, მხოლოდ ფასადური მონანიებით როგორც ღმერთის, ასევე ჩვენს დაცვის უფლებას კარგავენ. განა შესაძლებელია იმდენად გამბედავი იყოს ადამიანი, რომ პატიების უთხოვნელად და სინანულის გამოხატვის გარეშე მიტივება ითხოვოს? ნამდვილად დიდ გაკვირვებას იწვევს ადამიანის აზროვნების ესოდენ სწრაფი ცვლილება და მკაცრი განსხვავება. ისინი განუყრელი შინაგანი ბრძოლის წარმომადგენლები უფრო არიან..

ადამიანმა ვედრების მსგავს ყოვლად სერიოზულ და მნიშვნელოვან ქმედებას მოუწესრიგებელად არ უნდა დაუთმოს საკუთარი თავი. ამისათვის წინასწარ და მშვიდად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და ვედრება განსაკუთრებული პატივისცემით და ყურადღების დაცვით უნდა აღავლინოს. (მოთაიგნე, ცდები, გვ. 144) ცოდვებით დაჟანგულმა გულის სარკემ, ღვთიური წყალობა როგორ არეკლოს? ასეთ გულს სინანულის ცეცხლით შეუძლია განიწმინდოს ჟანგისგან. თუკი მთავარ სიმდიდრეს გამოიტანს სასშკარაოზე მაშინ მიტევებისა და ვედრების შესმენისთვის მოემზადება. განწმენდილი გული კი მთხოვნელის სხვა სრუვილების შესმენის კარსაც შეაღებს და მას იმედით აღავსებს. „ისინი ვინც დაშვებულ ერთ შეცდომას ათასი წუხილით მოინანიებენ, ამქვეყნადვე მიტევებულნი ალლაჰის წინაშე განწმენდილნი წარსდგებიან. ის გმირები, რომლებიც გულის იარას მთელი ცხოვრება ცრემლებით იწმენდენ, მიტევების სამოთხეში უმაღლეს საფეხურამდე ამაღლების გარდა სხვა სურვილი არ გააჩნიათ. ვისაც სურს პატიება მარტივად დაიმსახუროს, ამას ვერ მიწვდება. დიდად არ უნდა მოგვეჩვენოს სულ მცირე ცოდვის მიტევებისთვის გადადებული მთელი ცხოვრება. მიტევება, როცა ჩვენ მოგვესურვება, ის, სამყაროზე და სიცოცხლეზე უფრო ძვირფასია. ზოგჯერ ერთი ცოდვის მიტევებას ათასი ვედრება, ხოლო ზოგჯერ ერთი ვედრება ათასი ცოდვისგან განწმენდს ადამიანს. (ნურეთთინ თოფჩუ, „ვარ ოლმაქ“ გვ. 36)

2. ალალი ლუკმა

ალალი ლუკმის ცნება, ისლამური მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია. ადამიანთა ურთიერთობის დიდ ნაწილი საარსებოსა და სარჩოს ძიებაზეა დამყარებული. მჩაგვრელობა და უსამართლობა ხშირად ამ სფეროში იჩენს თავს. ალალი ლუკმის მცნების საფუძველში სხვების უფლებების შეულახავად სარჩოს მოძიება და საარსებოს უზრუნველყოფის პრინციპი იკავებს ადგილს. ეს პრინციპი ზოგჯერ ცხოვრების სირთულეების გამო, ზოგჯერ კი უყურადღებობის გამო ირღვევა. მიუხედავად მიზეზისა, მორწმუნე ალალი ლუკმით უნდა იმკიდეს საარსებოს და შესაბამისად ოჯახის წევრებსაც ალალი ლუკმით კვე-

ბავდეს. ამისათვის კი უზენაეს ალლაჰს დახმარებას უნდა თხოვდეს. ამ მხრივ ნიშანდობლივია ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს) მიერ ალისთვის (რ.ა.) ნასწავლები ვედრება: „„ღმერთო ჩემო! შენს მიერ ალალად დადგენილთა წყალობით, აკრძალულებს (ჰარამს) განმარიდე. შენი უკიდეგანო მოწყალების გარდა, გთხოვ, ნურავისზე დამოკიდებულს ნუ გამხდი“. (თირმიზი, დეავათი, 111)

როგორ შეიძლება იმ დაწესებულებისგან ვითხოთ რამე, რომლის მიერ დადგენილ მოთხოვნებსაც არ ვასრულებთ? განა არ არის შეუსაბამობა, მისგან რაიმეს თხოვნა, როცა მის მიერ დადგენილი საზღვრებს არ ვაღიარებთ? ალლაჰის შუამავალი აღნიშნულ ჭეშმარიტებას შემდეგი მაგალითით გვიხსნის:

„როგორ შეიძლება იმ ადამიანის ვედრება იქნას შესმენილი, როცა მოუწესრიგებელი და მტვერში ამოსვრილი მოგზაური, ხელებს ზეცად აღაპყრობს და „ო ღმერთო ჩემო! ო ღმერთო ჩემო! შეჰღაღადებს, თუმცა სანაცვლოდ ჰარამია ის რაც აცვია, ჰარამია ის რასაც ჭამს და სვამს, ჰარამია ის რითაც იკვებება“. (მუსლიმი, ზექათი, 20)

ალალი ლუკმა სიმბოლოა მორწმუნედ და მონა-მსახურებრივი თვითშეგნებით ცხოვრებისა. განა მთელი ჩვენი ცხოვრება, გარჯა, ბრძოლა, დაჟინებები თუ სხვა რამ, საბოლოოდ ხომ ერთი ლუკმით შემოიფარგლება. სწორედაც ყურანი ამ ლუკმის, ადამიანურად, გაჩენილთა უფლებების დაცვითა და ალლაჰის წინაშე არსებული მოვალეობების დაცვით მოპოვების გზებს გვასწავლის. მოკლედ ალალი ლუკმა, წარმოადგენს მონა-მსახურს, ვისაც უზენაესი ალლაჰისგან ღირსეულად მოშიშია და დაკისრებულ მოვალეობას უკეთესად ითავისებს. ვედრება, რომელიც ყველაზე მეტად იმსახურებს შესმენას, ეს ღვთისმოშიშობით გაჯერებული ვედრებაა.

3. სიტყვისა და საქმის ჰარმონიულობა

უზენაესი ალლაჰისკენ მიმართული სიტყვიერი სურვილები, არ საჭიროებს ვედრების მხოლოდ სიტყვიერი ნიმუშების შეთავაზების ფორმად შეცნობას. მედებაა ის რაც

ვედრებას ვედრებად აყალიბებს, მას თითქოსდა კვებას და მისაღებს ხდის. ალლაჰის შუამავალი როგორც სხვა ყველა სფეროში ჩვენთვის სანიმუშოა, ვედრებასთან დაკავშირებით გავსწავლის, რომ სიტყვიერ ვედრებას ქმედებითი ვედრება უნდა ამყარებდეს. ანუ, მანამ სანამ რამეს ვთხოვდეთ, აღნიშნულის სისრულეში მოსაყვანად საჭირო პირობებს და მიზეზებს ყურადღებით უნდა მოვეკიდეოთ. მაგალითად: „თუკი ვინმეს სურს შესმენილი იქნას ვედრება და თავიდან აიცილოს სირთულე, სიდუხჭირეში მყოფს დახმარება აღმოუჩინოს. (იბნი ჰანბელი, II, 23)

ის დიდებული შუამავალი (ს.ა.ს.) როდესაც ისლამის ქადაგების მიზნით ტაიფში იყო წასული, მას უამრავი რისხვა აწვნიეს თავს. უკან გამობრუნებისას იგი დიად გამჩენს ასე ევედრებოდა:

„ღმერთო ჩემო, მხოლოდ შენ შეგჩივი ჩემს უძლურებას, შენ გსასოებ, ხალხის თვალში დამცირებას მხოლოდ შენ შემოგჩივლებ. ყოვლად მოწყალეო, შენ ხარ ყველა სუსტის და სასოწარკვეთილის გამჩენი. ღმერთო ჩემო, შენ უზომოდ მოწყალე ხარ და ნუ ჩამაგდებ ამ უგვანო მტრის ხელში! ღმერთო, ოღონდ ჩემს მიმართ უკმაყოფილო არ იყო და ამ თავს დატეხილ ტანჯვას არაფრად ჩავაგდებ. შენი გულმოწყალება უსაზღვროა. მე შენს სინათლეს მოვეკედლები. სინათლეს, რომელიც ყველა სიბნელეს ანათებს. ღმერთო, გევედრები მომიტევო. მხოლოდ შენა ხარ ძლევამოსილი!“ (იბნულ ყაიმი, ელ-ჯევაზიე, ზადულ-მეადი, I, 96)

აშკარად ნათელია, რომ სიტყვიერი და ქმდებითი ვედრების განსხვავება სწორედ აღნიშნულ ქონტექსტში იკვეთება. ვედრება, რომელიც სიტყვიერად ალლაჰისკენაა მიმართული, მთავარია იგი მონა-მსახურის ქმედებიდან მომდინარეობდეს და მისით საზრდოებდეს. როდესაც ვედრებას სიტყვათა წყობაში ვალაგებთ, ეს სიტყვიერი ვედრების ქმედებასთან ჰარმონიული წყობის დადებით გავლენაზე მიანიშნებს. საჭიროა ვედრებისთვის განსაკუთრებული დროების სათანადოდ შეფასება, ეს კი გულის ამქვეყნიური დარდებისგან შეძლებისდაგვარად განწმენდით, ვედრების დაწყებამდე „ე’უზუ ბესმესმელს“ წარმოთქმით, დიად გამ-

ჩენზე მიკედლებით, შუამავალისთვის (ს.ა.ს.) სალათუ სელამის კითხვითა და უზენაეს ალლაჰზე მადლიერების გამოხატვით მიიღწევა. ყველა ესენი ქმედებითი აქტივობებია, რაც ადამიანს სიტყვიერი ვედრებისთვის ამზადებს.

ქმედებით ვედრებას გააჩნია ძირითადი წყობა, რაც მთელს ცხოვრებაშია გაფანტული და ეს შეიძლება მოკლედ გამოიხატოს როგორც, „მუსლიმურად ცხოვრების შფოთვა“. უზენაესი ალლაჰის ბრძანებებისა და აკრძალვების შესახებ მღალი ცნობიერებით ცხოვრება, ქმედებითი ვედრების შეუდარებელი გამოვლინებაა. ისეთ გარემოში აღვლენილი ვედრება, სადაც არ არის დაცული როგორც ადამიანების ასევე უზენაესი ალლაჰის უფლებები, არაფერი მეტი, თუარა ცარიელი და ფუჭი სიტყვები. თუკი ალალსა და ჰარამს, ბრძანებასა და აკრძალვას არ ექცევა ყურადღება, ძალიან რთული უნდა იყოს იმის განმარტება, რომ ამ ყველაფრის განმსაზღვრელი უზენაესი ალლაჰისგან რაიმე ისურვო.

ქცევები, რომელიც ვედრების წყობას ქმნის ორეულ წყობას ავლენს, რომელთაგან ერთი გულთან დაკავშირებული ქმდებაა, ხოლო მეორე ფიზიკური.

გულთან დაკავშირებული ქმედებები, საქმეს გულისმიერ მიმართულებას ქმნის. თვისებების თვალსაზრისით ფიზიკური ქმდებებიც ასევე გულის მიერ წარმოიქმნება. მაშ ასე, როდესაც საუბარია ვედრების ქმედებებთან კავშირზე, უნდა გვახსოვდეს, რომ გულისმიერი სამყაროს მიერ წარმოქმნილი ენერგია, ქცევათა ერთობლიობის საუკეთესო გამოვლინებაა.

ისე როგორც იოლია წყლით გაჟღენთილი მიწის დამუშავება და მისგან მოსავლის მიღება, ასეთივეა ჩვენი ქმედებებიც. მოწყურებული გული ისეთივე გახარებულია, როგორც ყვავილგაშლილ მცენარეს ნაყოფის გამოსხმა ახარებს. მოუმწიფებელი გულით ნასაზრდოები ქმედებები, ვედრების შესმენის მიმართულებით რამდენად შესაძლებელია საზრიანი იყოს? ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „იცოდეთ, რომ უზენაესი ალლაჰი დაუდევარი გულის მქონესა და ფუჭი ქმედებებით დაკავებული ვინმეს ვედრებას არ შეისმენს“. (თირმიზი, დეავათი, 66; იბნი ჰანბელი, II, 177)

თუკი ყურანსა და სუნნეთში მოცემულ ვედრებებს ერთ მთლიანობაში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ვედრების მცნების საფუძველში ქმედებებისკენ მიდრეკილება და წახალისება დევს. ზემოთ ხსენებული „ქმედებები“ არა მხოლოდ სხეულის კიდურების მოძრაობებზე დამყარებულ ფუნქციებს გამოხატავს, არამედ მოიცავს გულისა და გონების ფუნქციებს, რომელიც ამავდროს გონიერებისა და სულიერების ერთობლივი ქმდებებია. მოკლედ ამავე ქმედებებში შედის ის დამოკიდებულებები და მიდრეკილებები, რომელიც ადამიანს მონა-მსახურად აყალიბებს.

ვალების გამო შეწუხებულ მედინელ თანამიმდევარს -ებუ უმამეს, რომელიც მეჩეთში ჩაფიქრებული იჯდა, ალლაჰის შუამავალმა შემდეგი ვედრების აღვლენა ურჩია:

„ღმერთო ჩემო! მწუხარებისა და წუხილისგან, უძლურებისა და სიზარმაცისგან, მშიშრობისა და სიძუნწისგან შენ მოგეკედლები. ვალებისგან განადგურებისა და ადამიანების ტანჯვისგან შენ მოგეკედლები“.

ებუ უმამე მოგვითხრობს რომ, ალლაჰის შუამავლის მიერ ნასწავლები ვედრება წავიკითხე, მას შემდეგ კი უზენაესმა ალლაჰმა მწუხარება განმარიდა და ვალებისგან განვთავისუფლდი“. (ებუ დავუდი, ვითირი, 32)

ებუ უმამეს სიტყვებში „წავიკითხე“ რას ფიქრობთ აქ მხოლოდ შუამავლის (ს.ა.ს.) მიერ ნასწავლები ვედრების ზედაპირულად განმეორებაზეა საუბარი, თუ აღნიშნული ვედრების კითხვისას მან ის ქმედებებიც მოიყვანა სისრულეში როგორც იგი დაარიგა? თუკი ჰადისის გზავნილს განვმარტავთ, შეიძლება ითქვას შემდეგი რამ:

ებუ უმამე! შენი წუხილისა და წუხილის მიზეზის –ვალების, თავიდან აცილება თუნდაც მეჩეთში ჯდომით შეუძლებელია. ამ დროისთვის შენ შრომისგან შორს, გამბედაობისგან დაცლილ და პასიურ მდგომარეობას აჩვენებ. შენთვის ამ მდგომარეობიდან გადარჩენის გამოსავალი, ღმერთისგან დახმარების თხოვნით შრომაში და მოგებით ვალების გადახდის გზების ძიებაშია. მეჩეთში დამწუხრებული ჯდომით ვერც ვალებს გადაიხდი და არც მწუხარება გადაგივლის.

შესაძლოა ასეთი კითხვა დაგვებადოს: ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკული ვედრება უნდა გავიგოთ, როგორც სასურველი შედეგის მისაღწევად დაწყებულ ქმედებად და „შრომა და გარჯა ყველაზე საუკეთესო ვედრებაა“ და სიტყვიერი ვედრება აღარ იქნება საჭირო?

სიტყვიერი ვედრების აღვლენა შესაძლებელია, როგორც მიზნად დასახული საქმის წინ, ასევე შემდეგში. რაიმე აქტივობის დაწყების წინ ვედრების აღვლენა, წარმატებისთვის დაწყებული სამზადისის ხასიათს ატარებს, რაც სულიერ განწმენდასა და მიდრეკილებას უზრუნველყოფს. მოკლედ საქმის დაწყებამდე წარმოთქმული ვედრება, პარქტიკული ვედრების წარმოქმნისა და მიზნის მიღწევის თვალსაზრისით საუკეთესო საფუძველს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში თუკი რაიმე საქმის დაწყების შემდეგ მოხდება სიტყვიერი ვედრების აღვლენა, ეს იქნება ამაგისა და გარჯის შედეგზე ორიენტირებული წარმატებისთვისთვის უზენაესი ალლაჰის ყოვლისშემძლეობისა და ნების იმედად მინდობა.

მაშ ასე, მცდარი იქნება დამოკიდებულება, თუკი მხოლოდ სიტყვათა წყობით შემვიფარგლებით და მიზეზებს ყურადღებას არ მივაქცევთ, ან კიდევ მხოლოდ ქმედებით ვიკმარებთ და სიტყვიერად უზენაეს ალლაჰს დახმარებას არ ვთხოვთ. აქ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი წონასწორობის საკითხია. სამწუხაროა, რომ ადამიანი როგორც მარტვისიკენ მიდრეკილი ბუნების მატარებელი, აღნიშნულ სენსიტიურ წონასწორობას ხშირად არღვევს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ვედრებას საფუძველს მოკლებული, მშრალი და უსამართლო მოთხოვნილებად გადააქცევს.

ერთ-ერთი ევროპელი ამბობს, რომ ნაკისრი მოვალეობის სამართლიანად სისრულეში მოყვანა, ვედრების ადგილს შეავსებს. მაგრამ ჩვენ ასე არ ვამბობთ: ჩვენ ვამბობთ, რომ შეასრულე როგორც დაკისრებული მოვალეობა სრულფასოვნად, ასევე საქმე“. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ისე, რომ თითქოს ჩვენში დაისადგურა შემდეგი სახის გაგებამ რომ, „ვინაიდან განვისარჯეთ, უზენაესი ალლაჰი ვალდებულია გვიწყალობოს“. რაც ისლამის მრწამსის თა-

ნახმად ყოვლად მიუღებელია. მაშ ვნახოთ რას ამბობს მუ-ჰამმედ იყბალი აღნიშნულთან დაკავშირებით: „შენი ვედ-რება ღვთის განგების აღსრულებას არ შეცვლის. მაგრამ იქნებ ვედრების გავლენით შენში რაიმე შეიცვალება.. შენ სასურველის ხელში ჩასაგდებად ვედრებას აღავლენ, მე კი შენი სასრუველის შესაცვლელად ვლოცულობ“. (მუჰამმედ იყ-ბალი, გვ. 184) ნეტავ ის რამაც იყბალს ეს სიტყვები ათქმევინა, შესძლოა შემდეგი აიათი ყოფილიყო? „..უეჭველად, ალლა-ჰი არ შეცვლის ხალხის მდგომარეობას, სანამ თავად ხალხი არ შეიცვლება. და თუ ინება ალლაჰმა ვნება ხალხისა, მაშ, ვერავინ შეაკავებს მას, და მის გარდა, არავინ ჰყავთ მათ დამცველი“. (რა’დი, 13/11)

გ. ვედრების ფორმა

როგორც ზემოთ განვმარტეთ, იმისათვის, რომ ვედრება არ იყოს გარკეეული სახის სურვილების შემცველი მშრალ სიტყვათა წყობა, დამოკიდებულია საზრიანი ნიადაგის მომ-ზადებაზე. გამომდინარე აქედან, ზემოთ ვეცადეთ აგვეხს-ნა, ის საჭირო ელემენტები, რომელიც ვედრების დროსა და სულიერ მდგომარეობას უკავშირდებოდა. ახლა კი მოდით შევეხოთ იმ თვისებებს, რომელიც ვედრების აღვლენისას მისი სიტყვათა წყობად ჩამოყალიბებისთვის თვით ვედრე-ბას და ვედრების აღმვლენს უნდა ახასიათებდეს.

1. ენა

ვედრების ძირითადი გამოხატულების წყარო ენაა. სურვი-ლები, წარმოთქმულ წინადადებებითა და მისით შემდგარ სიტყვიერი თუ წერილობითი ტექსტებით გარესამყაროს შეუერთდება. ვედრება ყოველგვარი იძულების გარეშე, თბილი და სადა გამონათქვამებით უნდა გადმოიცეს. „უზე-ნაესი ალლაჰი ლამაზია, სილამაზე უყვარს“. (მუსლიმი, იმანი, 41) აღნიშნული პრინციპი დიადი გამჩენისკენ მიმართულ ვედრებასაც შეეხება.

„ყველაზე ნიშადობლივი სიტვა, მოკლედ და ლაკონურად ნათქვამია“. ვედრებისთვის კიდევ ერთი მისაღები პრინ-ციპი ბევრის მთქმელი, მაგრამ მცირე სიტყვებია. გრძელი სიტყვა, თუკი არ იქნება იძულება და არ მოითხოვს არსე-

ბული სიტუაცია, კაზმული სიტყვების გამოყენება მიზნის მიღწევის საქმეში შესაძლოა დაბრკოლება გამოიწვიოს და დრო გახანგრძლივდეს. იბნი აბბასი გადმოგცემს: „ნატიფ და რითმულ ვედრებებს შეხედე და მისგან თავი შორს დაიკავე. მე ვხედავდი, რომ ალლაჰის შუამავალი კაზმული და რითმული ვედრებისგან ყოველთვის განერიდებოდა“. (ბუხარი, დეავათი, 20) მოკლე და კონკრეტული სიტყვების არ გამოყენება, უადგილოდ სიტყვების გაგრძელება ვედრების მადლიანობას შეამცირებს. ამრიგად, ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ვედრებას მოკლედ და კონკრეტულად აღავლენდა. (ებუ დავუდი, სალათი, 358) ვედრების დროს უადგილოდ გაგრძელებას იგი (ს.ა.ს.) ზღვარგადასულობად აფასებდა.

მართლმორწმუნეთა დედა –ძვირფასი ჰაფსა მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალი ჩემს ოთახში შემოვიდა, ამ დროს მე წინ ოთხი ათასამდე კურკა მედო, რომელსაც თესბად- კრიალოსანად ვიყენებდი. ვითარება ავუხსენი და ვუთხარი: „ამ რაოდენობის „სუბჰანელლაჰ“ წარმოვთქვი. შუამავალმა ჩაილაპარაკა: „ე.ი. ამ რაოდენობის „სუბჰანელლაჰი“ წარმოთქვი? შემდეგ მკითხა: „გინდა გასწავლო ერთი წინადადება, რომელიც გაცილებით მეტ მადლს მოგიტანს? მივუგე –მასწავლე ო, ალლაჰის შუამავალო! „სუბჰანელლაჰი ‘ადედე ხალყიჰი“. (ალლაჰი გაჩენილების რაოდენობით ნაკლოვნებისგან შორსა.) (თირმიზი, დეავათი, 104) ძვირფასი აიშე დასძენს: „ალლაჰის შუამავალი მოკლე სიტყვებით ბევრად საზრიანი ვედრებებს უპირატესობას ანიჭებდა. დანარჩენებზე უარს ამბობდა“. (ებუ დავუდი, თეფრიუ ებვაბილ-ვითირი, 23)

საად ბინ ვაყყასის ვაჟი მოგვითხრობს: მამაჩემმა ჩემი სიტყვები მოისმინა, როცა შემდეგი სიტყვებით ვედრებას აღვავლენდი: „ღმერთო ჩემო! შენგან სამოთხე ვითხოვ. სამოთხის წყალობას და სილამაზეებს ვითხოვ. შენგან კიდევ ესა და ეს, ესა და ეს მინდა.. ღმერთო ჩემო! დამიფარი ჯოჯოხეთიდან, იქ დასჯილთათვის განკუთვნილი ჯავებისგან, რგოლებისგან, და კიდევ ამა და ამის, ამა და ამისგან.. მაშინ მამაჩემმა მითხრა: „გავიგონე ალლაჰის შუამავალი ბრძანებდა: „იქნებიან ადამიანები, რომლებიც ვედრების დროს ზღვარს გადავლენ. ფრთხილად მათგან არ აღმოჩნდე. თუკი

შენ სამოთხე უნდა გებოძოს, ნიშნავს, რომ მასში არსებული ყოველგვარი სიკეთეც მოგეცემა. თუკი ჯოჯოხეთისგან უნდა იქნე განრიდებული, ბუნებრივია, რომ მასში არსებული ყოველი სიავისგან განრიდებული იქნება“. (ებუ დავუდი, სალათი, 358)

არსებობს იმის აუცილებლობა, რომ ვედრება არაბულ ენაზე იქნას აღვლენილი? არა. აქ მთვარია ერთ რამ, რომ პიროვნებამ დიადი გამჩენის წინაშე საკუთარი სურვილი და თხოვნა წრფელი გულით გამოხატოს. გამომდინარე აქედან, ადამიანის მიერ ვედრების იმ ენით აღვლენა, რომელიც საუკეთესოდ იცის, რა თქმა უნდა უფრო მისაღები და ხელმისაწვდომია. მაგრამ ამასთან უნდა ითქვას, რომ ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) მიერ ჩვენთვის ნასწავლები ვედრებების ორიგინალური ფორმით (მნიშვნელობის ცოდნასთან ერთად) წაკითხვა უფრო მეტ ენერგიას შესძენს და სულ სხვა სულიერ ელფერს შესძენს. განსაკუთრებით ლოცვის დროს საკითხავი ვედრების არაბულ ენაზე წარმოთქმა მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია.

2. ნორმა

მაშინ, როდესაც ადამიანი უზენაესი ალლაჰისგან რაიმეს თხოვნას გადაწყვეტს, მან გულიდან ყველაფერი უნდა ამოიგდოს, გარდა უზენაესი ალლაჰისა. დიახ, უზენაესი ალლაჰი მის წინაშე აღვლენილ ვედრებას უპასხოდ არ ტოვებს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ვედრება როგორ და რა პირობების შესაბამისად უნდა აღვავლინოთ.

ე.ი. არსებობს მეთოდოლოგია, რომელიც ვედრების აღვლენის დროს უნდა იქნას გათვალისწინებული. აღნიშნულ მეთოდებს, რომელსაც ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ, ზოგადი დასახელებით „ნორმა“ ეწოდება.

ა. მიმართულება ყიბლასკენ

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ვედრება თვით ღვთისმსახურებაა“. (ებუ დავუდი, სალათი, 358) ამიტომაც სულიერი სიმშვიდისთვის უმჯობესი იქნება ვედრების აღვლენის დროს

აბდესიანი ვიყოთ ანუ შესრულებული გვქონდეს მცირე განბანვა. ამასთან თუ კი შესაძლებელია ვედრების აღვლენის დროს ყიბლასკენ ვიყოთ მიბრუნებული. ასე მოქცევა უზრუნველყოფს ყურადღების გარკვეულ მიზნისკენ მობილიზებას და განაპირობებს სათანადო სულიერი მდგომარეობას. ლოცვის დროს, რომელიც რელიგიის საყრდენ ბოძად მოიაზრება, ყიბლას მიმართულებით ვდგებით. ასევეა ჰაჯობის ღვთისმსახურების დროს ქა'ბას გარსშემოვლის რიტუალიც. მაშ ასე, ვედრების აღვლენის დროს ყიბლას მიმართულებით დგომა, ღვთისმსახურების მადლისგან წილის მიღებას უზრუნველყოფს.

ბ. ე'უზუ ბესმელით, ჰამდითა და სალავათით დაწყება

დიადი გამჩენი ბრძანებს: „მაშ, როცა კითხულობ ყურანს, ჯერ ალლაჰს მიეკედლე იმ ჩაქოლილი ეშმაკისგან! (ნაჰლი, 16/98) ყურანის კითხვა, ნიმუშია იმ საქმის, რასაც უზენაეს ალლაჰზე მიკედლებით ვიწყებთ. ყოველი კეთილი საქმისთვის საჭიროა „აშკარა მტრისგან“ დიად გამჩენს მივეკედლოთ. რა შეიძლება იმაზე უკეთესი იყოს, როცა უზენაესი ალლაჰის საუკეთესო სახელით იწყებ საქმეს და ეშმაკის სიავის წინაშე, შესაბამის წინასწარ ზომებს იღებ. გამომდინარე აქედან, ყოველი კეთილი საქმის ბესმელეს წარმოთქმა, ალლაჰის ხსენება, მასზე მიკედლება და მისი დახმარების თხოვნა, ძირითად პირიციპს წარმოადგენს. სოწრედ ამიტომაც ვედრება, რომელიც ღვთისმსახურების არსს წარმოადგენს რა თქმა უნდა მისი „ე'უზუ ბესმელეთი“ დაწყება ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია.

მას შემდეგ რაც „ე'უზუ ბესმელეს წარმოვთქვათ, მნიშვნელოვანია ვადიდოთ და მადლიება გამოხატოთ უზენაესი ალლაჰის წინაშე. ალლაჰი, მხოლოდ იმიტომ უნდა ვადიდოთ რომ ის ალლაჰი, ის გამჩენია და ის ერთად-ერთია, რომელიც ქება დიდებას იმსახურების. სწორედ ეს არის „ჰამდი“ უზენაესი გამჩენი სწორედ ამ სიტყვით იწყებს ყურანის პირველი აიათს, რომელიც დედამიწაზე ზეშთაგონების უკანასკნელი გამოვლინებაა.

„ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს“. (ფათიჰა, 1/1)

ვედრების დასაწყებად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, ალლაჰის შუამავლის მუჰამმედ (ს.ა.ს.) გახსენება და სალათუ სალამის მიძღვნა. ზოგადად ალლაჰის შუამავლისთვის სალათუ სალამის მიძღვნა, უზენაეს ალლაჰის ბრძანებაა. ყურანში ვკითხულობთ: „უეჭველად, ალლაჰი და მისი ანგელოზები ლოცავენ შუამავალს. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ილოცეთ (მისი სახელის გახსენების ან გაგონების დროს: ალლაჰუმმე სველი ღელა მუჰამმედინ.. იკითხეთ!) მასზე და მიესალმეთ მხურვალედ! გარდა ამისა ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „აღვლენილი ვედრება ცის კაბადონზე დაკიდებული იქნება და არ მიაღწევს დანიშნულ ადგილს სანამ, შუამავლისთვის (ს.ა.ს) სალათუ სალამს არ წარმოთქვამთ“. (თირმიზი, სალათი, 352)

„მაში, როცა რომელიმე თქვენგანი ვედრების აღვლენას ისურვებს, ქება დიდებით მადლიერება გამოხატოს გამჩენის მიმართ, ალლაჰის შუამავალს სალათუ სალამი უძღვნას და შემდეგ შეავედროს როგორც ენებოს. (ებუ დავუდი, სალათი, 358)

გამოხატვა იმისა, რომ უზენასი ალლაჰი ყოველგვარი ნაკლოვნებისგან შორს არის და მისი სიდიადის დამოწმება, ვედრების დაწყების სამზადისისთვის ბოლო ნაბიჯია. ამის შემდეგ კი ჯერი ვედრებაზე და მონა-მსახურის უზენაესი ალლაჰისადმი გამხელ სურვილებსა თუ თხოვნაზე მიდგება. ალლაჰის შუამავალი ადიდებდა რა დიად გამჩენს ვედრებას შემდეგ დაიწყებდა: „სუბჰანე რაბბიელ-ალიილ-ალელ-ვეჰ-ჰაბ“ (ღმერთი ჩემი შორსა ყოველგვარი ნაკლოვნებისგან, ის უზენაესი და მიმტევებელია) (ჰეისემი, მეჯმაუზ-ზევაიდი, X, 240)

გ. ხელების ცად აპყრობა

ვედრების დროს გაშლილი ხელის გულების ცისკენ მიპყრობა, სურვილებისა და თხოვნების მნიშვნელობით შესაფერისი პოზიციაა. ხელების ზევით აწევა და ცისკენ მიპყრობა არ ნიშნავს იმას, რომ ალლაჰი ზეცაშია ან კონკრეტული ადგილი აქვს განკუთვნილი, არამედ ზეცის სიმაღლესა და სიდიადეს წარმოაგენს. ზოგჯერ როდესაც ალლაჰის შუამავალი ვედრებას აღავლენა, ხელებს იმდენად ზევით აწევდა, რომ იღლიების სითეთრე მოუჩანდა. (ბუხარი, დეავათი, 23) ის (ს.ა.ს.) ბრძანებს: ხელის მტევნები ზემოთ აწიეთ, ოღონდ, არა

ჩაბრუნებული ხელები, და ალლაჰს ისე შეევედრეთ. ხოლო როცა მორჩებით ვედრებას, ხელები სახეზე ჩამოისვით“. (ებუ დავუდი, სალათი 358)

დ. გონივრული რამეების თხოვნა

ვერდების თემა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ისეთი რამ რისი აღსრულებაც შეუძლებელია ან რელიგიურად აკრძალული. ასეთი რამის თხოვნა უზენაესი ალლაჰის წინაშე უდიდეს უპატივისმცემლობაა. მაგალითად, როგორიცაა უსამართლო მოგების ხელში ჩასაგდებად, შეუსაბამო თანამდებობისა და რელიგიურად აკრძალული საქმისთვის უზენაესი ალლაჰისგან დახმარების თხოვნა. ასეთივეა უკვდავობის და უმალ სიკვდილისთვის ვედრება. სამართლიანობის არ აღსრულებისთვის ან კიდევ სხვა ადამიანების უფლებების საწინააღმდეგოდ რაიმის განხორციელებისთვის ხელების აპყრობა და ვედრება არ შეიძლება წარმოადგენდეს ვედრების თემას.

ე. ხმის ზედმეტად ამაღლება

ვედრება, ეს თავმდაბლობითი მდგომარეობაა. უზენაესზე მუდარაა. ვედრების დროს ხმის ზედმეტად ამაღლება, სულიერ მდგომარეობას ეწინააღმდეგება. ამრიგად ყურანში ვკითხულობთ: „შეევედრეთ ღმერთსა თქვენსა ქენებითა (ხვეწნა-მუდარით) და ჩუმად. უეჭველად, არ უყვარს მას ზღვარგადასულნი! (ეღრაფი, 7/55) ებუ მუსა ელ-ეშარი მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალთან ერთად ვმოგზაურობიდით. როდესაც ამაღლებულ ადგილას ავიდოდით, თექბირს წარმოვთქვამდით. მაშინ შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა:

„ო, ადამიანებო! საკუთარ თავს ნუ შეაწუხებთ. რამეთუ თქვენ არ ევედრებით სმენადაკარგულს ან კიდევ მხედველობის არ მქონეს. თქვენ ყოვლისმსმენელსა და ყოვლისმხედველს –ალლაჰს ევედრებით“. (ბუხარი, დეავათი, 50)

„და არ აუწიო ხმას ლოცვაში და არც დაუწიო მას, ამ ორ შორის საშუალო გზა დაიდგინე! (ისრა, 17/110) მოცემული აიათი მორწმუნეს როგორც სხვა ყველა საქმეში, ასევე ვედრების აღვლენის დროსაც გაწონასწორებულობას ურჩევს.

ყველა ზემოთ მოცემული გაფრთხილებების შესაბამისად ვედრების აღვლენის შემდეგ „აამიინის“ (ისმინი ღმერთო ჩემო) წარმოთქმა ვედრების ნორმის ნაწილია.

ვედრების გავლენები ჩვენი ფიზიკური და სულიერი აგებულების მიმართ

უპირველეს ყოვლისა უზენაესი და ყოვლისშემძლე ალლაჰის წინაშე ვედრების
აღვლენის ცნობიერებას, თან ახლავს
მისი უზენაესობის მიმართ უდიდესი ნდობა.
ვედრება ასევე ადამიანს უყალიბებს მტკიცე
გრძნობას, რომ ის არ არის მარტო და მას
ჰყავს დამხმარე და მფარეველი, რომელიც
ნებისმიერ წამს ხედავს და მეთვალყურეობს.

ცნობილია, რომ ვედრება მორწმუნეთა გულებში გარკვეული სახის გავლენებს ტოვებს, რაც გამოიხატება, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ასევე აზროვნების სამყაროსთვის დამახასიათებელი მიმართულებებისა და სურვილების გამჩენისდმი წარდგენით. აღნიშნული პოზიტიური გავლენები ძირითადად ფსიქოლოგიურია. მაგრამ არ ის იქნება მართალი, თუკი ვედრების გავლენას მხოლოდ გრძნობათა და აზროვნების სამყაროს ფარგლებში მოვაქცევთ. ვედრების გავლენები ასევე შესაძლებელია ვიხილოთ მატერიალური აგბულების მიმართაც. ისე როგორც არ შეუძლებელია უკვალოდ ჩაიაროს სათანადო პირობებით აღვლენილმა ვედრებამ, ასევე წარმოუდგენელია ადამიანის ბუნებაში რაიმე სახის გავლენა არ იქონიოს.

ალლაჰის შუამავლის მიერ გადმოცემული სხვადასხვა ცნობებიდან ირკვევა, რომ ვედრების მნიშვნელოვან თემას ჯანმრთელობისა და სიმშვიდის სურვილები წარმოადგენს. მაგალითად ერთ-ერთ ქვემოთ მოცემული ჰადისი, მომცველობითი თვალსაზრისით ვედრების ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ გავლენებზე მიანიშნებს. ჰადისში ვკითხულობთ: „უზენაესი ალლაჰის წინაშე არასოდეს აღვლენილა იმაზ უფრო საყვარელი ვედრება, როგორიცაა ჯანმრთელობისა და სიმშვიდის თხოვნა.

ა. ვედრების ფსიქოლოგიური გავლენები

ყოველდღიურ ცხოვრებაში განცდილი აშკარა თუ ფარული შიშები და შეშფოთებები სულიერ სამყაროზე უდიდეს დაძაბულობას იწვევს. განა არ არის თანამდროვე ეპოქაში გაჩენილი სტრესის მოვლენა, აღნიშნული დაძაბულობის აშკარა გამოვლინება? სიკეთეები, რომელიც თანამედროვე ცხოვრებამ თან მოიტანა, სანაცვლოდ ძალიან ბევრი რამ წაიღო-წაგვართვა. ნდობის გრძნობა დაკარგულთან შორის უპირველეს ადგილს იკავებს. ქვეყნად და ადამიანებში სიმშვიდე დაკარგულ სულიერებამ დაისადგურა..

„და (გაიხსენე) ეიუბი, აკი მოუხმო თავის უფალს: „უეჭველად, მე მეწია უბედურება და შენ ხარ ყოვლად მოწყალე მოწყალეთა შორის! ჩვენ შევისმინეთ მისი ვედრება, მოვაშორეთ უბედურება და ვუბოძეთ მას თავისი ოჯახი და ერთი იმდენიც მათთან ერთად ჩვენგან მოწყალებად და შეგონებად მსახურთათვის“! (ენბია, 21/83/84)

სწორედ ასეთ გარემოში, განუსაზღვრელი ძლიერების მქონე უზენაეს ალლაჰზე ვედრების ცნობიერებას, უპირველეს ყოვლისა მის წინაშე უდიდეს ნდობა თან ახლავს. ვედრება ასევე ადამიანს უყალიბებს მტკიცე გრძნობას, რომ ის არ არის მარტო და მას ჰყავს დამხმარე და მფარეველი, რომელიც ნებისმიერ წამს ხედავს და მეთვალყურეობს.

ჩვეულებად ქცეულ და გულის სიღრმიდან ამოსულ ვედრებას განსახვევბული ეფექტია აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ვედრება შინაგან ჯიკვლებს შეიძლება შევადაროთ. მაგალითად, ადამიანის ორგანიზმისთვის როგორიცაა ფარისებრი და თირკმელზედა ჯირკვლები, ასევე ვედრება გარკვეული სახის გონებრივი და ორგანული ცვლილებების მიზეზი ხდება. მოცემული ცვლილებები თანდათანობითი პრინციპით უფრო სწრაფად ვითარდება. თითქოს და აზროვნების სიღრმეში ნათელის გამოვლინება. ადამიანი საკუთარ თავს ხედავს ისეთს, როგორიც არის და აღმოაჩენს მასში არსებულ ეგოიზმს, ჟინს, შეცდომებსა და სიმაყეს. იგი ამ დროს უკვე მზად არის სისრულეში მოიყვანოს ზნეობრივი მოვალეობები. შეეცდება შეიძინოს საზრიანობა და გონებრივი თავმდაბლობა. ამრიგან ადამიანის წინ სიკეთის კარები გაიხსნება და ნელ-ნელა სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებს. მაშინ იგი სიღარიბისა და ცილისწამების წინაშე უდიდეს მოთმინებას გამოავლენს. შიკვდილის, ავადმყოფობის, სირთულის, ახლობლების დაკარგვის გამო მედგარ გამძლეობას გამოიჩენს. ექიმი, რომელიც ვედრებაში ჩაძირულ პაციენტს დაინახავს, გაუხარდება, რამეთუ მას, ვედრებით შეძენილი სიმშვიდე, მკურნალობის დროს დიდად დაეხმარება. ვედრების აღმვლენის სუფთა და უმწიკვლო გამოხედვა, სინატიფისა და ხალისის გამოხატულება,

საჭიროების დროს ჯარისკაცის ან კიდევ ბრძოლის ველზე გმირად დაცემულის სიკვდილის დამცირება, ყველა ერთად სხეულის კიდურებისა და სულის სიღრმეში დამალული ფარული ხაზინის არსებობაზე მეტყველებს.

ბ. ვედრების ფიზიოლოგიური გავლენები

ფიზიკურად დაავადებულთა მკურნალობისთვის, საჭიროა ძირითადად ფიზიკური მედიცინის მეთოდით ჩარევა. ამრიგად ალლაჰის შუამავალის ქვემოთ მოცემული ჰადისი, სწორედ აღნიშნულ მეთოდზე მიანიშნებს. „განიკურნეთ, რამეთუ გარდა მოხუცებულობისა, უზენაეს ალლაჰს ყველა დარდისთვის წამალი მიუცია“. (ებუ დავუდი, ტიბბი, 1) კი მაგრამ, გარდა მედიცინური მკურნალობისა, ვედრებას გააჩნია თუარა რაიმე გავლენა ფიზიკურად დაავადებულთა გამოსაჯანმრთელებლად? ღაციონალური შეხედულებით აღნიშნულ კითხვის პასუხი უარყოფითია. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ეს პასუხი ზოგიერთი ფაქტის უარყოფად ჩაითველბა, შეიძლება ითქვას, რომ ეს პასუხი აჩქარებულად არის გაცემული. ვიცით, რომ ადამიანის აგებულება მხოლოდ სხეულით არ შემოიფარგლება. რამეთუ მას გააჩნია სული, რომელიც ადამიანს ადამიანად აქცევს. ფსიქოლოგიური მეცნიერება, რომელიც ცდილობს ამქვეყნიური საიდუმლობები გამოააშკაროას, ამტკიცებს, რომ ადამიანის მატერიალური და სულიერი აგებულება, გამუდმებით უერთერთქმედებაშია. სრულიად მხიარული განწყობის დროსაც კი ხელში შერჭობილმა პატარა ნემსმა შესაძლოა ყველაფერი უმალ შეცვალოს. ხასიათი წაგვიხდება და სამყაროს ცოტახნის წინანდელისგან განსხვავებულს დავინახავთ. უფრო მეტიც, შესაძლოა ჩვენმა მდგომარეობამ გარშემომყოფების განწყობაც კი შეცვალოს. ზოგჯერ როცა ძალიან გავბრაზდებით ვიტყვით, „თმები ყალყზე დამიდგაო“. ეს სიტყვები ძირითადად გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა მისი მიზეზი, გარკვეულ მოვლენას უკავშირდება. ნამდვილად ძლიერი შიშისა და სიბრაზის დროს თმები ყალყზე დადგება. ზოგიერთი ადამიანი, რომელიც დიდ და მოულოდნელ მწუხარებას განიცდის, თმები სულ მოკლე დროში უთეთრდება, რაც მისი სულიერი სამყაროს ფიზიკური გავლენის მაჩვენებელია.

მაშინ, როცა ნეგატიური სულიერი მოვლენები, სხეულზე უარყოფითად აისახება, პოზიტიურმა სულიერმა მოვლენებმა, სხეულზე დადებითად უნდა აისახოს. მაშ ასე, ვედრება, რომელიც უზენაეს გამჩენთან კომუნიკაციის ერთობ მნიშვნელოვანი მომენტია, ადამიანში პოზიტიური განწყობების შექმნამ შეიძლება ზედმიწევნით სათანადო მდგომარეობა ჩამოაყალიბოს. რაც შესაძლებელს გახდის ზოგიერთი ფიზიკური ტკივილები ვედრების საშუალებით დადებითი მიმართულებით შეიცვალოს.

და (გაიხსენე) ეიუბი, აკი მოუხმო თავის უფალს: „უეჭველად, მე მეწია უბედურება და შენ ხარ ყოვლად მოწყალე მოწყალეთა შორის! ჩვენ შევისმინეთ მისი ვედრება, მოვაშორეთ უბედურება და ვუბოძეთ მას თავისი ოჯახი და ერთი იმდენიც მათთან ერთად ჩვენგან მოწყალებად და შეგონებად მსახურთათვის“! (ენბია, 21/83/84)

დღესდღეობით ევროპისა და ამერიკის სასჯელაღსრულების, საავადმყოფოებისა და ბავშთა აღმზრდელობით დაწესებულებებში, სადაც ადამიანები რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან, განცდილი ტკივილების სანუგეშებლად და მათში არსებული სულიერი სიცარიელის შესავსებად რელიგიური პირების დანიშვნა, ზემოთ აღნიშნულ გავლენებისადმი პირდაპირ რწმენაზე მიანიშნებს. მედიკოსები აღნიშნავენ, რომ ისეთი დაავადებების შემთხვევაშიც კი, რომელიც გამოჯანმრთელებას არ ექვემდებარება, ვედრება ავადმყოფს მორალურად აძლიერებს, გრძნობს უწესრიგებს და იმედით აღსავსე ხდის. გარდა ამისა, უამრავი ცდებით დასტურდება, რომ არამატო საკუთარი ვედრებით, არამედ იმის ცოდნით, რომ მისთვის სხვები ევედრებიან, ესეც კი ავადმყოფებს ფიზიკურ ძალას მატებს.

ცხოვრება, როგორც ღვთიური ყოვლისშემძლეობის გამოვლინება, მთელი თავისი არსებობით ვედრებისგან შედგება. მიუხედავად იმისა, ჩვენ ვამჩნევთ თუ ვერა, ყველაფერი მის მორჩილებაშია და მისკენაა მიმართული. ის რაც ადამიანს ევალება, ამ ყველაფრის შემჩნევა, ცხოვრებაში გატარება და ლოცვა-ვედრებით სიცოცხლის გალამაზებაა.

წყევლა

საკუთარ თავს, შვილებს,
მოსამსახურეებსა
 და ქონებას ნუ დაწყევლით. რამეთუ
შეიძლება
გადაეყაროთ ისეთ დროს, როცა უზენაესი
ალლაჰის
წიაღ შესმენილი იქნება იგი.
(ებუ დავუდი, სალათი, 362)

უზენაესი ალლაჰის წინაშე ვინმესთვის უარყოფითი მდგომარეობის სურვილის გამოხატვას წყევლა ჰქვია.

ალლაჰის შუამავალი არასოდეს იწონებდა წყევლას. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების განმავლობაში უამრავჯერ დამდგარა ძალადობისა და დაპირისპირების წინაშე. გარდა რამდენიმე შემთხვევისა, წყევლის ნაცვლად დაპირისპირებული მხარისთვის ლოცვა აღავლინა. ერთხელ, როდესაც მასთან (ს.ა.ს.) მივიდნენ და თხოვეს წარმართები დაეწყევლა მიუგო: „მე წყევლისთვის არ მოვვლენირვარ. მე მხოლოდ და მხოლოდ წყალობად ვარ მოვლენილი. (მუსლიმი, ბირრი და სილა, 24) კიდევ ერთი სხვა შემთხვევის დროს, როდესაც თანამიმდევრებმა უთხრეს, რომ საყიფის ტომის ისრებმა დიდი ზიანი მოგვაყენა და გთხოვთ დაწყევლო ისინიო, ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) დაწყველის ნაცვლად ისინი შემდეგი სიტყვებით დალოცა: „ღმერთო ჩემო! საყიფის ტომს ჭეშმარიტი გზა არგუნე წილად, მათ სწორი გზა აჩვენე“. (თირმიზი, მენაქიბი, 74)

თუმცა თვით ალლაჰის შუამავალი გვახსენებს, რომ ადამიანები, რომლებიც ჩაგვრისა და უსამართლობის წინაშე აღმოჩნდებიან, მათ მიერ წარმოთქმული ხშირ შემთხვევაში ადვილად აღწევს მიზანს. მიუხედავად ამისა, იგი (ს.ა.ს.) მაშინაც კი როცა იჩაგრებოდა, უკანასკნელი მომენტამდე მოთმინებას ამჯობინებდა და წყველისგან თავს შორს იკავებდა. თვით ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) რომ არ გამხდარიყო ჩაგრულის წყევლის სამიზნე უზენაეს ალლაჰს შეაფარებდა თავს. (იბნი მაჯე, დუა, 20) გარდა ამისა, მუაზ ბინ ჯებელი, რომელიც იემენის გუბერნატორად დანიშნა, ასე დაარიგა: „გაუფრთხილდი ჩაგრულის წყევლას. რამეთუ მის წყევლასა და უზენაეს ალლაჰს შორის ფარდა არ არსებობს. (ბუხარი, მეზალიმი, 9)

„და უთუოდ, ვინც მოითმენს და აპატიებს, სწორედ ეს ფასდაუდებელ საქმეთაგანია“. (შურა, 42/43)

მექას პერიოდში, როდესაც ალლაჰის შუამავალი ტაიფში ისლამის ქადაგების მიზნით იყო ჩასული, ადგილობრივებმა მას (ს.ა.ს.) ქვები დაუშინეს, რის გამოც ფეხები დაუსისხლიანდა. მაშინ უზენაესი ალლაჰისგან ემცნო, რომ თუკი იგი (ს.ა.ს.) მათ საწინააღმდეგოდ წყევლას წარმოთქვამდა, შესმენილი იქნებოდა და მათ გაანადგურებდა“. მიუხედავად ამისა, მან (ს.ა.ს.) თქვა: „ო ღმერთო ჩემო! იქნებ მათი მოდგმიდან შენთვის მსახური შთამომავლობა გამრავლდება“. ამიტომაც არათუ მათი განადგურება, არამედ მიტევება ითხოვა. „ (ბუხარი, ბედულ-ხალყი, 7; მუსლიმი, ჯიჰადი და სიერი, 39) გარდა ამისა მან ასევე სიკეთე შეავედრა იმ მტრებისთვისაც, ვინც უჰუდის ბრძოლაში კბილი მოსტეხა, სახე გაუსისხლიანა; „ღმერთო ჩემო! ჩემს თემს ჭეშმარიტება შეამცნებინე, რამეთუ მათ არ უწყიან“. (ბუხარი, ეჰადისულ-ენბია, 54; მუსლიმი, ჯიჰადი და სიერი, 37)

ამასთან ერთად არსებობს ჰადისები, სადაც რელიგიურად უსამართლოდ და ჩაგვრად მიჩნეულ მდომარეობის წინაშე წყევლა ნებადართულად ითვლება. წყაროებში მითითებულია ის გარემოება, როცა სწორედ მსგავსი ვითარების დროს ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) წყველა აწვნია. ჯერ ჯიდევ მაშინ, როდესაც ისლამის ქადაგების პირველი წლები იყო, ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) სეჯდეს ასრულებდა, ამ დროს მექელ წარმართთაგან უყბე ბინ ები მუაითი, რომელიც ალლაჰის შუამავლის წინაშე სიბრაზითა და ურწმუნოებით გამოირჩეოდა, მას (ს.ა.ს.) მიუახლოვდა და დაკლული პირუტყვის შიგანი ზურგზე დააყარა. ძვირფასმა ფატიმამ აღნიშნული რამ მამას ზურგიდან მოაშორა, გადაყარა და

დაწყევლა ისინი, ვინც თავის ასეთი რამ გააკეთა. ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) კი ისე რომ თავი არც კი წამოუწევია ზევით, უყბესა და მათ შესახებ, ვინც ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო, ასე ბრძანა: „ღმერთო ჩემო! შენთვის მომინდია ყურეიშელთაგან ებუ ჯეჰლ ბინ ჰიშამი, უთბე ბინ რაბია, შეიბე ბინ. ღაბია, უქბე ბინ ებუ მუაითი და უმეიიე ბინ ჰალეფი“. აბდულლაჰ ბინ მეს'უდი, რომელიც ზემოთ მოცემული ისტორიის შესახებ მოგვითხრობს, გვაცნობს, რომ ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) აღნიშნული წყევლა ალლაჰის წიაღ შესმენილი იქნა და გარდა უმეიიე ბინ ჰალეფისა, ყველა მათგანი ბედირის ომში იქნენ მოკლულნი.

ასევე უნდა ითქვას, რომ ხენდეყის ომის დროს ალლაჰის შუამავალმა წარმართები დაწყევლა იმის გამო, რომ მუსლიმებს არ მიეცათ დროის ლოცვის შესრულების საშუალება, რიც გამო ვერ მოახერხეს დროის ამოწურვამდე ლოცვის შესრულება. „ჩვენ არ მოგვცეს ნაშადღევის (იქინდის) ლოცვის საშუალება, დაე ალლაჰმა მათი სახლები და საფლავები ცეცხლით გაავსოს“. (ებუ დავუდი, სალათი, 5)

იშვიათია, თუმცა ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, რომ ალლაჰის შუამავალი გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე წყევლას აღავლენდა. მაგალითად თვალხარბ და უკმაყოფილო ადამიანებზე ასე იტყოდა: „დაე, ცხვირით იხოხოს მან, ვინც იქცა მონად ოქროსი, დინარის, დირჰემის და ხავერდოვანი მოკაზმული სამოსელისა“. (ბუხარი, რიყაყი, 10) ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) კიდევ ერთი მსგავსი წყევლაა ცნობილი მათ მიმართ, ვინც მოესწრო მოხუცებულობას მიღწეული მშობლებს და მათდამი კეთილად მომსახურების სანაცვლოდ სამოთხე ვერ დაიმსახურეს. (მუსლიმი, ბირრი და სილა, 3)

თუკი არ აღმოვჩნებით იძულებით მდოგმარეობაში, წყევლის ნაცვლად ვედრების აღვლენა და სირთულის დროს უზენაესი ალლაჰისგან დახმარების თხოვნა ისლამის თავაზიანობის პრინციპს ეს უფრო შეეფრება. თუნდაც სამართლიან მიზეზს ემყარებოდეს, ვინმესთვის სიავის ალლაჰისგან თხოვნა, ადამიანის სულიერ სამყაროს სიკეთეს არ უზრუნველჰყოფს. ისლამი წყველის ნაცვლად მოთმინე-

ბასა და მიტევებას გვირჩევს. ყურანში ვკითხულობთ: „*და უთუოდ, ვინც მოითმენს და აპატიებს, სწორედ ეს ფასდაუდებელ საქმეთაგანია“. (შურა, 42/43) განსაკუთრებით მაშინ, როცა წყევლა შეეხება საკუთარ თავს, შვილებსა და ახლობლებს, იგი უფრო მოუწონარი ხდება. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) გვაფრთხილებს:* „საკუთარ თავს, შვილებს, მოსამსახურეებსა და ქონებას ნუ დაწყევლით. რამეთუ შეიძლება გადაეყაროთ ისეთ დროს, როცა უზენაესი ალლაჰის წიაღ შესმენილი იქნება იგი. (მუსლიმი, ზუჰდი და რიყაყი, 19; ებუ დავუდი, სალათი, 362)

მაშ ასე, გამჩენისთვის შევედრების თვალსაზრისით ლოცვაც და წყევლაც ერთია, თუმცა მეორე მაინც დამაინც მისაღები და მოსწონი რამ არ არის!

ვედრება და საშუალება/თევესსული

„ღმერთო ჩემო! შენი შუამავლის, წყალობად
მოვლენილი მაცნის სიყვარულით გთხოვ და
შენსკენ მოვიქეცი. ო, მუჰამმედ, ამ გასაჭირის
დასაძლევად შენთან ერთად მივიქეცი ღმერთისკენ.
ღმერთო ჩემო! მიიღე ჩემდამი მისი
შუამდგომლობა/შეფაათი“.

სიტყვა „თევესსული“ ეს ნიშნავს, პატივდებულად მიჩნეული არსების ან მოვლენის შუამდგომლობითა და მისი დახმარებით გარკვეულ მიზანთან დაახლოება ან კიდევ რაიმე სურვილის მისაღწევად გარჯა.

ამრიგად სიტყვა „ვესილე“ -შუამდგომლობა ყურანშიც ანალოგიური შინაარსით გამოიყენება, როგორიცაა უზენაეს ალლაჰთან დაახლოების მიზნით შესრულებული კეთილი ქმედებები.

ყურანში ვკითხულობთ: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის, და ეძიებდეთ მასთან საშუალებას (რომელიც ალლაჰთან დაგაახლოებთ), და იბრძოლეთ მის (ალლაჰის) გზაზე. ეგების გადარჩენილნი იქმნეთ თქვენ! (მაიდე, 5/35)

გამომდინარე აქედან ზემოთ მოცემული აიათი მეტყველებს შემდეგზე: „ადამიანი არ იჯდეს უქმად, მხოლოდ საკმარისად არ მიიჩნიოს რწმენა და ალლაჰისგან შიში და მასთან დაახლოების მიზნით საშუალებები ეძიოს. ამოიყენოს ყოვლად მისაღებ გზები და საკუთარი ნება უზენაესი ალლაჰის სიყვარულის დამსახურებისთვის კეთილი ქმედებებისკენ მიმართოს. შეეცადეთ ალლაჰის გზაზე და ისლამის გასამტკიცებლად მთელი უნარებით იყოთ მობილიზებულნი. (იხ. თეფსირი, ელმალილი ჰამდი იაზირი, III, 1669)

მოკლედ ყურანში სიტყვა „თევესსული“ ალლაჰთან დაახლოების მიზნით სიკეთის ქმნას, ანუ აღნიშნული კეთილი ქმედებების ალლაჰთან დაახლოების საშუალებად დადგენას ნიშნავს. ნეტავ იქნება თუარა შესაძლებელი, რომ ალლაჰის წინაშე იმ პიროვნებების ალლაჰთან დაახლოებისა და ზოგიერთი სურვილების მიღწევის მიზნით საშუალებად დადგენა, რომელთა შესახებ არსებობს რწმენა, რომ ისინი ალლაჰის წინაშე პატივდებულები არიან?

> თავდაპირველად უზენაეს ალლაჰთან დაახლოებისთვის, საჭიროა ყველა თხოვნები პირდაპირ დიადი გამჩენისკენ მივმართოთ.

აქ უმთავრესი პრინციპი და კრიტერიუმი ის არის, რომ დახმარების წყარო მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი ალლაჰია. იმის არ დაჯერება, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ადამიანებისადმი დახმარების უფლებამოსილება და ძალა მხოლოდ უზენაეს ალლაჰს გააჩნია, ამასთან რწმენა იმისა, რომ სხვებსაც შეუძლიათ დაეხმარონ ადამიანებს, პირდაპირი მნიშვნელობით უზენაეს ალლაჰზე მოზიარის დადგენასთან ასოცირდება.

კი მაგრამ, არსებობს თუარა რაიმე საფრთხე იმაში, რომ, არა ზემოთ განმარტებულის მსგავსად, არამედ დახმარების მხოლოდ ალლაჰისგან მოლოდინის, ვედრების მხოლოდ მის მიერ შესმენისა და უარყოფის რწმენით, ვიტყვით: „ღმერთო ჩემო! „შენი შუამავლისა“ და ამადა ამ პიროვნების შენს წინაშე დამსახურებული პატივისა თუ ღირებულების სიყვარულით, გთხოვ შეისმინო ჩემი ვედრება“?

ცნობილია, რომ სიტყვა „ვესილე“ ანუ საშუალება, არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომლითაც ყურანშია მოხსენებული და არსებობს ცოდნა, რომლის თანახმადაც პრინციპულად ზოგიერთი პიროვნებების საშუალებად დადგენის მართებულობას გამოხატავს. თავდაპირველად შეფაათის (შუამდგომლობის) მცნება, კეთილ ქმედებებთან ერთად, ზოგიერთი პიროვნებების –ზემოთ ხსენებული პირობებით – საშუალებად დადგენის შესაძლებლობას აჩვენებს. რამეთუ ადამიანების ცოდვების მიმტევებელი მხოლოდ უზენაესი გამჩენია. შუამავალი (ს.ა.ს.) რომელიც ბრძანებს, რომ „მე ვიქნები პირველი, ვინც სამოთხეში ადამიანებს უშუამდგომლებს. ამასთან შუამავალთა შორის

ყველაზე მეტი მიმდევარიც მე მეყოლება“. (მუსლიმი, იმანი, 87) გამომდინარე აქედან იკვეთება, რომ ალლაჰის შუამავალთან (ს.ა.ს.) ერთად –სხვა წინამორბედ შუამავლებს და იმ პატივდებულ პიროვნებებს, ვისაც უზენაესი ალლაჰი ნებას დართავს, განკითხვის დღეს შუამდგომლობას შეძლებენ. ამრიგად ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „განკითხვის დღეს სამ კატეგორიას ექნება შუამდგომლობის შესაძლებლობა, ესენია: „შუამავლები, შემდეგ რელიგიური სწავლულები და შემდეგ ალლაჰის გზაზე შეჰიდად დაცემულები“. (იბნი მაჯე, ზუჰდი, 37)

სუნნეთში მოიპოვება მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ პიროვნებებს შეეძლებათ გაწიონ შუამდგომლობა. ერთ-ერთი მხედველობის არ მქონე თანამიმდევარი ალლაჰის შუამავალთან (ს.ა.ს.) მივიდა და უთხრა: „ალლაჰის შუამავალო, მხედველობა დავკარგე, გთხოვ ილოცო ჩემთვის. შუამავალმა (ს.ა.ს.), იგი დაარიგა, რომ შემდეგი ვედრება აღევლინა: „შეასრულე მცირე განბანვა, ორი მუხლი ლოცვა და დიად გამჩენს ასე შეავედრე: „„ღმერთო ჩემო! შენი შუამავლის, წყალობად მოვლენილი მაცნის სიყვარულით გთხოვ და შენსკენ მოვიქეცი. ო, მუჰამმედ, ამ გასაჭირის დასაძლევად შენთან ერთად მივიქეცი ღმერთისკენ. ღმერთო ჩემო! მიიღე ჩემდამი მისი შუამდგომლობა/შეფაათი“. შუამავალმა (ს.ა.ს.) ამის შემდეგ ისევ ურჩია: „ყოველთვის, როცა რაიმე გაგიჭირდეს, ასე მოიქეცი! თანამიმდევარი ასეც მოიქცა და მხედველობაც დაუბრუნდა. (იბნი მაჯე, იყამე, 189; თირმიზი, დეავათი, 135; იბნი ჰანბელი, IV, 138)

ერთხელაც გვალვიან პერიოდში ომერმა (რ.ა.) შემდეგი სახის წვიმის ვედრება აღავლინა: „ღმერთო ჩემო! შენ შუამავლის (ს.ა.ს.) შუამდგომლობით შეგავედრებდით ხოლმე და ჩვენ წვიმას გვიწყალობებდი. ახლა კი შუამავლის (ს.ა.ს.) ბიძის შუამდგომლობით მოგმართავთ. გთხოვთ გვიწყალობე წვიმა“. აღნიშნული ვედრების შემდეგ წვიმა წამოვიდა. (ბუხარი, ისთისყა, 3)

იმ მიზეზით, რომ გარდაცვლილთა საფლავები სამლოცველოდ არ გადაქცეულიყო, საფლავებზე შესაწირი არ დაეკლეს, ან არათუ ალლაჰს, არამედ საფლავში მყოფებს არ

შევედრებოდნენ, რაც პირდაპირი მნიშვნელობით დიად გამჩენზე მოზიარის დადგენად ფასდება, ზოგიერთი სწავლული ვედრების დროს „შუამდგომლობას“ არ ეთანხმებოდნენ. ამრიგად აკრძალულია, არათუ შუამავლისა (ს.ა.ს.) და პატივდებული პიროვნებების სულიერების შუამდგომლად დადგენა, არამედ მათი საფლავების სამლოცველოებად გადაქცევა და იმის შიში, რომ ადამიანებს აერევათ ვის უნდა შეავედრონ.

ძირითადი და უპირველესი პრინციპი, ალლაჰთან დაახლოებასთან დაკავშირებით, სულიერი მიმართულებით ყველა სურვილი უპირობოდ ალლაჰისკენ უნდა იყოს მიმართული. სურა ფათიჰაში აღნიშნული პრინციპი მკაფიოდ არის გაცხადებული:

„მხოლოდ შენ გცემთ თაყვანს და მხოლოდ შენგან ვითხოვთ შეწევნას! მოცემული აიათი მიანიშნებს იმაზეც, რომ მატერიალური სურვილების ძირითად უზრუნველმყოფი უზენაესი ალლაჰია. რაც შეეხება პიროვნებებს, რომლებიც მატერიალურად გეგმის განხორციელებაში იღებენ მონაწილეობას, მხოლოდ საშუალებას წარმოადგენენ. გამომდინარე აქედან, მიუხედავად მდგომარეობისა, ვედრების არათუ ალლაჰის, არამედ საფლავში მყოფ პიროვნებების მისამართით აღვლენა აკრძალული ქმედებაა, რაც ადამიანს დიად გამჩენზე მოზიარის დამდგენად აქცევს.

ხორცშესხმული ვედრება - ლოცვა

სიყვარულისა და პატივის ზენიტი, ეს ნიშნავს პატივსაცემი არსების წინაშე ქედის მოხრას ისე, რომ თავი მიწას ეხებოდეს. ამ დროს კი პიროვნების ეგო და გონიერება ერთი კონკრეტული ობიექტისკენ მთელი არსებით არის მობილიზებული.

როგორც ცნობილია, წინამორბედი შუამავლების მიერ დადგენილი შარიათის მიხედვით, კონკრეტულ დროზე დამოუკიდებლად არსებობდა ლოცვის ღვთისმსახურება, რომელიც შუამავალი მუჰამმედის (ს.ა.ს.) მი'რაჯში ამაღლების შემდეგ მუსლიმებისთვის ყოველდღიურად ხუთი დროისთვის სავალდებულოდ იქნა დადგენილი. ვედრებასა და ლოცვას შორის მჭიდრო დამოკიდებულებას, ჯერ კიდევ ყურანში ხსენებული სიტყვა „სალათი" ამოწმებს. ლექსიკონისეულად სიტყვა სალათი, რომელიც ამავდროს ვედრების მნიშვნელობითად გვხვდება, უზენაესი ალლაჰის მიერ ნაბრძანები ხუთი დროის სავალდებულო ლოცვაა. აღნიშნული ლოცვა, ეს არის ღვთისმსახურება, რომელიც ალლაჰის შუამავლის სწავლების თანახმად, ერთდროულად გულით, ენითა და სხეულით სრულდება. ლოცვა, გულის სიღრმიდან ამოსული უზენაესი ალლაჰის სადიდებლად მის წინაშე პატივისცემით წარსდგომაა, მისი სიტყვების კითხვაა, მისი შექება და გამოხატვაა იმისა, რომ ის ყოველგვარი ნაკლოვნებისგან შორს არის, მის მიერ ბოძებული წყალობებისადმი მადლიერება, მის წინაშე სხეულის ყველაზე ძვირფასი ნაწილით –შუბლით მიწაშე შეხება და მოკრძალების გამოჩენაა. ლოცვა ასევე ვედრებაა, ალლაჰის ხსენება და მონა-მსახურებრივი მორჩილებით მისი ჰარმონიულად სისრულეში მოყვანაა.

სიტყვების, როგორც ლექსიკონისეულ, ასევე ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას შორის არსებული კავშირებიდან გამომდინარე, შეცდომა არ იქნება თუკი ვიტყვით, რომ ლოცვის ღვთისმსახურების არსში, ვედრება მნიშვნელო-

„ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს, მოწყალესა და მწყალობელს, განსჯის დღის ერთადერთ განმკარგველს! მხოლოდ შენ გცემთ თაყვანს და მხოლოდ შენგან ვითხოვთ შეწევნას! გვატარე სწორი გზით! იმათი გზით, ვისაც სიკეთე უბოძე შენ, და არა იმათი გზით, ვისაც შენი რისხვა დაატყდა თავს და არც იმათის, რომელნიც მცდარ გზაზე დგანან! (ფათიჰა, 1/1-5)

ვან ადგილს იკავებს. ლოცვის ღვთისმსახურება, რომელიც ალლაჰის შუამავლის მი'რაჯში ამაღლების დროს დადგინდა, მორწმუნის მი'რაჯად მიიჩნევა. რაც იმას ნიშნავს, რომ ლოცვა, რომელიც თავისთავში მოიცავს ფეხზე დგომას, (ყიამი) წელში მოხრას, (რუქუ'ი) გასწორებას (ყუ'უდი) და სეჯდეს, სულიერი სიმბოლოების მიხედვით წაკითხული ვედრებითა და ყურანის აიათებით შეუდარებელი მონა-მსახურებრების გამოვლინებაა. ლოცვასთან დაკავშირებული ყველა ელემენტები შესაძლოა სამ ძირითად ნაწილად დავკავლიფიცირდეს: მოკრძალებული გულითა და პატივისცემით ალლაჰის განდიდება, სხეულით უზენაესი ალლაჰისადმი უმაღლეს დონეზე პატივისცემის გამოხატვა და ენით უზენაესი ალლაჰის ხსენება და ვედრება.

სიყვარულისა და პატივის ზენიტი, ეს ნიშნავს პატივსაცემი არსების წინაშე ქედის მოხრას ისე, რომ თავი მიწას ეხებოდეს. ამ დროს კი პიროვნების ეგო და გონიერება ერთი კონკრეტული ობიექტისკენ მთელი არსებით არის მობილიზებული. იმის გამო, რომ ადამიანი სულიერი ამაღლების მწვერვალზე ნელა-ნელა მიიწევს, ბუნებრივია ასეთ ამაღლებასაც სამი ეტაპის გავლა უხდება. ამიტომაც უნაკლო ვედრება, (ლოცვა) სხეულის სამ პოზიციას შეიცავს: ფეხზე წელში გასწორებულ დგომას, წელში სრულად მოხრას და უზენაესი ალლაჰის წინაშე შუბლის მიწაზე დადებას.. სოწრედ ესანია ის ეტაპები, რომელიც დიადი გამჩენის წინაშე

ღვთიური სიდიადესა და პიროვნების ადამიანურ უძლურებას გამოავლენს, რაც საბოლოო ჯამში სულიერ ამაღლებს შეუწყობს ხელს.

სურა ფათიჰა, რომელსაც თითოეული ლოცვის ყველა მუხლზე ვკითხულობთ, ადამიანის ენით წარმოთწმული საოცარი ვედრებაა.

სურა ფათიჰას პირველი სიტყვა „ჰამდი“, ეს არის განდიდების გამოხატულება დიადი და ყოვლისშემძლე გამჩენის მიმართ, რომელიც ყველა არსების მოწყალეა. ადამიანი, დიადი გამჩენის წინაშე გამოხატავს „ჰამდს“ -მადლიერებას, რამეთუ იგი (უზენაესი ალლაჰი) ყველა ცოცხალი არსების მწყალობელია. გამომდინარე აქედან, გარკვეული წყალობა ამათუიმ ადამიანამდე მიაღწევს თუ არა, იგი დიადი გამჩენის მიმართ მადლიერებას გამოხატავს. იმის გამო, რომ არ არსებობს წყალობის მბოძებელი სხვა, გარდა ალლაჰისა, მხოლოდ იგია ჭეშმარიტი მადლიერების ერთად-ერთი ღირსიც.

სიტყვა „რაჰმანი“ -უხვად მწყალობელსა და უსაზღვროდ შემწყალობელს ნიშნავს. ეს არის ზედსართავი სახელი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი ალლაჰის მისამართით გამოიყენება. მორწმუნე-ურწმუნო, კარგი-ცუდი ყველა ესენი მწყალობელის სახელს მოიცავს. არსებები, სწორედაც რომ მოწყალე და მწყალობლის ყოვლისშემძლეობით გაჩდნენ. გარდა ამისა ისინი არსებობს, სწორედაც, რომ ზემოთ მოცემული ზედსართავი სახელის –მწყალობლის დახმარებით განაგრძობენ.

მოცემულ ხუთ აიათში სულ 12 ოდე სიტყვაშია გამოხატული პრინციპები, რომელიც თავის თავში შეიცავს მნიშვნელოვან მეთოდს. მორწმუნე კი მოცემულ აიათებში აღნიშნულ ჭეშმარიტებას გულის სიღრმით მთელს ცხოვრებაში გაატარებს. რაც შეეხება მეხუთე აიათის შემდეგ გადმოცემულ მესიჯს, ასეთია: „ადამიანი, უზენაესი ალლაჰის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, ცხოვრების მიმართულებას განისაზღვრავს, ასე ირწმუნებს, ასე მოიქცევა, ორივე ქვეყნის ცხოვრებასთან დაკავშირებით მისკენ

მიქცეევა და გასაჭირიდან გამოსავალს მხოლოდ მას შესთხოვს.

„მხოლოდ შენ გცემთ თაყვანს და მხოლოდ შენგან ვითხოვთ შეწევნას! გვატარე სწორი გზით! იმათი გზით, ვისაც სიკეთე უბოძე შენ, და არა იმათი გზით, ვისაც შენი რისხვა დაატყდა თავს და არც იმათის, რომელნიც მცდარ გზაზე დგანან“! (ფათიჰა, 1/1-5)

აღნიშნული აიათები განსაკუთრებით ვრცელი მნიშვნელობისა და შეიძლება ითქვას, რომ მორწმუნის მიერ აღვლენილ ნებისმიერ ვედრებას შეიცავდეს. როგორც ამქვეყნიურ, ასევე საიქიო ცხოვრებასთან დაკავშირებულ სიკეთესა და სილმაზეებს ზემოთ ხსენებული ვედრებით დიად გამჩენს მივმართვათ. შესაძლოა სურა ფათიჰაში მოცემული სიტყვები უბრალოდ ვედრებად ჩათვალოთ, მაგრამ იგი გაჩენის, გამჩენისა და გაჩენილთა ყველა საიდუმლოს ერთად მომცველი კანონია. (ელმალილი ჰამდი იაზირი, I, 53)

ყოველი ლოცვის დროს, გარდა სურა ფათიჰასა და ყურანიდან რამდენიმე აიათის კითხვისა, ზოგიერთი ვედრებები და ზიქრი (ალლაჰის ხსენება) იკითხება. ლოცვის დაწყების წინ „თექბირის“ -ალლაჰუ ექბერ –ალლაჰი უზენაესია“ სიტყვების წარმოთქმა „ზიქრი“ ანუ ალლაჰის ხსენებაა. ამ სიტყვებით მის წინაშე ღვთისმსახურების განზრახვით ლოცვაზე დგომასა და მის სიდიადეს გამოვხატავთ. მას შემდეგ რაც სურა ფათიჰასა და სხვა, რამდენიმე აიათს, ან მოკლე სურას წავიკითხავთ, რითაც მის წინაშე მადლიერებას გამოვხატავთ, წარმოვთქვამთ სიტყვა „ალლაჰუ ექბერს“ და შევასრულებთ „რუქუ’ს“. რაც შეეხება „რუ ქუ’ის“ დროს წარმოვთქვამთ სიტყვებს: „სუბჰანე რაბბიელ ‘აზიიმ“ -დიადი გამჩენი ყოველგვარი ნაკლოვნებისგან შორს არის“. „რუქუ’ი-დან წელში გასწორების დროს ვამბობთ: „სემი’ ალლაჰუ ლიმენ ჰამედეჰ“ - ალლაჰი შეისმენს მისადმი მადლიერებას“. ეს სიტყვები განგვიტკიცებს იმის რწმენას, რომ გულწრფელი განზრახვით მისადმი შესრულებულ ღვთისმსახურება მიღებული იქნება. შემდეგ კი გავიმეორებთ სიტყვებს: „რაბბენა ლექელ-ჰამდ“ -ღმერთო ჩემო! მხოლოდ შენ გეკუთვნის მადლიერება“. ამის შემდეგ ვასრულებთ სეჯ-

დეს და ვამბობთ: „სუბჰანე რაბბიელ ა'ლაა“ - დიადი გამ-ჩენი ყოველგვარი ნაკლოვნებისგან შორს არის“. სეჯდეს შესრულების წინ, სეჯდედან გასწორების დროს, შემდეგი მუხლის სალოცავად ადგომისას, ყოველთვის ვიმეორებთ სიტყვას: „ალლაჰუ ექბერ“ და განვადიდებთ დიად გამჩენს. შესრულებულ ყოველ მუხლზე ზემოთ ხსნებულ სიტყვებს ვიმეორებთ. ვედრების შემცველი ყველა ამ სიტყვებითა და ალლაჰის ხსენებით ვცდილობთ ლოცვისას მოკრძალება და სიმშვიდე მოვიპოვოთ.

ის რომ ვედრებასა და ლოცვას შორის კავშირი არსებობს, აშკარად იკვეთება მიცვალებულის განსასვენებელი ლოცვის დროს. როგორც ვიცით, მიცვალებულის განსასვენებელი ლოცვა, რომელიც არ მოიცავს „რუქუ'ს, სეჯდესა და ყურანის კითხვას, იგი მხოლოდ ფეხზე მდგარ მდგომარეობაში მცვალებულისთვის ვედრებისგან შესდგება. სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ მუსლიმი სწავლულები ლოცვას უფრო მეტად მიცვალებულის განსასვენებელ ვედრებას უწოდებენ.

მაშ ასე, ყოვლდღიურად შესრულებული ხუთი დროს სავალდებულო ლოცვითა და სხვა ნებაყოფლობითი ლოცვების წყალობით, ადამიანი ვედრებას მთელი ცხოვრების პრაქტიკაში განავრცობს.

ვედრების კართან შუამავალთა ქარავანი

ყურანში საუბარია სხვადასხვა ვედრებებზე, რომლებიც კონკრეტული შუამავლების სახელს უკავშირებდა. აღნიშნული ვედრებები ძირითადად
გვხვდება იმ ისტორიულ ციტატებში, როდესაც ზოგადად შუამავლები ადამიანების თევჰიდის გზაზე დასადგინებლად
აღავლენდნენ. გამომდინარე აქედან, რჩეული ადამიანების მონა-მსახურებრივი ხასიათის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა
ერთად-ერთი და ყოველისშემძლე გამჩენისადმი ვედრების აღვლენა.

შუამავლები უზენაესი ალლაჰის რჩეულები არიან. ისინი ადამიანებს ალლაჰის ბრძანებებსა და აკრძალვებს აცნობენ. თუმცა თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ისინიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც სხვა ყველა. ამ თვალსაზრისით, ისე როგორც პიროვნული საკითხების, ასევე შუამავლობისთვის დამახასიათებელი სურვილებით უზენაეს ალლაჰზე ვედრება ჩვეულებირივი ბუნებრივი მოვლენაა. ყურანში საუბარია სხვადასხვა ვედრებებზე, რომლებიც კონკრეტული შუამავლების სახელს უკავშირებდა. აღნიშნული ვედრებები ძირითადად გვხვდება იმ ისტორიულ ციტატებში, როდესაც ზოგადად შუამავლები ადამიანების თევჰიდის გზაზე დასადგინებლად აღავლენდნენ. გამომდინარე აქედან, რჩეული ადამიანების მონა-მსახურებრივი ხასიათის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა ერთად-ერთი და ყოველისშემძლე გამჩენისადმი ვედრების აღვლენა. ასეთი ვედრებები, საუკეთესო პრაქტიკული მაგალითებს წარმოგვიდგენს მორჩილების, უზენაეს ალლაჰზე მინდობისა და ყველაზე რთულ მომენტშიც კი უსაზღვრო იმედითაა გაჯერებული.

„ღმერთო ჩემო! მქმენ მეც და ჩემი შთამომავალნიც, ლოცვის მართებულად აღმსრულებელნი. ღმერთო ჩვენო! შეისმინე ჩემი ვედრება! ღმერთო ჩვენო! მომიტევე მე, ჩემს მშობლებს და მორწმუნეებს იმ დღეს, როცა შედგება ანგარიშგება“! (იბრაჰიმი, 14/40-41)

ა. როგორი იყო წინამორბედი შუამავლების ვედრებები

„ღმერთო ჩვენო! უსამართლოდ მოვექეცით საკუთარ თავს და თუ არ მოგვიტევებ და არ შეგვიწყალებ, უეჭველად, ჩვენ წაგებულთა შორის აღმოვჩნდებით“! (ეღრაფი, 7/23)

მას შემდეგ, რაც აკრძალული ხილი მიირთვეს ძვირფასმა ადამ (ა.ს.)-მა და ევამ, საკუთარ შეცდომის მიტევების მიზნით, ზემოთ მოცემული სიტყვებით დიად გამჩენს შეევედრნენ. საკმაოდ მცირე სიტყვებით, თუმცა მრავლის მთქმელი სინანულის გამოხატულება, მართლაც რომ საოცარი და გულის სიღრმიდან ამოსული მორჩილების გამოვლინებაა.

შუამავალი ნუჰი, რომელიც ცდილობდა დაკისრებული შუამავლური მისია, ჭეშმარიტი რელიგიის ქადაგებით ბოლომედე მიეყვანა.. თუმცა შედეგად, მასთან ერთად, მის მიერ აგებულ ხომალდში განსაზღვული რაოდენობის მორწუნეები მიიღო, რომელთა შორის საკუთარი ერთ-ერთი შვილი არ იმყოფებოდა. იმან, რომ საკუთარი შვილი ვერ მოხვდა ხომალდზე, შუამავალი ნუჰი ძალიან შეაშფოთა და დაამწურა. როდესაც მან ამ წუხილით დიად გამჩენს შეჰღაღადა „ღმერთო ჩემო! უეჭველად, ვაჟი ჩემი, ჩემივე ოჯახის ნაწილია“, (ჰუდი, 11/45) მაშინ უზენაესი ალლაჰისგან მკაცრი გაფრთხილება მიიღო:

ჰეი, ნუჰ! უეჭველად, იგი არ არის შენი ოჯახის ნაწილი. უეჭველად, იგი საქმე არ არის ჭეშმარიტი. მაშ, ნუ მთხოვ იმას,

რის შესახებაც ცოდნა არ მოგეპოვება. უეჭველად, შეგაგონებ შენ, რომ არ იყო უმეცართაგანი“!(ჰუდი, 11/46)

აქ ხომ შუამავალ ნუჰმა (ა.ს.) მხოლოდ შვილისადმი განცდილი შეშფოთება გამოხატა. თუმცა უზენაესი ალლაჰის წინაშე საქმე სულ სხვა დატვირთვით იყო გაჯერებული. მაშინვე გონება მოიკრიფა და დიად გამჩენს ისე შეავედრა:

უთხრა: „ღმერთო ჩემო! უეჭველად, მე შენ მოგეკედლები იმისგან, რომ გთხოვე ის, რაც მე არ გამეგება. და თუ არ შემინდობ და არ შემიწყალებ, წაწყმედილთა შორის აღმოვჩნდები.“ (ჰუდი, 11/47)

აღნიშნული შეგონების შედეგად შუამავალმა ნუჰმა (ა.ს.) დაფიქრდა იმაზე, რომ ვედრება უნდა აღევლინა მათთვის, ვინც რწმენას ატარებდა. მას შემდეგ რაც მან (ნუჰ ა.ს.) შეავდრა დიად გამჩენს, „ღმერთო ჩემო! მომიტევე მე, ჩემს მშობლებს და ვინც შემოვიდა ჩემს სახლში მორწმუნედ, და მორწმუნე კაცებსა და მორწმუნე ქალებს და არაფერი შეჰმატო უსამართლოებს, გარდა განადგურებისა“, მაშინ იგი ყველა მორწმუნისთვის საკმაოდ ყოვლისმომცველი სიტყლის მიმართავდა. რაც შეეხება შუამავალი ნუჰის (ა.ს.) ვედრების მეთოდს, „ვინც შემოვიდა ჩემს სახლში მორწმუნედ“ გამოხატავდა რწმენის კარებიდან იმათ შესვლას, ვისაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა რწმენა გათავისებული.

დიადი გამჩენის მიერ შუამავალი იბრაჰიმის (ა.ს.) დახასიათება, როგორც „თავმდაბალი, მგრძნობიერე და მომნანიებელი.. რომელმაც შვილის ისმაილთან ერთად უზენაესი ალლაჰის ბრძანებისამებრ, მისი (ალლაჰის) მსახურებისთვის დედამიწაზე პირველი სამლოცველო, -ქა’ბა ააგო. დიახ, ქა’აბა, სამლოცველო, რომელიც კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, თეჰვიდის სიმბოლოდ დარჩებოდა.. სწორედაც ქა’აბა იქნებოდა ის ადგილი, სადაც ლოცვა და ჰაჯობა აღსრულდებოდა და მთელი ისტორიის მანძილზე, მორწმუნე გულებისთვის რწმენის ეპიცენტრად დარჩებოდა. ესოდენ ღირსეული საქმე, რომელიც ორმა რჩეულმა პიროვნებამ, უზენაესი ალლაჰის ბრძანებითა და ნებით წარმატებით დააგვირგვინეს, ერთი სურვილი ამოძრავებდათ, რომ მათ

მიერ შესრულებული მსახურება დიადი გამჩენის წიაღ მიღებული ყოფილიყო. „ღმერთო ჩვენო! მიიღე ჩვენგან, რამეთუ შენ ხარ, უეჭველად, ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნე“! ამრიგად მან (შუამავალმა იბრაჰიმმა) დიად გამჩენს შეავედრა, რომ მათ მიერ აგებული სამლოცველოს, თავდაპირველად დაემკვიდრებინა მათივე სულიერებაში, ხოლო შემდეგ შთამომავლობებს უწყვეტად გაენარგძათ მიმართვიანობა. ამასთან ერთად საჭირო იყო ესწავლა, აღნიშნული წმინდა სამლოცველოს, ღვთისმსახურების მიზნით მონახულების წესები, რომელიც ასევე ვედრებაში გამოხატა: „ღმერთო ჩვენო! გვქმენი ჩვენ შენდა მორჩილებად და ჩვენი შთამომავლებიდან შენდამი მორჩილი თემი. გვასწავლე ჩვენი საღვთო წესები და მოგვიტევე. უეჭველად, შენა ხარ მიმტევებელი, მწყალობელი“! (ბაყარა, 2/128)

ცნობილია, რომ ქა’ბა, როგორც ჰაჯობის ღვთისმსახურების ადგილის სტატუსს დედამიწაზე, ასევე ლოცვისა და ყიბლას თვისებითაც გამოირჩევა. ლოცვის ღვთისმსახურება, რომელიც ალლაჰის ხსენების ყველა ფორმას თავისთავში განასახიერებს, უზენაესი ალლაჰის წინაშე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. სწორედ ლოცვის უდიდეს მნიშვნელობას უკავშირდება შუამავალი იბრაჰიმის მუდარა, როცა ის დიად გამჩენს აღნიშნული ღვთისმსახურების უწყვეტად შესრულების საშუალებას ევედრებოდა და თხოვდა, რომ არც თავისი შთამომავლობა ყოფილიყო ლოცვის მიმართ გულგრილი. ამასთან ერთად ღვთისმსახურების მიმართ გარკვეული ნაკლოვანების შემთხვევაში კი მიტევებას ევედრებდა.

„ღმერთო ჩემო! მქმენ მეც და ჩემი შთამომავალნიც, ლოცვის მართებულად აღმსრულებელნი. ღმერთო ჩვენო! შეისმინე ჩემი ვედრება! ღმერთო ჩვენო! მომიტევე მე, ჩემს მშობლებს და მორწმუნეებს იმ დღეს, როცა შედგება ანგარიშგება“! (იბრაჰიმი, 14/40-41)

შუამავალი იუსუფი, რომელმაც მრავალი წელი ფარაონის საპყრობილეში გაატარა, ბოლოს უდანაშაულობა გამოიკვეთა და თავისუფლება დაუბრუნდა. მოვლენათა განვითა-

რების პროცესში იგი დაკავებული იყო ფარაონის ფინანსური საქმეებით და საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირა. გარკვეული დროის შემდეგ დადგა მომენტი, როცა პალესტინის მიწებზე მცხოვრები მამას შეხვდა და ტკვილით მოცული დღეები უკან ჩამოიტოვა. მაგრამ ამქვეყნიურმა წყალობებმა მას ნამდვილი ვინაობა, მონა-მსახურეობა ვერ დაავიწყა. ამქვეყნიური წარმავალი ცხოვრების მიმზიდველობამ, რომელიც თვალის დახამხამებაში მიილევა, იგი ვერაფრით აცდუნა. იგი (ა.ს.) მოვლენებს საუკეთესოდ ათვითცნობიერებდა და გამჩენს მიმართავდა: „ღმერთო ჩემო! შენ მე მიბოძე ძალაუფლება და მასწავლე სიზმრების ახსნა. ცათა და დედამიწის გამჩენო, შენ ხარ ჩემი მფარველი წუთისოფელში და საიქიოში. მიმიბარე შენ მუსლიმად და დამამკვიდრე კეთილისმქმნელთა შორის !“

სწორედ ასეთი იყო შუამავლის ვედრება, დამრიგებლური და შეგგონებლური.

შუამავალი მუსა, რომელიც ფარაონის ქვეყანაში, ეგვიპტეში ცხოვრობდა, ისურვა და ორი მოჩხუბარი ადამიანის გაშველება, მათ შორის ერთ-ერთი შემოთხვევით შემოაკვდა. მიუხედავად იმისა, რომ მხოლდო უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, „მან კაცი მოკლა“. უფრო მეტიც, ეს კაცი არ ყოფილი იუდეველი, ის უბრალოდ ეგვიპტელი იყო. მაშინ შუამავალმა მუსამ თავისი მდგომარეობა დიად გამჩენს მოუყვა: „ღმერთო ჩემო! უეჭველად, ჩემს თავს უსამართლოდ მოვექეცი! მაშ, შემინდე!“ მიუტევა, უეჭველად, იგი შემნდობია, მწყალობელია! (ყასასი, 28/16) მაგრამ მას თავსდამტყდარი უბედური შემთხვევის გამო ფარაონის ხალხის შიშიც ჰქონდა. მაშინ უცხო ვინმემ ამცნო მას: „მუსა! ავტორიტეტული პიროვნებები შეიკრიბნენ და შენს მოკვლის გეგმას განიხილავენ“. „მუსა წავიდა, შიშით მზირალი და შეევედრა: „ღმერთო ჩემო! მიხსენ უსამართლო ხალხისგან“! როდესაც მედიენში ჩავიდა, ორ ახალგაზრდა ქალიშვილის, რომლებიც ცხოველების დარწყულების მიზნით მდინარის პირას თავიანთ რიგს ელოდებოდნენ, დახმარება გაუწია. (ესენი, შუამავალი შუ’აიბის ქალიშვილები იყვნენ). ამის შემდეგ იქვე მახლობლად ჩრდილს შეაფარა თავი და უძლურებიდან ხსნა,

ისევ უზენაეს ალლაჰს შეავედრა: „ღმერთო ჩემო! უეჭველად, ვსაჭიროებ ყოველგვარ სიკეთეს, რომელსაც კი შენ ზეგარდმომივლენ!“ (ყასასი, 28/24)

დიადმა გამჩენმა ისმინა შუამავალი მუსას (ა.ს.) ვედრება. მან შუამავალ შუ'აიბთან იშოვა სამსახური და აი უკვე თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. თავისი ცხოვრების, შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენებისთვის ეს მხოლოდ საწყისი იყო. მას შემდეგ რაც თავის ძმასთან –ჰარუნთან ერთად, უზენაესმა ალლაჰმა ფარაონის რწმენისკენ მოწოდება დაავალა, თავის ცხოვრებაში ისევ კრიტიკული პერიოდი დაიწყო. მართალია ისიც ემცნო, რომ დაკისრებული მისიის შესრულებისთვის იგი სასწაულებით მხარდაჭერილი იქნებოდ, თუმცა ფიქრობდა, რომ ფარაონის წინაშე არა თუ მარტო, არამედ დამხმარესთან ერთად მისვლა, შედეგის მიღწევის თვალსაზრისით უმჯობესი იქნებოდა. გარდა ამისა, შეშფოთებას მატებდა ის ფაქტი, რომ მას წყალივით საუბარი არ შეეძლო. ისევ შეავედრა დიად გამჩენს: „უთხრა: „ღმერთო ჩემო! გამიფართოვე გული ჩემი და გამიადვილე მე საქმე ჩემი! და მოხსენი დაბრკოლება ჩემი ენიდან, რათა გაიგონ ჩემი ნათქვამი. და მე დამიდგინე შემწე ჩემივე სახლეულიდან, ძმა ჩემი ჰარუნი! და გამიმაგრე მისით ზურგი და თანამონაწილე გახადე იგი ჩემს საქმეში იმისთვის, რომ მრავალჯერ გადიდოთ ქებით და გაგიხსენოთ შენ მრავალჯერ! უეჭველად, შენ გვხედავ ჩვენ!“ მიუგო: „ჰეი, მუსა! უკვე მოგეცა შენ, რაც ითხოვე! (ტაჰა, 20/25-36)

შუამავალი სულეიმანი, მამის, ძვირფასი დავუდის მსგავსად იყო შუამავალი და ასევე იყო ხელმწიფე. მან უზენაეს ალლაჰს ასე შეავადრეა:

„ღმერთო ჩემო! მომიტევე მე და მიბოძე მეუფება ისეთი, რომელსაც ვერავინ მიაღწევს ჩემს შემდგომ. უეჭველად, შენ ხარ მომმადლებელი (მომნიჭებელი)“! (სადი, 38/35)

ეს იყო ვედრება შესმენილი. მას დაექვემდებარა ქარები და დაიმორჩილა ჯინები სამსახურში. (სებე, 34/12-13) მას ესმოდა ფრინველთა ენა და მართავდა მრავალრიცხოვან ჯარებს ფრინველების, ადამიანებისა, ჯინებისგან შემდგარს. (ნემლი,

27/16-17) იგი შეარაღებული იყო ისეთი შესაძლებლობით, რომ შეეძლო რამდენიმე წამში, იემენიდან ბელყისის გვირგვინი თავისთან მიეტანა. მაგრამ იგი მონა-მსახურებრივ საქმეში უგულებელყოფას არასოდეს მისცემია. ყველა ამ შესაძლებლობის მბოძებელს იხსნებედა და ასე ევედრებოდა:

„ღმერთო ჩემო! შთამაგონე, რომ მადლიერი ვიყო იმისთვის, რაც მიბოძე მე და ჩემს მშობლებს, და რომ ვჰქმნა კეთილი საქმე, რომელსაც მოიწონებ. და შემიყვანე შენს მოწყალებაში მართლმორწმუნე მსახურებთან ერთად“! (ნემლი, 27/19)

შუამავალი ზექერია უზენაეს ალლაჰს შთამომავლობის გაგრძელებას ევედრებოდა. თქვა: „უფალო ჩემო, მიბოძე მე შენდამი წყალობით კეთილი შთამომავლობა. უეჭველად, შენ ხარ შემსმენი ვედრებისა!“ (ალი ღიმრანი, 3/38) შუამავალი ზექერიას (ა.ს.) ანალოგიური ხასიათის კიდევ ერთი ვედრება ასე გამოიყურება: „„ღმერთო ჩემო! არ დამტოვო ეული, რამეთუ შენ საუკეთესო მემკვიდრეობის მბოძებელი ხარ“. (ენბია, 21/89) გულის სიღრმიდან ამოსული ვედრება და როცა იგი შუამავლის ბაგეებიდან გადმოდის, შეუძლებელია არაფერია: „შევისმინეთ მისი ვედრება და ვუბოძეთ მას იაჰია და ვქმენით მისი ცოლი ამის შემძლე. უეჭველად, ისინი ისწრაფოდნენ სიქველისკენ, გვიხმობდნენ სასოებით და შიშით, და იყვნენ ჩვენდამი მოკრძალებულნი“! (ენბია, 21/90)

სხვა მხრივ შუამავალი იუნუსის (ა.ს.) საინტერესო გამოცდის მოწმენიც ვხვდებით. ყურანი აღნიშნულ მოვლენას შემდეგი სიტყვებით გადმოსცემს: „და (გაიხსენე) ზენნუნი (შუამავალი იუნუსი) აკი, წავიდა განრისხებული. იფიქრა, რომ ჩვენ ვერ ვძლევდით მას. შემდეგ შეევედრა წყვდიადიდან : „რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა შენი! დიდება შენდა! უეჭველად, მე უსამართლოთაგანი ვარ! ამგვარად, ჩვენ შევისმინეთ მისი ვედრება და ვიხსენით იგი მწუხარებისგან. და ასე დავიხსნით ჩვენ მორწმუნეებს“! (ენბია, 21/87-88)

ზენნუნი, ნაგულსხმებია შუამავალი იუნუსი, რომელიც თევზმა ჩაყლაპა. მას შემდეგ რაც იუნუს (ა.ს.) –მა ვერ დაადგინა ის ხალხი ჭეშმარიტ გზას, ვისთვისაც შუამავლად იქნა მოვლენილი, მიატოვა ისინი და ავიდა ერთ-ერთ გემ-

ზე, ისე რომ უზენაესი ალლაჰისგან ამის ნება არ მისცემოდა. იმ მიზეზით, რომ გემი ვერ დაიძრა ან ჩაძირვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, საჭირო გახდა გემიდან ერთ-ერთი მგზავრის ზღვაში გადაგდება. ტრადიციის თანახმად წილი ჰყარეს იმისათვის, თუ მგზავრთაგან ვინ უნდა გადაეგდეს ზღვაში, რა დროსაც წილი შუამავალ იუნუსს ხვდა და ასეც მოიქცნენ. ზღვაში ჩავარდნილი იუნუსი (ა.ს.) თევზმა ჩაყლაპა. იგი თევზის მუცელში უზენაეს ალლაჰს მიტევებას ევედრებოდა. ისმინა, რა დიადმა გამჩენმა შუამავალი იუნუსის ვედრება, თევზმა გარკვეული დროის შემდეგ იგი ზღვის პირას გამოაგდო.

როდესაც ვსაუბრობთ მოთმინებაზე, პირველი ვინც გვახსენდება ეს, შუამავალი ეიუბია. იგი ჯანმრთელი და მდიდარი ვინმე იყო, მაგრამ უამრავ შარი თუ უბედურება დაატყდა თავს და ძალიან სერიოზული გამოცდები გამოიარა. მან დაკარგა ყოველგვარი სიმდიდრე და ჯანმრთელობა. სნეულება, რომელიც შუამავალ ეიუბს შეეყარა, მძიმე ვითარებაში თვეების განმავლობაში გაგრძელდა. ის სრული მოთმინებით იტანდა ყველაფერს, დარდს მხოლოდ უზენაეს გამჩენს ანდობდა და ევედრებოდა: „უეჭველად, მე მეწია უბედურება და შენ ხარ ყოვლად მოწყალე მოწყალეთა შორის!“ (ენბია, 21/83) მისი ვედრება ისმინა დიადმა გამჩენმა და აღარაფერი შერჩენია მსგავსი დარდისა.

ბ. შუამავალი მუჰამმედის (ს.ა.ს.) ვედრების სამყარო

ალლაჰის შუამავალი, (ს.ა.ს.) ყურანში გადმოცემული ისტორიების საშუალებით წინამორბედი შუამავლების მიერ გამოჩენილი მოთმინებისა და სიმტკიცის მოწმე ხდებოდა. ამრიგად შუამავლების განვლილი გზებით სწავლობდა და ითავისებდა ალლაჰისადმი დამოკიდებულებისა და მორჩილების პრაქტიკას.

„ვედრება, მორწმუნის “. (ებუ იალა, მუსნედი, 344) მოცემული ჰადისი კარგად წარმოგვიდგენს ვედრების მნიშვნელობას და ალლაჰის შუამავლის მჭიდრო დამოკიდებულებას.

ალლაჰის შუამავლის მიერ დიად გამჩენთან ურთიერთობაში გამოჩენილი აქტიური მორჩილებითი დამოკიდებულება, ხაზს უსვამდა მისი ვედრებისადმი მაღალ ცნობიერებას. ის, ზრუნავდა, შრომობდა, იღწვოდა და საბოლოო ჯამში შედეგს დიადი გამჩენს ევედრებოდა, მისგან ელოდებოდა. როდესაც მძიმე გასაჭირში აღმოჩნდებოდა, გულის ნადებს ისევ დიად გამჩენს მოუყვებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით აიათები გვამცნობს შემდეგს: „ღმერთო ჩემო! უეჭველად, ჩემმა ხალხმა მიატოვა ეს ყურანი!“ (ფურყანი, 25/30)

ალლაჰის შუამავალი ყოველთვის გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვებით შინაარსიანად ევედრებოდა. მისი ვედრება შორს იყო გადაჭარბებული მოთხოვნებისა და სიტყვათა კორიანტელისგან. ის ყოვლის მცოდნე ალლაჰს ალლაჰს ევედრებოდა. იგი ყოველთვის „შემავედრეთ რათა გიწყალობოთ“ პრინციპის შესაბამისად იქცეოდა და არა მზა-მზარეულის მოლოდნით. სწორედ ასე შეეფერებოდა სიბრძნის მასწავლებლად მოვლენილ შუამავალს. როდესაც მართლმორწმუნეთა დედა ძვირფასი აიშა ალლაჰის შუამავლსი ვედრების შესახებ საუბრობდა დასძენდა: „ალლაჰის შუამავალს შინაარსიანი და მრავლისმთქმელი სიტყვებით ვედრება უყვარდა“.. (ებუ დავუდი, სალათი, 358)

ვედრება ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) ცხოვრების სტილს წარმოადგენდა. მისი ვედრებები რამდენიმე წიგნად იქნა შეკრებილი. მორწმუნეები საუკუნეებია მის (ს.ა.ს)-ის ვედრებათა ნაკადულს დაწაფებულნი რწულდებიან. თუკი ჰადისთა კრებულების ვედრებასთან დაკავშირებული თავებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ალლაჰის შუამავლის ყოველი ნაბიჯი ვედრებით არის გაჯერებული. მისი ყოველი წამი, ცხოვრების პირობებისა და მდგომარეობის განსხვავებულობის მიხედვით ვედრებით იყო მოკაზმული. იგი (ს.ა.ს.) ვედრებას აღავლენდა მაშინ, როცა რაიმე მოეწონებოდა, გაუხარდებოდა, დამწუხრდებოდა, შეშინდებოდა თუ გამარჯვებას მოიპოვებდა. შუამავლის ბაგეებიდან ვედრება იღვრებოდა ყოვლთვის დაძინების წინ, გაღვიძებისას, შებინდების დროს, განთიადის ჟამსა და გაწვიმებისას. ასევე ვედრებას არასოდეს ივიწყებდა, როცა რაიმეს

მიირთმევდა, სახლში დაბრუნდებოდა თუ სამოგზაუროდ გზას დაადგებოდა. ალლაჰის შუამავალი თანამიმდევრებს ურჩევდა, ხშირად აღევლინათ ვედრება.

ზარალის თავიდან აცილება, მოგების უზრუნველყოფაზე უმჯობესია. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ალლაჰის შუამავლის ნეგატიური ვითარებისგან უზენაეს ალლაჰზე შეკედლებასთან დაკავშირებული ვედრებები. რთული მომენტები, რომლისგანაც ალლაჰის შუამავალი ყოველთვის დიად გამჩენს აფარებდა თავს ზოგიერთები ასე გამოიყურება: „რწმენის თაობაზე ეჭვებში ჩავარდნა, უზენაესი ალლაჰის რისხვის დამსახურება, ცუდ მდგომარეობაში გარდაცვალება, სიკვდილის წინ ეშკმაკის ალყაში მოქცევა, საფლავისა და ჯოჯოხეთის სასჯელის პირისპირ აღმოჩენა. ასევე სიღარიბის, სიდუხჭირის, შიმშილის, ვალების, წყალობათანგან უგულებელყოფის, მწუხარებისა და წუხილის მსგავსი ფსიქოლოგიური ნეგატიურობის, ყურის, თვალის, ენისა და გრძნობათა ორგანოების ბოროტად გამოყენების, ჯანმრთელობის დაკარგვა, მძიმე მოხუცებულობა და ავადმყოფობა.

ალლაჰის შუამავალი ამავე კონტექსტში ახსენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში მოსალოდნელ სხვადასხვა ნეგატიურ ვითარებებს და დიად გამჩენს ავადრებდა ყოფილიყო დაცული, ნანგრევებში მოყოლის, სიმაღლიდან ვარდნის, წყალში დახრჩობის, ხანძარშო მოყოლასა და გველის კბენისგან. იგი ასევე ვედრებებში მიეკედლებოდა დიად გამჩენის, რომ არ განეცადა ადამიანების გამო ისეთი ზარალი, როგორიცაა განშორება, ღალატი, ინტრიგა, ზეწოლა, მჩაგვრელობისა და ჩაგვრისგან, დამიცრება და მოულოდნელად ღვთიური სასჯელის წინაშე აღმოჩენა.

ყურანის ზეშთაგონება შეიცავს ისეთ აიათებს, სადაც ალლაჰის შუამავალს ასწავლიდა, თუ როგორ უნდა შევედრებოდა უზენაეს ალლაჰს. გარდა ალლაჰზე შეკედლების სურვილისა, წარმოგიდგენთ რამდენიმე აიათს, რომლებიც ამქვეყნიურ და საიქიო ცხოვრებასთან დაკავშირებულ სურვილებს შეეხება:

„ღმერთო ჩემო, შენ მიგეკედლები ეშმაკთა ცდუნებისგან! და მიგეკედლები შენ, ღმერთო ჩემო, რათა არ მომეკარონ ისინი“! (მუ’მინუნი, 23/97-98)

„ღმერთო ჩემო, მომიტევე და შემიწყალე, რამეთუ შენ ხარ მოწყალეთაგან უმოწყალესი“! (მუ’მინუნი, 23/118)

„ღმერთო ჩემო! შემმატე ცოდნა“! (ტაჰა, 20/114)

„ღმერთო ჩემო! შემიყვანე ჭეშმარიტებით და გამომიყვანე ჭეშმარიტებით, და დამიდგინე შენგან დამხმარე ძალა“! (ისრა, 17/80)

სურა „ფელეყი“ და „ნაასი“ (აღნიშნულ ორ სურას „მუავიზეთეინსაც“ უწოდებენ) მთელი თავისი შინაარსით ალლაჰის შუამავლისთვის ნასწავლები ვედრებებია.

აღნიშნული სურების შინაარსობრივი თარგმანი ასე გამოიყურება:

„თქვი: მივეკედლები აისის უფალს ცოცხალი არსებების მიერ შექმნილი (ყოველგვარი) სიავისგან! წყვდიადის სიავიდან, რომელიც ღამემ შექმნა! კვანძებზე შემლოცველი ქალების სიავისგან“. და მოშურნის სიავისგან, როცა შურს! (ფელეყი, 113/1-5)

„თქვი: მივეკედლები ადამიანთა ღმერთს, ადამიანთა უფალს, ადამიანთა ღვთაებას მაცდურის (ეშმაკის) დაფარული სიავისგან, რომელიც ადამიანთა გულებს უბიძგებს ცუდისაკენ! (ის ეშმაკი) გინდ ჯინთაგან და თუგინდ ადამიანთაგან (იყოს)“! (ნაასი, 114/1-6)

მადლმოსილი შუამავლის არცერთი დღე ვედრების გარეშე არ ჩაივლიდა.. დიად გამჩენთან გამუდმებით კავშირში იმყოფებოდა და ყოველ თავისუფალ წამს ვედრებას უთმობდა. ზოგჯერ ასე ევედრებოდა: „ღმერთო ჩემო! უსარგებლო ცოდნის, უშიშარი გულის, დაუოკებელი ვნებისა და შენს მიერ მიუღებელი ვედრებისგან შენ შეგეკედლები“. (მუსლიმი, ზიქრი, 18) მისი ვედრება ზოგჯერ ასეც გამოიყურებოდა:

„ღმერთო ჩემო! გთხოვ წილად მარგუნო, ჭეშმარიტი გზა, დამიფარო შენს წინააღმდეგ გამოსვლისა, ნამუსიანი და ღირსეული მამყოფო. (მუსლიმი, ზიქრი, 18; იბნი მაჯე, დუა, 2) როდესაც ხელებს აღაპყრობდა და დიად გამჩენს ახსენებდა ასე ევედრებოდა: „ღმერთო ჩემო! სასარგებლოდ გამომაყენებინე ცოდნა, რომელიც მიბოძე მე, მასწავლე ისეთ რამ, რაც სასარგებლოდ გამომადგება, გთხოვ მიმატე ცოდნა. ნებისმიერი დროს დიად გამჩენს მადლიერებას შევწირავ და ჯოჯოხეთის ცეცხლისგან ალლაჰს შევეკედლები“. (იბნი მაჯე, დუა, 2) ხშირად წარმოთქვამდა: „ღმერთო ჩემო! გულის რწმენაში გამიმტკიცე“. (იბნი მაჯე, დუა, 2)

ალლაჰის შუამავლის ვედრებათა სამყაროში ჯერ კიდევ არ აღვლენილი განსაკუთრებული ვედრებაც არსებობს. იგი ბრძანებდა: „მას განკითხვის დღეს ჩემი თემისთვის აღვავლენ“. ყველაზე საუკეთესო, ყველაზე სიღრმისეული, ყველაზე ლამაზი ვედრება ჩვენთვის აქვს შემონახული:

„ყოველ შუამავალს თავისი განსაკუთრებული ვედრება აქვს. მე კი ჩემი ვედრება განკითხვის დღეს ჩემი თემის შუამმდგომლობისთვის მაქვს შემონახული. (ბუხარი, დეავათი, 1; მუსლიმი, იმანი, 88)

წყაროები

იბნ ჰანბელი, აჰმედ (ვ. 241/855), ელ-მუსნედი, გამომცემლობა ჩაღრი.

სტამბოლი 1981

უჰარი, მუჰამმედ ბ. ისმაილ. ელ ჯემიუსსაჰიჰ. (მევსუათულ ჰადის ეშ-შერიფ), მოამზადა სალიჰ ბ. აბდულაზიზმა. დარუს-სელამ. არაბეთი. 2000

იბს სადი, მუჰამმედ (ვ. 230/844) ეთ-თაბაქათულ-ქუბრა. 2001

დარუ სადირ, ბეირუთი.

ქარამანი, ჰაირეთთინ, "ჯუმა" დია, 2007

ქისაქურექ, ნაჯიფ ფაზილი, ჩილე, გამომცემლობა ბ. დ. სტამბოლი 2002.

ქოქსალი, მ. ასიმი, ჰზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ) და ისლამი. გამომ-ცემლობა ირფანი. სტამბოლი 1981, I-II.

მევლანა, შიბლი, ასრი საადეთ, (ისლამის ისტორია) I-V, თარგ-მნა: ომერ რიზა დოღრული. გამომცემლობა ესერი. სტამ-ბოლი 1977.

მუბარექფური, მუჰამმედ ბდურრაჰმან ბ. აბდურრაჰიმ. (ვ. 1353/1934) თუჰფეთულ აჰვეზი ბიშერჰი ჯამიით-თირმიზი. I-IX.

აბდულვაჰჰაბ ბდულლატიფ, დარულ ფიქრ. ბეირუთი

ელ მუნავი, აბდურრაუფ, (ვ. 1031/1622) ფეიზულ ქადირი, შერ-ჰულ ჯამიის-საღირ. I-VI, ეგვიპტე 1356/1938.

მუსლიმი, ებულ ჰუსეინ იბნულ ჰაჯჯაჯ ელ ქუშეირი (ვ. 261/874)

ელ ჯამიუს-საჰიჰ. I-III, გამომცემლობა ჩაღრი. სტამბოლი 1992.

ენ-ნედვი, ებულ ჰასენ ალი ელ ჰასენი, ეს-სირეთუნ-ნებევიე. (შუამავალი (ს.ა.ვ) მორალი და ცხოვრება) თარგმნა: ჶსმან ქესქიოღლუ, ისლამი ნეშრიათი, სტამბოლი 1981.

ებუ დავუდი, სულეიმან ბ. ელ-ეშას ეს-სისიტანი, ეს-სუნენი, I-IV, მუჰამმედ მუჰიდდინ აბდულჰამიდ, ელ-მექთებეთულ ისლამი, სტამბოლი.

იბნ მაჯე, ებუ აბდულლაჰ მუჰამმედ ბ. იეზიდ ეს-სუნენ, I-II,

მუჰამმედ ფუად აბდულბაქი, დარულ-ჰადის, ქაირო, 1994

მალიქ ბ.ენესი. ელ-მუვათთა. I-II, მუჰამმედ ფუად აბდულ-ბაქი, დარულ-ჰადის, ქაირო, 1993

მუსლიმ, იბნულ ჰაჯჯაჯი, ელ ყურეიში. ელ ჯამიუს-საჰიჰ. (მევსუათულ-ჰადისი შერიფ) სალიჰ. ბ. აბდულაზიზი. დარუსსე-ლამი, არაბეთი, 2000.

ენ-ნესაი, ებუ ბდურრაჰმან აჰმედ ბ. შუაიბი. (ვ. 303/915)

ეს-სუნენ, სტამბოლი 1992.

რაგიბ ელ-ისფეჰანი. ჰუსეინ ბ. მუჰამმედი. (ვ. 502/ 1108),

ელ-მუფრედათ ფი გარიბილ ყურან. სტამბოლი, 1986)

ეთ-თირმიზი, ებუ ისა მუჰამმედი (ვ. 279/892) ელ-ჯამიუს სა-ჰიჰ.

(სუნენ) სტამბოლი 2007.

იავუზი. ადილ. მექა და მედინა ჰადისებში. ანკარა, 2000.

ეზ-ზეჰები, შემსუდდინ მუჰამმედ ბ. აჰმედ (ვ. 748/ 1347),

სიერუ ალამინ-ნუბელა, I-XXV, შუაიბ ელ-არნავუთ-ქამილ ერ-ჰარრათ. ბეირუთი 1402/1982.

ელ იბერი, ფიი ჰაბერი მენ გაბერ. I-IX, ებუ ჰაჯირი.

მუჰამმედ ეს-საიდ ბ. ბესიუნი ზაგლული. ბეირუთი. 1979